სპორტი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 2 დეკემბერი 1999 №231 (1004) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვები ახალი ჩემპიონი!

ბათუმელების ჩემპიონობას მსაჯის ყბა შეეწირა

ბადრი კეკელაძე ბათუმელებიდან

გუშინ ბათუმში. თბილისელი „ყოჩების“ ძლევით გაჩემპიონებულმა ბათუმელმა მორაგბეებმა მთავარი მწვრთნელი რაშაზ სვანიძე სიხარულის მეცხრე ცაზე აისროლეს. მატჩის რეპორტაჟი იხილეთ მეცამეტე გვერდზე

2

ძონა, ნონ ძონა?!..



ფრანკო ფერარიმ და ჩვენმა მწვრთნელებმა ზონის საქმე გაარჩიეს

14

ევერესტი — საიდუმლოთა არქივი

მწვერვალის „მითვისების“ ჩვენთვის პირველი შემთხვევა ამ საუკუნის დასაწყისში მოხდა

ქართველთა დუელი

ბათუმში, მოჭადრაკეთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, გუშინ ქართველთა დუელი შედგა — ქალთა პირველმა ნაკრებმა მესამე გუნდი 2:0 დაამარცხა. მეორე ნაკრები კი მშვიდობიანად, 1:1 დაშორდა პოლონელებს. ასევე ფრით დაასრულა მატჩი საქართველოს ვაჟთა პირველმა გუნდმა აზერბაიჯანელებთან. მეორე ნაკრებმა კი ავსტრიელებს 3:2 მოუგო.

სამი ტურის შემდეგ ქალებში 5 ქულით იუგოსლავიელები დაწინაურდნენ, 4,5 ქულით მათ კვალში უდგას 4 გუნდი — საქართველო I, საქართველო II, პოლონეთი და ბულგარეთი.

მერვედფინალი მეთექვსმეტედფინალამდე

პროგრესი აშკარაა. შარშან საქართველოს თასის კენჭისყრას დღეისთვის სარემონტოდ შემზადებული იამანიძის №5 მასპინძლობდა. გუშინ კი თასის მერვედფინალისტებს სასტუმრო „შერატონში“ უეფას პროგრეს-კურსების მონაწილეთა თანდასწრებით უყარეს წილი. ორგანიზატორებმა ძირითადი, ზონური პრინციპი დაიცვეს. ეგ არის, მეორე ეტაპზე პირველ ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ გუნდებს გარკვეული პრიორიტეტი მიანიჭეს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეს გუნდები პირველ მატჩებს სტუმრად გამართავენ.

გუშინდელი წილისყრა საინტერესო მაინც იმით იყო, რომ მას იტალიელი სპეციალისტი ფრანკო ფერარი დაესწრო. ამის სურვილი თავადვე გამოთქვა, მწვრთნელთა რეაქცია მაინტერესებსო.

წილი კი იყარა, მაგრამ სამი მერვედფინალისტის ვინაობა ჯერაც გასარკვევია. „ხობი“ — „გურიას“ მეთექვსმეტედფინალური მატჩი მასპინძლებმა 3:1-ით მოიგ[illegible]უმცა საპასუხო შეხვედრისთვის ლანჩხუთ[illegible]ელ 40 წუთით დაუგვიანდათ, ამ საკითხზე სპორტულტექნიკური კომიტეტი იმსჯელებს, ხობელებს ან წაგებას ჩაუთვლიან, ანაც მატჩი გადათამაშდება.

რიკოთის უღელტეხილზე ჩამოწოლილმა მეწყერმა მეთექვსმეტეფინალის ორი შეხვედრის ჩატარებას შეუშალა ხელი. რაკი მეცამეტე ტურის „იბერია“ — „დილა“ ამ მიზეზით რამდენიმე დღის დაგვიანებით ჩატარდა. ამან კი, თავის მხრივ, „მარგვეთი“ — „იბერია“ (პირველი მატჩი 1:0 მოიგეს სამტრედიელებმა) და „მეგრი“ — „დილა“ (გორში 4:1 გამარჯვებით „დილას“ მერვედფინალში გასვლის უკეთესი შანსი აქვს) 4 დეკემბრამდე გადადო.

მერვედფინალური შეხვედრის გამართვის ზუსტი დრო მოგვიანებით გაირკვევა. ერთი რამ ცხადია, სათასო მატჩები ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე გაიმართება.

ტორპედო	აკადემია
დინამო	გურია-ხოკი
ჯულბეთი	ვერანი
ბათუმი	გორდა
ვიტ ჯორჯია	თსუ
მეგრი-დილა	ზოოვეტი
მარგვეთი-იბერია	სამგურალი
ლოკომოტივი	თბილისი

დინამო — მრეტები დავას ფიფა გადაწყვეტს

„დინამო“ — „მრეტები“ მგონი, მარადიული დავაა, თქვენ რას იტყვით? აგერ, ხუთი წელია, დაუსრულებლად გრძელდება კამათი ამ თემაზე, საბოლოო შედეგი კი არ ჩანს. ამას წინათ ფიფას საბოლოო დირექტივა (როგორც ჩანს, ფეხბურთის ზემდგომ ორგანოსაც მობეზრდა ქართული ფეხბურთის მარადიული დავა) ასეთი გახლდათ: „დინამომ“ და „მრეტებმა“ კეთილი ინებონ, მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და საკომპენსაციო თანხის რაოდენობაზე შეთანხმდნენო. უკვე თამამად შეიძლება ვთქვათ: ფიფას მოწოდება დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. „დინამო“ — „მრეტების“ წარმომადგენელთა შეხვედრა მეორედაც არ შედგა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ საქმეს საბოლოო ვერდიქტს ფიფა გამოუტანს. ამასთან დაკავშირებით „მრეტების“ ვიცე-პრეზიდენტის, ირაკლი ქათვარაძის კომენტარი კი ასეთია: „ჩვენ, კლუბმა, „მრეტებმა“, სფფ-ში საჭირო დოკუმენტაცია წარვადგინეთ, მაგრამ „დინამო“ არ გამოცხადდა. ეს ჩვენთვის სულაც არ არის ტრაგედია, პირიქით, კმაყოფილნი ვართ, რომ ამ საქმის დასრულება ფიფა-ს დაეკისრება. ჩვენი პირობა კვლავაც ძალაშია, „დინამოსგან“ მითხოვთ სატრანსფერო თანხის ნახევარს, ანუ 1 600 000 დოლარს, ამას დაუმატეთ წლიური 20 პროცენტის ჯარიმა, რაც ჯამში ასევე 1 600 000 დოლარს შეადგენს. გამოდის, რომ „მრეტები“ „დინამოსგან“ 3 200 000 დოლარს ითხოვს და ამ თანხას ალბათ ფიფა-ს ძალისხმევით სრულადაც მივიღებთ.

ერთი სიტყვით, ქართველთა შორის მოუგვარებელ პრობლემას ფიფაში გადაწყვეტენ.

პაატა კვანტალიანი

ლევან ქებაძე საბერძნეთს შეიზნებს

სუპერთასისთვის დინამომ უხმო, მაგრამ ამაოდ

თბილისის „ლოკომოტივის“ ფორვარდი ლევან ქებაძე ეროვნული ჩემპიონატის დატოვებას აპირებს. მოგეხსენებათ, რკინიგზელებმა მიმდინარე გათამაშების პირველი ეტაპი ერთობ სუსტად ჩაატარეს და „ა“ ზონის პირველ ოთხეულს მიღმა დარჩნენ.

ევროსარბიელზე ხელმოცარული „ლოკომოტივიდან“ თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლებოდა, ერთ-ერთი სწორედ ქებაძე იყო. უეფას თასის გათამაშებაში რკინიგზელთა გუნდის გამაანადგურებელი ბერძნული პაოკ-ის მესვეურებმაც აღნიშნეს ეს და ქართველი თავდამსხმელით დაინტერესდნენ. ვერ ვიტყვით, ეს დაინტერესება მხოლოდ ლაპარაკის დონეზე დარჩაო, თუმც არც იმას ვამტკიცებთ, რომ ლევანი სწორედ პაოკ-ში გააგრძელებს კარიერას. თავად ფეხბურთელი კონკრეტული საუბრისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

— იანვარში საბერძნეთში გავემგზავრები და ადგილზე გადავწყვეტ, თუ რომელ კლუბს დავუკავშირებ მომავალს — გვითხრა გუშინ ქებაძემ.

„სარბიელი“ ფეხბურთელთან დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას ფლობდა. 2 დეკემბერს ქუთაისში გასამართ სუპერთასის შეხვედრაში ლევან ქებაძე თბილისის „დინამოს“ უნდა დახმარებოდა თავისი ყოფილი გუნდის — „ტორპედოს“ წინააღმდეგ. მართალია, ეს მატჩი გაზაფხულისთვის გადაიდო, მაგრამ ჩვენი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ლევანს ამ თემაზეც ვკითხეთ და პასუხიც გულახდილი მივიღეთ:

— დიახ, იყო ასეთი მოლაპარაკება. სუპერთასისთვის ბრძოლაში კვლავ „დინამოს“ მაისურა უნდა მომერგო, მაგრამ თამაში გადაიდო. ასეც რომ მომხდარიყო, ეს დროებითი მოვლენა იქნებოდა, რადგან გადავწყვიტე კარიერა საბერძნეთში გავაგრძელო.

ხვიჩა სანიკიძე

ლევან ქებაძე

ზონა ზონაა!...

...და არა ხაზზე, ან ლიბეროთი თამაში



დღე მეორე: ქართველ კოლეგებს ლექციას უეფასგან უფლებამოსილი გაიოზ დარსაძე უკითხავს

ბადრი კეთილაძე

ძონა, ნონ ძონა — საკითხავი აი, ეს არის — ჰამლეტისებურად დააყენა მწვავე საკითხი ფრანკო ფერარიმ, ლევან ყიფიანის თქმით, მელ გიბსონს რომ უფრო წაეგავდა. შექსპირიცა და „მამაცი გულიც“ ამჯერად იქით იყოს და პროგრეს-კურსების მეორე დღეს იტალიელმა ქართველ მწვრთნელთა შორის განხეთქილების ვაშლი გააგორა.

— რამდენიმე წლის წინ იტალიელი მწვრთნელებიც ასე კატეგორიულნი იყვნენ — ერთ მხარეს იდგა პარტია, რომელიც ზონას, როგორც თანამედროვეს, ასხამდა ხოტბას, პერსონალურ მეურვეობას კი მოძველებულად, დრომოჭმულად სახავდა, მეორეს მხრივ კი მწვრთნელთა მეორე წყება იდგა და ისინიც ხმისჩახლეჩამდე ამტკიცებდნენ საწინააღმდეგოს. მაგრამ ეს უსაგნო კამათია და ამაში ყველანი არიგო საკიმ დაარწმუნა. სწორედ მან დაურწია ზონურ დაცვას აკვანი, თუმცა საჭიროებისამებრ პერსონალურ მეურვეობასაც იყენებდა.

— მეცინება, რადგან ვიცი, ზონაზე სულ ერთ საათს უნდა ვისაუბროთ, არადა, საამისოდ, სულ მცირე, 30 საათია საჭირო. ეს კი იმას ჰგავს, ქალმა ვაჟს საღერღელი აუშალოს და მერე უეცრად ზურგი აქციოსო, დროის სიმცირეს პროგრეს კურსების მეორე დღესაც უჩიოდა უეფას იტალიელი მისიონერი ფრანკო ფერარი.

— რამდენი გუნდი თამაშობს საქართველოში ზონურ დაცვას? — კითხვით მიმართა სტუმარმა დარბაზს — არცერთი, მიიღო ერთხმა პასუხი. უმრავლესობას სფფ-ს ბავშვთა კომიტეტის თავკაცი ლევან ყიფიანი და ფერარის თანაშემწე გაიოზ დარსაძე არ დაეთანხმნენ.

— ალბათ, „ბათუმი“ — იყო მათი პასუხი და ჯანი კარნევალე, როგორც ზონისტი, მათ დაეთანხმა.

კარნევალემ ზონის პრინციპზე მოკლედ, „ბათუმის“ მაგალითზე ისაუბრა, მაგრამ მისი თუ ფერარის ნაუბარი ყველასთვის გასაგები ვერ გამოდგა. არცაა გასაკვირი, საამისოდ ხომ მინიმუმ 30 საათია საჭირო. ესეც რომ არა, „დინამოს“ თავკაცი ოთარ კორღალიძე, ზონური დაცვა ხაზზე თუ ლიბეროთი თამაშში რომ აურია, ჯერ დამწყებია და ამიტომ, ალბათ, ეპატიება.

— რომელი უფრო საიმედოა, ხაზზე თუ ლიბეროთი თამაში? — „ლოკომოტივის“ მწვრთნელ თემურ მახარაძის ცნობისწადილმა საკითხი ასე დააყენა. ცხადია, საკითხის ასე დასმაც არასწორია და ფრანკო ფერარიმ ერთმნიშვნელოვანი პასუხისგან თავი შეიკავა.

გუშინწინ მწვრთნელებმა გაიოზ დარსაძის ლექციაც მოისმინეს. დარსაძე ბოლო თასის ფინალისტ „სამგურალის“ გარდა თექვსმეტწლამდელთა ნაკრებშიცაა ნამუშევარი და ლექციის თემაც მისთვის კარგად ნაცნობი სფეროდან იყო. რაც მთავარია, დღესდღეობით ყველაზე საჭირბოროტო საკითხი ბავშვთა ფეხბურთი ახლა საყოველთაო ყურადღების ცენტრშია და მის საშველად სწორი გზების დასახვაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ პროგრეს-კურსებს ძირითადად არასაბავშვო გუნდების მწვრთნელები ესწრებოდნენ, ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მწვრთნელებმა (პირველლიგელებმაც) თემის ძირითად თეზისთა ჩამონათვალის გადმრავლება ითხოვეს.

გუშინ გაიოზ დარსაძემ კიდევ ერთი ლექცია ტალანტთა აღმოჩენასა და განვითარებაზე წაიკითხა, შუადღისას კი „დიღმის“ ბაზაზე პრაქტიკული მეცადინეობაც ჩაუტარა მწვრთნელებს. ფრანკო ფერარიმ კი პროგრეს-კურსების ბოლო დღეს ფიზმომზადებაზე, ფსიქოლოგიურ ფაქტორზე და საწვრთნელი პროცესის დაგეგმვაზე ილაპარაკა. დაგეგმვა სამწვრთნელო საქმის ანბანია, პირველიგელებთან ამაზე დაწვრილმანება უხერხულიც იქნებოდა, პროგრამაში ამ საკითხის შეტანა თავად მწვრთნელთა უმრავლესობას რომ არ ეთხოვა.

სამდღიური ოფიციალური ვახშმით დასრულდა, სადაც ქართველმა მწვრთნელებმა ამ კეთილი საქმის გამო უეფასადმი მადლიერება გამოხატეს. ფრანკო ფერარი კი შინ ამ დილით გაფრინდა, „ტყის კვარტეტისა“ არ იყოს, მას ახლა ახალი მწვრთნელები ჰყავს დასაფრთიანებელი.

ჩავლილია და არ შევაფასოთ, არ იქნება. ასეთი შეხვედრების საშუალება ჩვენს მწვრთნელებს იშვიათად აქვთ. მართალია, ზოგ მათგანს უბრალოდ თავის გამოჩენის სურვილი არ ასვენებდა, ზოგი მოსმენას და დუმილს არჩევდა, ზოგი კი კამათში საქმიანად მონაწილეობდა, მაგრამ ეს ასეც უნდა ყოფილიყო. სხვას, ალბათ, არც უეფა მოელოდა, არც ფერარი თუ დარსაძე, არც ჩვენი ფედერაცია და მწვრთნელები. ვისაც სწავლა სურდა, ისწავლიდა (სასწავლი კი, აუ, რამდენია და ცოტა არც ფერარის და დარსაძეს უსაუბრიათ). ის კი, ვინც გუშინწინდელ საღამოს ლექციას იმ იმზნით არ დაესწრო, აბა, თქვენა ხართ, დღეს პროგრამაში ვახშამი არ გქონიათო, პროგრეს-კურსებზე სასწავლებლად არც იყო...

არა უშავს, მთავარია, ქართულ ფეხბურთს ახლა ასეთთა კი არა, მონდომებულ, უნარიან ახალგაზრდათა იმედი ჰქონდეს. თუ ფედერაციაც მათ სასწავლებლად კიდევ გაირჯება და დაიხარჯება, გვეშველება, მოგებასაც ყველანი ვნახავთ, არადა, ორშაურად „ალანიაში“ თუ ტერნოპოლის „ნივაში“ გასაყიდი ფეხბურთელები საქართველოში ყოველთვის გაიზრდება...

ვახტანგ გზიკაძე



ფრანკო ფერარი, მურთაზ ხურცილავა და დიმიტრი კუდინოვი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე კიევის დინამოში ვარ!

თუმცა, ჯერ მხოლოდ გულით, ამბობს გიორგი დემეტრაძე



გადარი კეთილაძის ფოტო

გიორგი დემეტრაძის ვლადიკავკაზის „ალანიიდან“ კიევის „დინამოში“ გადასვლა ბოლოდროინდელ ქართულ ფეხბურთში ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა.

უკანასკნელ ხანს ამ ტრანსფერთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები გავრცელდა. ბევრმა დემეტრაძის უკრაინულ კლუბში გადასვლის ამბავი გადაწყვეტილადაც ჩათვალა, თუმც, როგორც „სარბიელის“ გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, „დინამოს“ პრეზიდენტი გრიგორი სურკისი და კიევში მოსალაპარაკებლად მყოფი „ალანიას“ გენერალური დირექტორი ბათრაზ ბითაროვი თანხაზე ვერ მორიგდნენ. მიუხედავად ამისა, ორივე მხარეს დიდი იმედი აქვს, რომ საბოლოო შეთანხმებას მაინც მიაღწევენ.

ამასობაში კი გიორგი დემეტრაძე შვებულებაშია, რომელსაც კიევში ატარებს და უკრაინულ მასმედიასაც თავის კომენტარებს არ აკლებს.

— მართალია, მოლაპარაკების პირველი რაუნდის შემდეგ არაფერი გადაწყვეტილა, მაგრამ მე სულით და გულით უკვე კიევის „დინამოში“ და ჩემპიონთა ლიგაში ვარ — განუცხადა გიორგიმ უკრაინელებს. დემეტრაძემ კიევში ყოფნისას ქალაქის დათვალიერებაც მოასწრო და „დინამოს“ კუთვნილი საწვრთნელი ბაზისაც.

— კიევითაც და ბაზითაც აღფრთოვანებული ვარ. ძალიან მინდა, ჩემი ტრანსფერი წარმატებით დასრულდეს და „დინამოს“ წევრი გავხდე. კონტრაქტის მიხედვით „ალანიაში“ კიდევ ერთი წელი უნდა ვითამაშო, თუმცა იმის შემდეგ, რაც აქ ვიხილე, მხოლოდ კიევის „დინამოში“ თამაში მსურს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ ისეთ სპეციალისტთან მომიწევს მუშაობა, როგორიც ვალერი ლობანოვსკია. ვიცი, მისი ხელმძღვანელობით თამაში ბევრად უფრო კარგ ფეხბურთელად მაქცევს. ეს შანსია, რომელიც უნდა გამოვიყენო — ესეც დემეტრაძის სიტყვებია.

გიორგის, როგორც ჩანს, მტკიცედ ამოუჭრია გულში, კიევის „დინამოს“ წევრი გახდეს. როდესაც ჰკითხეს, „ალანია“ რომ „დინამოს“ ვერ მოურიგდეს, ანაც უკეთეს კლუბში გაყიდვა დაგიპიროთ, რას იზამო, უპასუხა: — ეს არაფერს შეცვლის. მე უკვე გადავწყვიტე, რომ ჩემი შემდეგი კლუბი კიევის „დინამო“ იქნება. თუ ჩემი ტრანსფერი ახლა არ შედგა, მაშინ ერთი წელი მოვიცდი, „ალანიასთან“ კონტრაქტის ვადა გამივა და მერე „დინამოში“ გადმოსვლაში ხელს ვეღარავინ შემიშლის. უკეთეს ევროპულ კლუბში გადასვლა კი აქედანაც შეიძლება, თანაც საამისოდ უფრო მეტი შესაძლებლობა მექნება, ანდრეი შევჩენკო ხომ ამის კარგი მაგალითია.

23 წლის ქართველი ფეხბურთელი თავის მომავალს იმედიანად უყურებს — მჯერა ვლადიკავკაზელები მოლაპარაკების დროს ჩემს ინტერესებს და სურვილსაც გაითვალისწინებენ. მეც კიევის „დინამოში“ ვითამაშებ.

გაითვალისწინებენ თუ არა „ალანიას“ ხელმძღვანელები დემეტრაძის ნება-სურვილს, ძნელი სათქმელია. სპეციალისტების ვარაუდით, გიორგის ფასს (5 მილიონს) ძალიან, ალბათ, არ დაუწევენ, რადგან ყველამ იცის, რომ იგი ჩემპიონთა ლიგაში თავისი თვისებების გამოვლენის შემთხვევაში სულ ცოტა, 10 მილიონი დოლარი ეღირება.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

ვანო ოძროპირიძე

გოგა გახოკიძემ პირველი გაიტანა

ებრაელმა ჟურნალისტებმა იერუსალიმის „ბეითარისა“ და ჰაიფას „მაკაბის“ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ „მაკაბის“ ქართველი ლეგიონერი გოგა გახოკიძე აღიარეს.

ეს შეხვედრა ებრაული პრემიერლიგის ცენტრალურ მატჩად იყო მიჩნეული და იერუსალიმში ანშლაგიც შედგა.

გახოკიძემ, რომელიც ჰაიფურ კლუბს „ეინდჰოვენიდან“ იჯარით ჰყავს აყვანილი, კარგად ითამაშა.

ქართველმა მატჩის მიწურულს, 87-ე წუთზე იმარჯვა და ებრაულ პირველობაზე თავისი პირველი გოლი გაიტანა. მას აქამდე ჩატარებულ 9 შეხვედრაში ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

გახოკიძის გოლმა „მაკაბის“ ქულა მოუტანა. კლუბმა ამ შედეგის გამო ლიდერობა დაკარგა. ახლა პირველ ადგილზე თელ-ავივის „ჰაპოელია“ 29 ქულით, 28 მოაგროვა ფეთაჰ-თიქვას „ჰაპოელმა“, „მაკაბი“ კი 27 ქულით მესამეა.

ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას ფეთაჰთიქველი ტუბი ლიდერობს 12 გოლით. 9 გახოკიძის თანაგუნდელმა მოლდოველმა სერგეი კლეშჩენკომ გაიტანა.

ეს ინფორმაცია, წესით, „სარბიელის“ წინა ნომერში, ლეგიონერთა გვერდზე უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ მხოლოდ გუშინ შეიტანეს „მაკაბის“ ოფიციალურ საინტერნეტო გვერდში.

სიმონ მენაგდე

მარგალიტი დინამოში

ჩემპიონმა სიონს დათუაძე წაჰგვარა

გადარი კეთილაძის ფოტო

კვირას დავით დათუაძე (მარჯვნივ) ჯერ კიდევ ბოლნისელი იყო და „დინამოს“ უტევდა

„**სიონის** მარგალიტი“ — ჩემი სიტყვები არ გეგონოთ (თუმცა რატომაც არა), ასე ჰოიხსენიებენ ბოლნისელები დავით დათუაძეს, ფეხბურთელს, რომელმაც პროვინციული „სიონის“ ესოდენ დიდ წარმატებაში მართლაც ლომის წილი დაიდო. ბოლნისელები „ა“ ზონის საუკეთესო ოთხეულში მოხვდნენ და ეს მართლაც ბევრ რამეს ნიშნავს. რატომ?

„დინამო“, „ბათუმი“, „ვიტ ჯორჯია“, „ლოკომოტივი“, „თბილისი“, „არსენალი“, „სამგურალი“ — სხვას რომ თავი დავანებოთ (ის სხვა „ბათუმია“), ბოლნისელებმა ხუთ თბილისურ გუნდთან ჭიდილში მოიპოვეს სანუკვარ ოთხეულში ადგილი. დათუაძემ კი მართლაც ბევრი რამ გააკეთა ამისათვის.

XI ეროვნულ ჩემპიონატში დათუაძის სავიზიტო ბარათი კი ასეთი გახლავთ:

ნიჭიერი გამთამაშებელი, გუნდის შეტევების სული და გული. თავადაც არაერთი გოლის გამტანს დიდი წვლილი შეაქვს საგოლე სიტუაციების წამოწყებასა და დაგვირგვინებაში. ტანმორჩილ გამთამაშებელს ადვილად შეუძლია მეტოქე მცველების წინააღმდეგობის დაძლევა. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელისთვის მგონი, საკმარისია.

დათუაძე მართლაც ლიდერია „სიონში“. უფრო სწორად იყო, რადგან მეორე წრიდან უდავოდ ნიჭიერი გამთამაშებელი თბილისის „დინამოს“ ღირსებას დაიცავს.

— ყველაფერი გადაწყვეტილია. მართალია, „დინამოსთან“ კონტრაქტის პირობებზე არ მისაუბრია, მაგრამ სავარაუდოდ ერთი წლით ამ გუნდს დავუკავშირდები. ასე რომ, შეგიძლიათ, დინამოელად ჩამთვალოთ — გვითხრა გუშინ დათუაძემ. თანაც ისიც არ დაუფარავს, რომ „დინამოში“ თამაში მისთვის დიდი პატივია და მის საფეხბურთო კარიერას უთუოდ სასიკეთოდ წაადგება.

ჩვენც იმედს ვიტოვებთ, რომ „სიონის“ მართლაც ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელისთვის წარმატების მომენტი აღმოჩნდება „დინამოში“ გადასვლა.

პაატა კვანტალიანი

სუსტი გული

ფრაიბურგის პრეზიდენტმა ავარია მოახდინა

გერმანიის პირველი ბუნდესლიგის კლუბ „ფრაიბურგის“ პრეზიდენტს, ახიმ შტოკერს ახლახან დიდი უსიამოვნება შეემთხვა. მისი მიზეზით გერმანიის სამხრეთ ნაწილში, ქალაქ ფრაიბურგის მახლობლად სარკინიგზო ავარია მოხდა, რომელსაც, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ავტომობილი, რომელსაც შტოკერი მართავდა, რკინიგზის გადასასვლელზე შეფერხდა. რადგან გზა მოყინული იყო, მანქანა ზედ რელსებზე გაჩერდა და პრეზიდენტსაც ვეღარ დაუძრავს. ელექტრომატარებელიც მთელი სისწრაფით დასჯახებია მას, თავად შეშინებულ შტოკერს გადასვლა მოუსწრია. ლოკომოტივი კი რელსებიდან არ გადავიდა და კატასტროფასაც გადარჩა. ავარიით გამოწვეული ზარალი 100 ათას გერმანულ მარკად შეაფასეს. დაზიანების აღმოსაფხვრელად სარემონტო სამუშაოების ჩატარების გამო რკინიგზაზე რამდენიმე საათით მატარებლების მოძრაობაც შეწყდა. შტოკერი ამ ამბიდან, ალბათ, იოლად გამოძვრებოდა, ერთი გარემოება რომ არა. როგორც მოგვიანებით ჩატარებულმა სისხლის ანალიზმა აჩვენა, იგი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფილა.

გერმანელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ მართლმსაჯულება ახიმ შტოკერს საკმაოდ სოლიდური ჯარიმის გადახდას დააკისრებს.

„ფრაიბურგისკენ“ ქართველი გულშემატკივრების ყურადღება რატომაც არის მიპყრობილი, მოგეხსენებათ. ამ კლუბში ხომ ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი თამაშობენ. მათი პრეზიდენტი კი გერმანიაში მართლაც გამორჩეული პიროვნება ყოფილა. შტოკერი 25 წელია, „ფრაიბურგს“ პრეზიდენტობს და ბუნდესლიგაში იმით არის ცნობილი, რომ ამ ხნის განმავლობაში გუნდის არც ერთ (არც საშინაო და არც საგარეო) მატჩს არ დასწრებია. თურმე ძალიან სუსტი გული ჰქონია და თავისი კლუბის შეხვედრებზეც ამიტომ არ დაიარება.

ვანო ოძროპირიძე

საქართველოს ჩემპიონატი I ნრე

«ა» ზონა

„ა“ ზონას თავდაპირველად თბილისური ზონა ვუწოდეთ... მერე დრომ მოიტანა და უცნაურ ზონად გადავნათლეთ... ახლა საქმეს სჭირდება და ექსცესების ზონად უნდა ვაღიაროთ. ექსცესური მოვლენების ინიციატორად კი მეთერთმეტე ეროვნულის სასიამოვნო მოულოდნელობა და ქართულ ფეხბურთში „სიონიზმის“ ფუძემდებელი ბოლნისის „სიონი“ მოგვევლინა.

ქართველები ვართ, ზონაზე დაახლოებით ყველას ერთნაირი ასოციაციები აღგვეძრება და როცა ბოლნისელთა საუკეთესო რვა გუნდში მოსახვედრად სწრაფვას ვუცქერდი, პატიმართა მასობრივი გაქცევები მახსენდებოდა — ზუსტად ასე მიისწრაფვიან „ზონელები“ თავისუფლებისკენ.

„სიონიზმს“ პატივს ვცემ და ამიტომა გადავწყვიტე ყველაზე პირველად და სხვებზე მეტად „სიონზე“ ვილაპარაკო. „ა“ ზონაში სიტუაცია სავსებით მართული გახლდათ — „დინამო“ — „ლოკომოტივ“ — „ვიტ ჯორჯია“ — „ბათუმის“ დავაში ძნელად თუ გეეგონა, ვინმე ჩაერეოდა, მაგრამ ქართულმა ფეხბურთმა ახალ ხილს, „სიონიზმსაც“ გაუსინჯა გემო და ბარაქალა „სიონს“ ქართული ფეხბურთის ტაიგაში მარტოკა გაჭრისთვის...

ზემოთ „ა“ ზონის ოთხ მაყურებელზე ვთქვი და რაკი „სიკვდილის ჯგუფში“ ჩარჩენის მომლოდინე ქვემოქართლელებმა ყოველგვარ მოლოდინს და სტანდარტს ჯიგარი აახიეს, ნათელი იყო, ერთი ფავორიტთაგანის ამბიცია უნდა შესწირვოდა ამ საქმეს და ასეთი ქართული ფეხბურთის სარკინიგზო სახე — „ლოკომოტივი“ აღმოჩნდა.

ამაში კანონზომიერებაც იმალება — „სიონი“ ვერაფრით შეძლებდა, „დინამო“ ემსხვერპლა. მარადი ჩემპიონი მეტად დიდი ავტორიტეტი გახლავთ შინაურ საკლუბო ფეხბურთში იმისთვის, რათა ვინმემ დიდი ხნით აიმაღლოს მის წინააღმდეგ ხმა და „ფანჯარასთან მის ადგილზე წამოსკუპდეს“.

ტრადიციულად უჭირს „სიონს“ „ბათუმთან“ პაექრობა. სტუმრად უმეტესად მარცხდება, შინ კი აქტიურ ფრეს თუ გამოჰკრავს ხელს, ეს არის და ეს. მერე ესეც აღსანიშნავია — „ბათუმს“ ჩვენს ფეხბურთში მუდმივი პრიორიტეტი თუ თასის მფლობელ-ფინალისტის ურყევი რეპუტაცია გააჩნია (პარალელი — „ავტორიტეტების ძმა“) და ვისაც ზონურ რამერუმეებზე ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს, კარგად იცის, „ავტორიტეტის ძმა“ იგივე ავტორიტეტია. ესეცაა და არც ის არის დასავიწყარი, რომ „ბათუმის“ იტალიელი დამრიგებელი ჯანი კარნევალე სოლიდური საფეხბურთო პერსონა გამოდგა (ჩვენთვის მაინც) — თოთხმეტ ტურში ბათუმელთა მიერ გაშვებული ოთხად ოთხი(!) ბურთიც ამაზე მეტყველებს.

აქედან დასკვნაც — „სიონი“ ვერც „ბათუმის“ ამბიციებს შეჰბედავდა.

ახლა „ვიტ ჯორჯიაზეც“. ვეტერინართა ახალგაზრდა საძმო ბევრს ესიმპათიურება ჩვენში. ესიმპათიურება თუნდაც იმიტომ, რომ ეს ბიჭები „მომავალს უყურებენ“ (საფეხბურთო მომავალს, რა თქმა უნდა). ჩვენს უკვე გატარებულ პარალელებს თუ ვუერთგულებთ, ერთი რამეა აღსანიშნავი — იმედისმომცემი, ნათელი მომავლის მქონე ახალგაზრდა თავს იოლად არავის დააჩაგვრინებს (მით უმეტეს, ზონაში) და ამიტომაც ბოლომდე გაიფთრებით იბრძოდნენ ვიტელები და „სიონი“ რას მიქვია, წამითაც არავის შეატანინეს ეჭვი თავიანთ ბიჭობაში.

დაბოლოს, „ლოკომოტივი“ — „სიონის“ ურთიერთობა... თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლნისელებმა ორივე პირად ბრძოლაში დაჩაგრეს მეტოქე და ამით გვარიანად შეაჯანჯღარეს ევროარენაზე ისედაც გვარიანად შეჯანჯღარებული რკინიგზელთა ავტორიტეტი. ორ მატჩში ართმეული ექვსი ქულა აღმოჩნდა კიდეც გადამწყვეტი საშემოდგომო წიწილების დათვლისას.

ზემოთ მასობრივ გაქცევებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა და როდესაც პროფესიონალი ავტორიტეტები გაქცევას აწყობენ, თან ყოველთვის მიჰყავთ ხოლმე ერთი „ხარი“ (ტერმინია ასეთი), რათა თუ საჭიროებამ მოითხოვა და უკიდეგანო სივრცეებში, მსაჯების მარაგი გამოელიათ, მისი ხორცით გავიდნენ იოლას (რას იზამთ, თავისუფლება მსხვერპლს მოითხოვს).

ეტყობა, ფეხბურთი და „სიონის“ ამბიციებიც ითხოვდა მსხვერპლს და ეს მსხვერპლი „რკინის ხარი“ — „ლოკომოტივი“ აღმოჩნდა. პირადად მე ერთი წუთითაც (ბოლო მომენტამდე) არ დამიშვია იმის შესაძლებლობა, რომ ყველა შარშანდელი სიურპრიზის შემოქმედი „ლოკომოტივი“ წლეულს ოთხეულის გარეთ დარჩებოდა, მაგრამ ასე მოხდა. სალოკომოტივე ხარზე „ა“ ზონაში „სიონი“ მოკალათდა და ვფიქრობ, სეზონის მთავარი მოულოდნელობაც ეს იყო.

ახლა ხმაურიან რამერუმეებზეც. ყველაფერი „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩისდროინდელმა და მატჩისშემდგომმა მოვლენებმა გადაფარეს. ახლა ამ გადასახედიდან უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო სპექტაკლი, ეს ვერ იყო ფარსი, ეს ვერ იყო რაიმე წინასწარ განსაზღვრული, დაგეგმილი რამ — ამ მატჩში და მატჩის შემდგომ შემსრულებლებმა აურიეს და კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა — ფაქტებმა თავად იღაღადეს, რომ ქართულ ფეხბურთში ყველაფერი არ არის (ვერ არის) ისე, როგორც უნდა იყოს.

ეს-ესაა, ბოლნისელებმა „დინამოსთან“ საკვირაო მატჩში ანგარიში გახსნეს

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

აქ თამაშობდა სი-ო-ნი!

ამას ნურვინ ჩათვლის ჩასაფრებული და ცუდით გახარებული კაცის პოზიციად — ყოველთვის მჯეროდა და ვერც ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ყველაზე მაღლა ფეხბურთში მისი ქომაგი და მაყურებელი დგას და სპექტაკლების ყურება სტადიონზე არავის უნდა. სპექტაკლისთვის თეატრია ზედგამოჭრილი. თეატრი, სადაც გაცილებით მეტი ხალხი დადის (უკვე, ვიდრე ქართულ საფეხბურთო მატჩებზე და ესეც ერთ-ერთი პრობლემაა ქართული ფეხბურთისა.

პრესაში სხვა არაერთი უსიამოვნო ფაქტზეც გაიჟღერა, მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის გავატარეთ ყველამ როგორც უკვე ვთქვით, „ლოკომოტივი“ — „დინამომ“ ყველაფერი გადაფარა.

რახან „ა“ ზონის ელიტარულ ამბებზე წავიჭორავეთ, ახლა იმაზე ვისაუბროთ, ვისაც მთდავე სამწუხაროდ, საუკეთესოთა შორის ადგილის დაბევებაზე ხელი არ მიუწვდათ. ასეთი, უკვე არაერთგზის ნახსენები „ლოკომოტივის“ გარდა, სამია — „თბილისი“, „არსენალი“ და სამგურალი“.

ამათგან ყველაზე უკეთ თამაში არმიულ „არსენალს“ ხელეწიფებოდა ალბათ. ალბათ, რადგან ძნელია თოთხმეტ თამაშში ცხრა ქულის მომგროვებელი გუნდის სიძლიერეზე რაიმე თქვა, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ ცხრა ქულიდან ოთხი არმიელებმა „დინამოსთან“ მოიპოვეს, არ შეიძლება, სიმპათია არ ივრძნო ამ გუნდისადმი.

მაგრამ „არსენალის“ ცოდვა ფეხბურთელებზე გაცილებით მეტად მის პატრონ-მყვარებელზეა — თურმე თავად შშიერმა არმიამ, რასაკვირველია, ვერ შეძლო ზედმეტი ბარგის ტარება და ფაქტობრივად არსენალელებმა მთელი მეორე წრე ენთუზიაზმით ითამაშეს. ენთუზიაზმით კი... ჰე, კატა აღარ დარბის.

სიმპათიური ახალგაზრდა გუნდი „თბილისი“. ეს ქართული ფეხბურთის ნიჭიერი მომავალი და მიმავალი „დინამო“ (ფაქტობრივად, აქ სახელს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს). რამდენიმე ლამაზი მატჩი ითამაშეს თბილისელებმა ამ სეზონში, გატანილი გოლებითაც მესამენი არიან „დინამოსა“ და „ტორპედოს“ მერე, მაგრამ გაშვებით გაუშვეს ყველაზე მეტი და მათი „დაბლა“ ჩარჩენაც დაცვის სისუსტის ბრალი უნდა იყოს.

„სამგურალსაც“ აქვს თავისი პლუს-მინუსი (პირველი ცოტა, მეორე — ბევრი). იმერელთა აუტსაიდერობა გარანტირებული არა, მაგრამ მოსალოდნელი ნამდვილად იყო. სეზონის დასაწყისში მწვრთნელის შეცვლამ და აქედან (კიდევ სხვა რამეებიდანაც) გამომდინარე, ცუდმა სტარტმა დათვური სამსახური გაუწია იასონ ბზიკაძის გუნდს. ახალი მწვრთნელის დანიშვნის შემდგომ ორი მოგებული მატჩი ის მაქსიმუმი აღმოჩნდა, რაც წყალტუბოელებს შეძლებიათ და აჰა, „ა“ ზონის ფსკერის ბინადარი წყალტუბოს „სამგურალია“. ყოველივე ამ ცუდის ფონზე სასიხარულოა, რომ იმერელთა შორის ირიცხებიან თავისოვადი ახალგაზრდა ფეხბურთელები — ირაკლი ხაჭაპურიძე და მერაბ ძოძუაშვილი. ეს უკანასკნელი საერთოდ წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი ნათელი წერტილია.

თუ შევადარებთ, „ა“ ზონა გაცილებით დაძაბული და მჭიდრო იყო „ბ“-ზე. თუკი „დინამოს“ საფინიშო სპურტს არ ჩავთვლით, თითქმის ქულა-ქულა სდიეს ერთმანეთს გუნდებმა და მხოლოდ ბოლო ტურში გადანაწილდა ყველაფერი და კეისრისა კეისარმა წაიღო, უფალმა თავისი...

თითქმის მთელი მიმოხილვა „სიონს“, მის ექსცესს და „სიონიზმს“ დავუთმეთ და უპრიანიც იქნება, ისევ ამეებით დავამთავროთ.

მერე, როცა წლები გაივლის და საფეხბურთო ივერია გაბრწყინდება, ვიღაცას მეთერთმეტე ეროვნული, ორ ზონად გაყოფილი ქართული ფეხბურთი და წლევანდელი მოვლენებიც გაახსენდება — ზოგი ნათლად, ზოგი მკაფიოდ. ყველაზე ძლიერად კი, თქმა არ უნდა, „სიონი“, „ლოკომოტივის“ მაგიერ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრილი „სიონი“ შემორჩება მეხსიერებას და ვიღაც იტყვის:

— „ა“ ზონა? აქ თამაშობდა „სიონი“.

ისევე, როგორც აღა და ფანები იტყვიან ხოლმე... ისევე, როგორც ბოლნისში „თემურ სტეფანიაზეა“ წარწერილი — „აქ თამაშობს სი-ო-ნი!..

კარგია, როცა გულშემატკივარი საკუთარი გუნდის ალალი წარმატებით ხარობს. მანამდე კი, მიქრიან დღეები, როგორც ნაბდით ნაჭედი ბედაურები.

გვაქვს ფეხბურთი და იმედი, რომ გვექნება ფეხბურთი.

კონსტანტინე გოგიშვილი

სიმბოლური ნაკრები

- მიხეილ აშვეთია (დინამო)
- შალვა აფხაზავა (ბათუმი)
- რატი ალექსიძე (დინამო)
- დავით დათუაძე (სიონი)
- გიორგი ძორიძე (ვიტ ჯორჯია)
- ლევან ძებაძე (ლოკომოტივი)
- ზურაბ არჩვაძე (ბათუმი)
- არჩილ შაკიაშვილი (სიონი)
- მალხაზ მახარაძე (ბათუმი)
- გიორგი ჭანკოტაძე (ვიტ ჯორჯია)
- ნიკოლოზ ტოგონიძე (ბათუმი)

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: ჯანი კარნევალე (ბათუმი)

„ა“ ზონის გომბარდირები

12 - აშვეთია	დინამო
ალექსიძე	დინამო
9 - ქებაძე	ლოკომოტივი
8 - გ. ქორიძე	ვიტ ჯორჯია
7 - წიტაიშვილი	დინამო

№		1	2	3	4	5	6	7	8	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	№
1	დინამო		2:1	4:1	3:0	4:0	3:2	7:1	1:1	11	1	2	38:12	26	34	6	1	0	24:6	18	19	5	0	2	14:6	8	15	1
2	ბათუმი	1:0		0:0	4:0	4:1	2:0	0:0	1:0	6	7	1	15:4	11	25	5	2	0	12:1	11	17	1	5	1	3:3	0	8	2
3	ვიტ ჯორჯია	0:1	0:0		3:0	3:1	1:1	3:1	4:0	6	5	3	20:12	8	23	4	2	1	14:4	10	14	2	3	2	6:8	-2	9	3
4	სიონი	1:3	0:0	0:0		1:0	2:2	2:0	1:0	6	3	5	13:19	-6	21	3	3	1	7:7	0	12	3	0	4	6:14	-8	9	4
5	ლოკომოტივი	1:2	0:0	1:1	0:1		2:1	2:0	2:2	5	3	6	21:19	2	18	2	3	2	8:7	1	9	3	0	4	13:12	1	9	5
6	თბილისი	0:6	1:1	2:1	3:4	0:4		5:2	3:1	3	4	7	21:31	-10	13	3	1	3	14:19	-5	10	0	3	4	7:12	-5	3	6
7	სამგურალი	1:2	0:0	0:1	1:0	0:3	1:0		1:0	3	2	9	9:27	-18	11	3	1	3	4:6	-2	10	0	1	6	5:21	-16	1	7
8	არსენალი	2:0	0:1	1:2	0:1	0:4	1:1	2:1		2	3	9	10:23	-13	9	2	1	4	6:10	-4	7	0	2	5	4:13	-9	2	8

თეთრი ბაირაღები

საქართველოს ჩემპიონატი
საწყისები ბიბლიოთეკა

«ბ» ზონა

ჩვენ საბჭოურ ეპოქაში გაზრდილი ხალხი ვართ. გვსურდა თუ არა, კომუნისტური იმპერიის ცხოვრების კანონებით ვცხოვრობდით. იმჟამინდელმა ყოფიერებამ გარკვეული დაღი დასვა თითოეული ჩვენგანის ცნობიერებას და მისგან ბოლომდე განთავისუფლება საძნელო საქმე ყოფილა. სხვისი არ ვიცი და მე ხმამაღლა ვაღიარებ ამ მწარე სიმართლეს. ზოგჯერ მეზიზღება ძველი სინამდვილე, ზოგჯერ კი ნოსტალგიაც მეუფლება მისდამი...

ალბათ, ამიტომაც იყო, როცა ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატი ზონებად დაყო, საფეხბურთო ლექსიკონში ახალი სიტყვის გამოჩენამ ჩემში თავისუფალი ეკონომიკური ზონის ასოციაცია კი არ გამოიწვია, არამედ აკრძალული ზონა, შრომა-გასწორების კოლონია ანუ იგივე ზონა, მსჯავრდადებულთა ადგილსამყოფელი დამიდგა თვალწინ.

და თუ ცხონებულმა ნოდარ დუმბაძემ ერთი მშვენიერი რომანი — „თეთრი ბაირაღები" მიუძღვნა პატიმართა ცხოვრებას, გავკადნიერდები და პატარა წერილს შემოგთავაზებთ „ბ" ზონის შესახებ. რა თქმა უნდა, ნოდარ დუმბაძის ნააზრევსა და რომანის პერსონაჟების ცხოვრებაზე დაყრდნობით. მათი პროტოტიპები ხომ საკმაოდ გვყავს „ბ" ზონის კლუბების სახით.

ზონას თავისი მაყურებელი და მმართველი ჰყავს. ორთაჭალის ციხის მსჯავრდაუდებელთა კამერაში კანონიერი ქურდი „ლიმონა" დევდარიანი განაგებდა ყველაფერს და „ბ" ზონის ერთპიროვნული ლიდერის ქუთაისის „ტორპედოს" მასთან შედარება უპრიანი იქნება. მოხვდა თუ არა ამ ზონაში, თავიდანვე ხელთ იპყრო პირველობა და ასე გაასრულა ბოლომდე. ვერავინ შეძლო მისი დამარცხება. ქუთაისელებმა შინ გორის „დილასთან" მეორე ტურში ნთამაშევი ფრით წაიფორხილეს და მერე აიწყვიტეს, მარა რა აიწყვიტეს. „ტორპედო" შინ თუ სტუმრად ერთნაირი სისასტიკით უსწორდებოდა მეტოქეებს. თუმც, „ლიმონა" დევდარიანის დარად, ვერც ყიფიანის შეგირდებმა გაუძლეს სიყვარულისგან ცდუნებას. თავისი თავის სიძლიერისა და ოქროს მედლების მოტრფიალე ქუთაისელებმა სეზონის მიწურული მინორულ ნოტაზე ჩაამთავრეს. უსუსტეს „ხობს" ვერ მოუგეს შინაურ კედლებში, ვერც-ფოთში გაიტანეს და... საკუთარ კარში გაშვებას რაც შეეხება, „ტორპედომ" ზედიზედ რვა მატჩში შეინახა კარი უგოლოდ და მეკარემაც და მცველებმაც ზემოდან გადახედეს ნახევარმცველ-თავდამსხმელებს.

„ბ" ზონის მეორე ავტორიტეტი, ფოთის „კოლხეთი", იგივე დუმბაძისეული ტიგრან გულოიანი, ეროვნებას ხაზს არ ვუსვამ. „ტორპედოს" შემდეგ სწორედ კოლხებს ეთქმოდათ სიტყვა დანარჩენებს შორის და ეს ბუნებრივია. წარსული უმაგრებდათ ზურგს ფოთელებს. მართალია, სეზონის წინ შედეგზე მეტად გუნდის გაახალგაზრდავებაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ „კოლხეთმა" ტრადიციის ერთგულება ამჯობინა. კვლავ გამოცდილი ფეხბურთელების ხარჯზე გავიდა ფონს. ხანდახან ტიგრან გულოიანი არ შეეპუებოდა ხოლმე „ლიმონს" და აგრძნობინებდა, მეც ქურდი ვარო. დაახლოებით ამას ჰგავდა ბოლო ტურში „კოლხეთი" — „ტორპედოს" ჯახი „ფაზისზე"...

აჰა, გამოჩნდა გაურკვეველი ფუნქციის გუნდი, გორის „დილა". გიგლა მებურიშვილიც გემახსოვრებათ „თეთრი ბაირაღებიდან". იგი ფალსიფიცირებულ საფლავებს ჰყიდდა და უზრუნველი ცხოვრება ერჩივნა მამადავითზე დასაფლავებას. ძმაკაცებს პატივს ვცემდი, აცხადებდა მატერიალისტი გიგლა და თავისი თავი ერთობ უყვარდა. „დილაც" სულით ხორცამდე მატერიალისტია. ევროსარბიელზე ფიქრსაც არ გაივლებს გუნებაში და თბილი კერა ყველაფერს ურჩევნია. წლეულსაც ისე მოიქცა, როგორც წარმოგვედგინა. იყო თავისთვის, აკეთებდა საკეთებელს. არც ახლობლის პატივისცემა დავიწყებია და არც საკუთარი თავის. „მერანი" რომ ნაწყენი დატოვა, ამაში ვერავინ დაადანაშაულებს. გორელები მაშინ იხდიან და აცმევენ სხვას, როცა დარწმუნებული არიან, რომ თავად რა შესცივდებათ. ამიტომაც იყო, თოვლბურთში მოსაგები რომ მოიგეს ქართლელებმა და ისე არხეინად გაიშოტნენ რვა საუკეთესოთა შორის, როგორც გიგლა მებურიშვილი წამოგორდებოდა ხოლმე ნარზე...

„მოშიაშვილი სვეშჩამი!". ოთხეულის კარი გაუღეს სამტრედიის „იბერიას". კი არ გაუღეს, თავად გააღოო იტყვიან. არ ვიცი, ღმერთმანი, ზუსტად რა და როგორ მოხდა, მაგრამ ფაქტია — „მერანის" პრეზიდენტი ნუგზარ ნავაძე ყოველთვის დეპუტატობაზე დებდა თავს და ნოსტრადამუსობა არასდროს დაუჩემებია. არადა, ყველაფერი რომ ახდა? თუმცა ერთი მყარი არგუმენტი აქვთ ნავაძის საწინააღმდეგოდ სფფს და „იბერიას". თუ გახსოვთ, „იბერია" — „მერანის" პირველი ტურის შეხვედრა სამტრედიაში უნდა გამართულიყო და თბილისში შედგა. მიზეზი? ფედერაციამ იმერელთა სტადიონი დაიწუნა. ლოგიკა? ფედერაცია „იბერიას" ზურგს არ უმაგრებდა. ნუგზარ ნავაძე უთუოდ იტყვის, ეს მხოლოდ პირველი ტურით მსჯელობაო...

და მაინც, „ბ" ზონაში მოვლენების განვითარების დასკვნითი ფაზა ძალიან წააგავს „თეთრი ბაირაღების" ტრაგიკულ დასასრულს. პატიმრების მიერ გათამაშებული სასამართლო პროცესი ძია ისიდორეს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს. ამიტომაცაა ძია ისიდორეს თვითმკვლელობა მკვლელობის ტოლფასი ანუ იძულებითი ბიძგი სიცოცხლის უარყოფისა.

რა იყო ბოლო ტურში რუსთავის „გორდას" ჩაძირვის ფაქტი — მკვლელობა თუ თვითმკვლელობა? ალბათ ორივე. სასიკვდილო განაჩენი ისიდორე სალარიძის მსგავსად რუსთაველებსაც გამოუტანეს ხობში, სადაც სამტრედიელებმა ბოლო წუთებზე პენალტის წყალობით სძლიეს მასპინძლებს. ნუგზარ ნავაძის ეჭვიანობის ნიადაგზე თუ მოვიკიდებთ ფეხს, თამამად ვიტყვით — ძია ისიდორესავით მართალი „გორდა" მოკლეს. თუმც განაჩენი სისრულეში თავად რუსთაველებმა მოიყვანეს, ანუ ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას. რა ცოდვა ჰქონდა ასეთი განსწავლულ სალარიძეს, რომ მწერალმა მიუტევებელი ნაბიჯი გადაადგმევინა. იგი უნებლიე მკვლელი და ათეისტი იყო...

„გორდას" 4 წლის წინანდელი საფეხბურთო ცოდვა მოეკითხა. მეექვსე ჩემპიონატში ჩემპიონობის უდავო ღირსი სამტრედიელთა გუნდი ხომ სწორედ „ფოლადზე" ჩაძირეს. იმერელ გულშემატკივრებს დღემდე ახსოვთ ის საშინელი, ტკივილიანი წუთები და 28 ნოემბერს თითქოს გარკვეული შვება იგრძნეს. 28 ნოემბერს „იბერიამ" „გორდა" ოთხეულს მიღმა დატოვა და გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, ნათქვამია. რუსთაველთა მკვლელობა და თვითმკვლელობა, ანუ შურისძიება და კანონი... „თეთრი ბაირაღების" მთავარი გმირი ზაზა ნაკაშიძე თავისუფლებას იბრუნებს. ნუგზარ ნავაძისა და სხვების ეჭვიანობისა და ზემოთ თქმულის გათვალისწინებით სამტრედიის „იბერიაში" დუმბაძისეული პერსონაჟების — მოშიაშვილისა და ნაკაშიძის პროტოტიპებს თანაბრად შერწყმულს ვხედავ...

მამასახლისი ჭიჭიკო გოგოლი, ცოტა არ იყოს, გაურკვეველი წარმოშობის კაცი, თავადაც რომ უჭირს დაასახელოს, თუ რომელი ფესვებიდან ამოიყარა საქართველოში მისმა ჯიშმა... და თსუ, „შევარდენი 1906"-ზე აღმოცენებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელის მატარებელი და „ვიტ ჯორჯიას" კმაყოფაზე მყოფი. ცოტა უცნაური კია, მაგრამ რაც მთავარია, თსუ-მ ჭიჭიკო გოგოლივით წესიერი კაცის შთაბეჭდილება დატოვა. ასეთ ადამიანზე ამბობენ, ამ ცხოვრებაში უჭირს ზედმეტი პატიოსნების გამო, თუმცა მომავალში ხელი გაემართებაო. ერთს ვიტყვი, თსუ-ს მომავალი არც ისე შორსაა.

„ჭეიშვილი შენ ნემსი თუ გაგიკეთეს?". გახსოვთ, რა ეჭვებში ჩააგდებენ ალიმენტების ვერგადამხდელ მამას? ეჭვებისგან ლამის გაგიჟებული ჭეიშვილი პროტესტის გამოხატვას დაიპირებს და ციხის უფროსის სახელზე წერილის დაწერას იწყებს. იმაზეც ვეღარ ფიქრობს, რომ მის დაწერილს არაფრად ჩაგდებენ. „მერანი" ჩავარდა წლეულს ამგვარ ყოფაში. ვინ იცის, იქნებ მართალი იყო ნუგზარ ნავაძე, მაგრამ ამის დამტკიცება ისევე გაუჭირდება, როგორც ჭეიშვილმა ვერ დაუმტკიცა სასამართლოს, რომ მის მიერ ჩატარებული სქესობრივი აქტი არ შეესაბამებოდა ბავშვის დაბადების თარიღს... ბატონმა ნუგზარმა ისიც თქვა, ფოთელებს „ფაზისზე" სამი ქულა ეშმაკურად მოვთხოვეთო, მაგრამ ხომ შეიძლება, მავანმა „მერანის" ყოფილ პრეზიდენტს ეს საქციელი ეშმაკობად არ ჩაუთვალოს...

„რა მინდოდა წვენებშიო" — ჩიოდა შოშია. ბოლო ტურში მსაჯ მეშკოვის გამლახველი ხობელებიც თუ ამბობენ ახლა — რა გვინდოდა ზონაში, ვყოფილიყავით ჩვენთვის რეგიონალურ ლიგაში და გვეხარა „ხობის" გამარჯვებებითო.

მეშკოვის გალახვაზე ფედერაცია გამახსენდა. ფედერაციის ხსენებაზე კი ლამაზი ნუნუ ექიმი. ნებისმიერ ტკივილზე საქალბატონე ნუნუ ექიმს, „ლიმონაზე" შეყვარებულ „თვალ-წარმტან" ქალს, უებარი წამალი — „ლუმინალი" ყოველთვის ხელთ აქვს. ყველანაირ უდისციპლინობაზე სფფ-ს დისკვალიფიკაცია მოუმარჯვია და რახან კრიმინალისტების ცხოვრებას შევეხე, ბარემ იურისპრუდენციასაც მოვიშველიებ და ნუნუ ექიმის პროტოტიპ ფედერაციასთან გადავალ ალავერდს.

კოდექსის ერთ-ერთ მუხლში წერია — ადამიანის ფიზიკური შეურაცხყოფა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩადენილი, ცინიზმით, განზრახ — ისჯება 2-დან 5-წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ანუ ნამდვილ ზონაში გაშვებით და არა საფეხბურთო ზონიდან რამდენიმე თვით მოკვეთით.

„ლუმინალი" მხოლოდ დროებით აწყნარებს...

ხვიჩა სანიკიძე

მამუკა დარჩიას ფოტო

წლევანდელი „ტორპედო" — „კოლხეთი" 4:1. ქუთაისელები 37-ე წუთზე გატანილი მეოთხე გოლის მერე

„ბ" ზონის ბომბარდირები

11 - იონანიძე	ტორპედო
7 - მეგრელაძე	ტორპედო
6 - ვ. კილასონია	გორდა
5 - ვ. ჩიტაია	ხობი

სიმბოლური ნაკრები

ზურაბ იონანიძე — ტორპედო
გიორგი მეგრელაძე — ტორპედო
დავით ინასარიძე — გორდა
ჯონი შალამბერიძე — კოლხეთი
გიორგი ბოგიაშვილი — ტორპედო
მიხეილ თაყაძე — დილა
ირაკლი მაღლაკელიძე — ტორპედო
როინ ონიანი — ხობი
ვახტანგ თურმანიძე — ტორპედო
ვალერი ტორჩინავა — კოლხეთი
მირზა მერლანი — თსუ

გუნდი: ტორპედო
მწვრთნელი: დავით ყიფიანი ტორპედო

№		1	2	3	4	5	6	7	8	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	№
1	ტორპედო		4:1	2:2	5:0	1:0	3:0	3:1	0:0	11	3	0	33:5	28	36	5	2	0	18:4	14	17	6	1	0	15:1	14	19	1
2	კოლხეთი	0:0		3:0	1:0	2:0	1:0	1:0	2:3	8	1	5	19:15	4	25	5	1	1	10:3	7	16	3	0	4	9:12	-3	9	2
3	დილა	0:5	3:0		2:0	1:2	1:1	3:2	1:0	6	2	6	19:24	-5	20	4	1	2	11:10	1	13	2	1	4	8:14	-6	7	3
4	იბერია	0:3	1:0	2:1		1:0	0:1	1:1	2:1	5	3	6	9:20	-11	18	4	1	2	7:7	0	13	1	2	4	2:13	-11	5	4
5	გორდა	0:2	0:1	2:0	4:0		3:1	0:0	4:1	5	1	8	17:18	-1	16	4	1	2	13:5	8	13	1	0	6	4:13	-9	3	5
6	თსუ	0:2	3:2	0:1	1:1	1:0		0:2	4:1	4	4	6	13:18	-5	16	3	1	3	9:9	0	10	1	3	3	4:9	-5	6	6
7	მერანი	0:1	1:2	3:1	0:0	2:1	1:1		0:0	3	6	5	14:15	-1	15	2	3	2	7:6	1	9	1	3	3	7:9	-2	6	7
8	ხობი	1:2	0:3	2:3	0:1	5:1	0:0	1:1		2	4	8	15:24	-9	10	1	2	4	9:11	-2	5	1	2	4	6:13	-7	5	8

ფეხბურთის რუკასთან

გერმანული დორტმუნდის „ბორუსიას“ ფორვარდი ჰაიკო ჰერლიხი მთავარი მწვრთნელის, მიხაელ სკიბეს კრიტიკისთვის გუნდმა 10 ათასი მარკით (5,15 დოლარით) დააჯარიმა. მსგავსი საქციელისთვის, მიმდინარე სეზონში კიდევ ორი დორტმუნდელი ფეხბურთელი — ნახევარმცველი ანდრეას მიოლერი და ნიგერიელი ფორვარდი ვიქტორ იკპება დაისაჯა.

რუსეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი იგორ დობროვოლსკი, შესაძლოა, ესპანეთის მესამე დივიზიონში მოასპარეზე „მოსტოლესს“ შეუერთდეს. ფეხბურთელმა გასული სეზონი გერმანიის მეორედივიზიონელ „ფორტუნას“ შემადგენლობაში ჩაატარა, ხოლო უფრო ადრე მოსკოვის „დინამოს“, მარსელის „ოლიმპიკის“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ ღირსებას იცავდა. დობროვოლსკის რუსეთის (სსრკ-ის, დსთ-ს) ნაკრების მაისურა 48-ჯერ მოურგია, 1990 წლის მსოფლიოსა და 1992-1996 წლების ევროპის ჩემპიონატებზეც უთამაშია. ახლა იგი პორტუგალიის მოქალაქეა და, პრესის განცხადებით, „მოსტოლესში“ საასპარეზოდ არანაირი პრობლემა არ შეექმნება.

გერმანიის ნაკრების ყოველი წევრი 150 ათასი მარკით (77,2 ათას დოლარს) დასაჩუქრდება, თუ გაისად ზაფხულში გუნდი ევროპის ჩემპიონის ტიტულს შეინარჩუნებს. ეს განცხადება ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა სამშაბათს გააკეთა. შედარებით ნაკლები თანხაა დაწესებული მეოთხედფინალში მოხვედრისთვის — 65 ათასი მარკა, ნახევარფინალისთვის — 100 ათასი, ხოლო ფინალში გასვლისა და იქ მარცხის შემთხვევაში — 125 ათასი. ფეხბურთელები სულ ვერაფერს მიიღებენ, თუ ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავა.

ესპანეთის პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი ლიდერი, „რაიო ვალეკანო“, ფიფამ მეტად მკაცრად დასაჯა. გუნდს, თურმე არგენტინული „ინსტიტუტოს“ ვალი აქვს და სანამ გაისტუმრებს, საერთაშორისო მასშტაბით ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვა აეკრძალა. 1996 წელს, „რაიო ვალეკანოს“ არგენტინიდან ფორვარდი, დიეგო კლიმოვიჩი გადაუბირებია და ვალიც სწორედ ამის შემდეგ დარჩენია. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, თანხა დაახლოებით 1,5 მილიონ დოლარს შეადგენს. კლიმოვიჩმა მადრიდულ კლუბში სეზონ-ნახევარი გაატარა, ამის შემდეგ კიდევ ერთ ესპანურ გუნდ „ვალიადოლიდში“ გადაბარგდა, ხოლო მერე საერთოდ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც „ლანუსის“ ღირსებას იცავს. სასჯელი მეტად ცუდ დროს დაემთხვა — 15 დეკემბერს, ესპანეთში ახალი სატრანსფერო სეზონი იხსნება. გუნდს კი სულ ახლახან ერთ-ერთი მცველი, გერმანელი გერჰარდ პოშნერი დაუშავდა. მან ფეხი მოიტეხა და მომავალ ექვს თვეს ვეღარ ითამაშებს.

ბელარუსის ნაკრების მთავარ მწვრთნელად, ფეხბურთის ფედერაციამ სერგეი ბოროვსკი დაამტკიცა, მან ამ პოსტზე მიხაილ ვერგეენკო შეცვალა. ბოროვსკი უკვე მეორედ დაინიშნა ნაკრების თავკაცად: იგი გუნდს 1994-დან 1996 წლამდე ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი ეს პოსტი სწორედ ვერგეენკოს გადაულოცა. „ბელარუსის ფეხბურთს გარდაქმნა სჭირდება. ჩემი უშუალო მოვალეობაა, ნაკრები 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოვახვედრო“ — განაცხადა ახალდანიშნულმა მწვრთნელმა. შეგახსენებთ, რომ სერგეი ბოროვსკი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ბოლო მატჩში იტალიის ნაკრების წინააღმდეგ ხელმძღვანელობდა გუნდს, თუმცა მაშინ მთავარი მწვრთნელის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა.

გერმანულ მიუნხენის „ბაიერნში“ მოასპარეზე განელი მცველი, სამუელ ოსეი კუფური აცხადებს, რომ იტალიურ „ფიორენტინაში“ გადაბარგებას აპირებს. ფეხბურთელი ამბობს, რომ მას ძალიან მოეწატრა „ფიორენტინას“ თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი, სპეციალისტი, რომელმაც 1998 წელს მიუნხენი დატოვა და სამუშაოდ იტალიაში გადაბარგდა. „ტრაპატონი ხშირად მირეკავს და თავისთან სათამაშოდ მიხმობს“ — თქვა კუფურმა და დაამატა — „ვფიქრობ, მალე კვლავ ერთად ვიქნებით“.

გერმანულმა „ლევერკუზენმა“, ოთხშაბათს ორი ახალგაზრდა ხორვატი ფეხბურთელი, 19 წლის მცველი იურიცა ვრანეში და 18 წლის ნახევარმცველი მარკო ბაბიჩი შეიძინა. ეს ორი ჭაბუკი ხორვატულ კლუბ „ოსიეკის“ ღირსებას იცავდა. გერმანულმა კლუბმა მათთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმც ტრანსფერის ღირებულება არ გაამხილა. ამ ორი ფეხბურთელისადმი ინტერესს, ოქტომბერში, თვით ლონდონის „არსენალი“ იჩენდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

REUTERS ტოკიოდან

ფიფამ დაადგინა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის თილისმა. წარმოდგენილი სამეული კორეა-იაპონიაში გასამართი მსოფლიოს საფეხბურთო პირველობის სიმბოლოდ გადაიქცევა. თილისმის წარდგენის ოფიციალური ცერემონიალი 1 დეკემბერს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ჩატარდა და მას ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ რუფინენიც დაესწრო. კორეა-იაპონია 2002-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ შუნიჩირო ოკანომ (მარცხნივ) და იმავე ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა იასუჰიკო ენდომ დამსწრე საზოგადოებას ახალი თილისმა ასე წარუდგინეს.

კანუ აფრიკამ საუკეთესოდ მიიჩნია

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ ოთხშაბათს კონტინენტის წლის საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. ლონდონის „არსენალის“ ნიგერიელმა ფორვარდმა ნვანკვო კანუმ ეს ტიტული მეორედ მოიპოვა. პირველად მან ეს 1996 წელს შეძლო, როდესაც ნიგერიის ნაკრები ატლანტის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული გახდა. მაშინ, 23 წლის კანუ ამ გუნდის კაპიტანი გახლდათ.

კანუმ, რომელიც ადრე ამსტერდამის „აიაქსისა“ და მილანის „ინტერის“ ღირსებას იცავდა, გულის უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა, არავინ იცოდა, გააგრძელებდა თუ არა იგი საფეხბურთო კარიერას. თუმც, აშკარად გაუმართლა, მალე მომჯობინდა. ამჟამად იგი ლონდონის „არსენალში“ თამაშობს და საკმაოდ წარმატებულადაც.

გამოკითხვაში, რომელიც აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის ტექნიკურმა და პრესის კომიტეტებმა მოაწყვეს, კანუს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა მიუნხენის „ბაიერნის“ განელი მცველი სამუელ ოსეი კუფური. მესამე პოზიციაზე მარსელის „ოლიმპიკის“ კოტდივუარელი ფორვარდი იბრაჰიმ ბაკაიოკო გავიდა, რომელმაც მხოლოდ ორი ქულით აჯობა იტალიის ჩემპიონ „მილანში“ მოასპარეზე ჟორჟ ვეას.

აფრიკის 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელია ათეული

ნვანკვო კანუ (არსენალი, ინგლისი, ნიგერია)	46
სამუელ ოსეი კუფური (ბაიერნი, გერმანია, განა)	44
იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი, კოტდივუარი)	42
ჟორჟ ვეა (მილანი, იტალია, ლიბერია)	40
აუგუსტინ „ჯეი-ჯეი“ ოკოჩა (პსჟ, საფრანგეთი, ნიგერია)	30
არუნდა დინდენი (ASEC იბადანი, ნიგერია, კოტდივუარი)	28
ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია, ნიგერია)	26
ალი გენარბია (პსჟ, საფრანგეთი, ალჟირი)	24
მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი, მაროკო)	24
კალედ გადრა (ესპერანსი, ტუნისი, ტუნისი)	22

ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ რჩეული აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელები 1970 წლიდან

1970	სალიფ კეიტა (სენტ ეტიენი, საფრანგეთი, მალი)
1971	იბრაჰიმ სანდეი (ასანტე კოტოკო, განა)
1972	ჟერიფ სუემანი (ჰაფია, გვინეა)
1973	ტიშმენ გუანგა (TP მაზემბე, ზაირი)
1974	პოლ მუკილა (CARA ბრაზავილი, კონგო)
1975	აჰმედ ფარასი (მუჰამედია, მაროკო)
1976	როჟე მილა (კენონ იაუნდე, კამერუნი)
1977	ტარაკ დიაბი (ესპერანსი, ტუნისი)
1978	ძარიმ აბდულ რაზაკი (ასანტე კოტოკო, განა)
1979	ტომას ნკონო (კენონ იაუნდე, კამერუნი)
1980	ჟან მარგა ონგენე (კენონ იაუნდე, კამერუნი)
1981	ლაქდარ გელუმი (GCR მასკარა, ალჟირი)
1982	ტომას ნკონო (ესპანიოლი, ესპანეთი, კამერუნი)
1983	მაჰმუდ ელ ხატაბი (ალ აჰლი, ეგვიპტე)
1984	თეოფილ აბეგა (ტულუზი, საფრანგეთი, კამერუნი)
1985	მუჰამედ ტიმუმი (როიალ არმედ ფორკესი, მაროკო)
1986	გადუ ეზაკი (მალიორკა, ესპანეთი, მაროკო)
1987	რაბაჰ მაჯერი (პორტუ, პორტუგალია, ალჟირი)
1988	კალუშა ბვალია (სერკლ ბრიუგე, ბელგია, ზამბია)
1989	ჟორჟ ვეა (მონაკო, საფრანგეთი, ლიბერია)
1990	როჟე მილა (სენდენი, საფრანგეთი, კამერუნი)
1991	აბედი პელე (მარსელი, საფრანგეთი, განა)
1992	აბედი პელე (მარსელი, საფრანგეთი, განა)
1993	აბედი პელე (ლიონი, საფრანგეთი, განა)
1994	ჟორჟ ვეა (პსჟ, საფრანგეთი, ლიბერია)

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის რჩეულნი

1994	ემანუელ ამუნიკე (სპორტინგი, პორტუგალია, ნიგერია)
1995	ჟორჟ ვეა (მილანი, იტალია, ლიბერია)
1996	ნვანკვო კანუ (ინტერი, იტალია, ნიგერია)
1997	ვიქტორ იკპება (მონაკო, საფრანგეთი, ნიგერია)
1998	მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი, მაროკო)
1999	ნვანკვო კანუ (არსენალი, ინგლისი, ნიგერია)

ინგლისი

ლიგერთა ფასი 15 ტურიანი

პირველი ლიგა

პირველი ლიგა 2:3 ვესტ ჰემი
1:0 ჰილი (10), 1:1 ლამპარდი (21), 2:1 ბრანტერი (43), 2:2 ჯეტსონი (87), 2:3 ჯ. ბოული (90)

ბოლტონი 1:0 შეფილდ უენსდი
1:0 ელიოტი (53)

ჰადერსფილდი 1:2 დ.დ. (1:1) უიმბლდონი
1:0 სელარსი (40), 1:1 კიმბლი (60), 1:2 იუელი (101)

მიდლსბრო 2:2 არსენალი
1:0 რიკარდი (8), 1:1 ანრი (38), 1:2 შუკერი (80), 2:2 რიკარდი (833)
პენალტებით 3:1 მოიგო „მიდლსბრომ“

ტრანმერი 4:0 ბარნსლი
1:0 პარკინსონი (3), 2:0 მორგანი (45), 3:0 ჰილი (56), 4:0 ბლეიკი (86)

ასოციაციის თასი

II ეტაპის გადათამაშება

ბრაიტონი (III) 1:2 პლიმუთი (III)
კარდიფი (II) 1:0 დ.დ. (0:0) ბარი (II)
ენფილდი (მოყ) 0:3 პრესტონი (II)
ჰალიფაქსი (III) 0:1 რედინგი (II)
ჰალი (III) 3:2 დ.დ. (1:1) ჰეისი (მოყ)
ლინკოლნი (III) 0:1 ლუთონი (II)
ოქსფორდი 2:1 დ.დ. (1:1) შრიუსბერი
რაშდენ დაიმონდსი (მოყ) 3:0 ილკესტონი (მოყ)
უიგანი (II) 2:1 უიკომბი (II)

III ეტაპის ფილისყრა

10 დეკემბერი
კემბრიჯი — კრ. პალასი

11 დეკემბერი
ასტონ ვილა — დარლინგტონი ; ბოლტონი — კარდიფი ; ჩარლტონი — სუინდონი ; ჩესტერი — მანჩესტერ სიტი ; ქრიუ — ბრედფორდი ; დერბი ქაუნთი — ბარნლი ; ექსეტერი — ევერტონი ; ფულემი — ლუთონი ; გრიმსბი — სტოკპორტი ; ჰალი — ჩელსი ; პერეფორდი — ლესტერი ; ნორვიჩი — ქოვენთრი ; ნოტინგემი — ოქსფორდი ; პრესტონი — ოლდემი ; ქუინზ პარკი — ტორკი ; რედინგი — პლიმუთი ; ტრანმერი — ვესტ ჰემი ; შეფილდ უენსდი — ბრისტოლ სიტი ; სანდერლენდი — პორტსმუთი ; უოლსოლი — ჯილინგემი ; უოტფორდი — ბირმინგემი ; ვესტ ბრომვიჩი — ბლექბერნი ; უიმბლდონი — ბარნსლი ; რექსჰემი — მიდლსბრო ; უიგანი — ვულვერჰემპტონი

12 დეკემბერი
ჰადერსფილდი — ლივერპული ; ლიდსი — პორტვეილი ; შეფილდ იუნაიტედი — რაშდენ დაიმონდსი ; ტოტენჰემი — ნიუკასლი

13 დეკემბერი
არსენალი — ბლექპული ; იფსვიჩი — საუთჰემპტონი

I დივიზიონი

გადადებული მატჩები

ჩარლტონი 1:2 ბლეძბერნი
0:1 უორდი (11), 1:1 ნიუტონი (45), 1:2 უორდი (47)

ძუინზ პარკი 3:1 შეფილდ იუნ.
1:0 სტეინერი (7), 2:0 უორდლი (9), 3:0 ბრეკერი (49), 3:1 დევლინი (87)

იტალია

თასი. მეორეფინალი.
I წრე

ინტერი 2:1 ბოლონია
1:0 გეორგატოსი (10), 2:0 ხ. ძანეტი (36), 2:1 ვენტოლა (80)

ჰოლანდია

XIV ტურის მატჩი

როდა 3:1 მაასტრიხტი
1:0 ტჩუტანგი (12), 2:0 ზაფარინი (41), 2:1 ტაივუ (56), 3:1 ლავალი (71)

გერმანია

თასი. მეორეფინალი

ფრაიბურგი 2:0 კოტბუსი
1:0 სელიმი (45), 2:0 ბრუნსი (49)

მაინცი 2:1 დ.დ. 1:1 ჰერტა
0:1 პრეეცი (67), 1:1 ტურკი (82), 2:1 მარსიო როდრიგესი (99)

შტუტგარტი 4:0 კიოლნი
1:0 განეა (37), 2:0 პინტუ (52), 3:0 განეა (63), 4:0 ჰოსნი (90)

ტრირი 0:4 ჰანზა
0:1 არვიდსონი (63), 0:2 ბრანდი (66), 0:3 ბრაიტკროიცი (78), 0:4 ბაუმგარტი (82)



ლუკა ბუჩი

სახე საფეხბურთო არ არის

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ყურად იღო „ტორინოს“ მეკარის, ლუკა ბუჩის წინაალმდეგ წაყენებული ბრალდება, თითქოს მან მეტოქე გუნდის, „პერუჯას“ ოფიციალურ პირს სახეში სიგარეტი მიარტყა.

ინციდენტი, როგორც იტყობინებიან, კვირას, სერია A-ს მორიგი ტურის მატჩის დამთავრების შემდეგ მოხდა. ტურინში გამართულ შეხვედრაში „პერუჯამ“ 1:0 გაიმარჯვა.

„ჩვენ გამოძიება დავნიშნეთ. უკვე გამოყოფილია ხალხი, რომლებიც ორივე კლუბს მიაკითხავს და მომხდარის თაობაზე შეძლებისდაგვარად დიდ ინფორმაციას მოიპოვებს“ — განუცხადა სააგენტო „როიტერს“ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ — „შედეგები გამოქვეყნდება, თუმცა წარმოდგენა არ მაქვს რა გამოვა ამ საქმიდან, ვინაიდან ინციდენტის შესახებ ჩვენც ისევე ყურმოკვრით ვიცით, როგორც ფართო საზოგადოებამ“.

„პერუჯას“ მიერ გავრცელებულ ცნობაში კი წერია, რომ ბუჩიმ — იტალიის ნაკრებში სამჯერ უთამაშია — მის სპორტულ დირექტორს, ერმანო პიერონის სახეში სიგარეტი გაარტყა და ამის მიზეზი ამ ორს შორის, მანამდე, გვირაბში მომხდარი შელაპარაკება გახლდათ.

„პერუჯა“ იმასაც ამტკიცებს, რომ გვირაბში ბუჩიმ პიერონის ხელიც გაარტყა.

„დაახლოებით 45 წუთის შემდეგ, როდესაც პიერონი სტადიონის ავტოსადგომზე ფეხბურთელებს ელოდებოდა, რათა შინისკენ გამგზავრებულიყვნენ, მას მოულოდნელად თავს ბუჩი დაესხა. იგი დირექტორს მიუახლოვდა და ანთებული სიგარეტი პირდაპირ სახეში უთავაზა“.

სხვა ინფორმაციის მაძიებელ ჟურნალისტებს „პერუჯას“ პრეს-მდივანმა განუცხადა, რომ დასამტკიცებელი არაფერია.

„ტორინომ“, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ოფიციალურ განცხადებას მოგვიანებით გააკეთებს.

„ტორინოსა“ და „პერუჯას“ შორის ცუდი ურთიერთობა 1997-98 წლების სეზონიდან მოდის. მაშინ „პერუჯამ“ ტურინელები პენალტებით დაამარცხა და სერია B-დან სერია A-ში აღზევების უფლება მოიგო.

გასულ სეზონში „პერუჯასა“ და „მილანის“ შეხვედრის წინ, დღემდე დაუდგენელმა ვანდალებმა პერუჯელთა ავტობუსს საბურავები ჩაუფუშეს. პრესაში, რატომღაც, ხელი მყისვე „ტორინოს“ გულშემატკივრებს დაადეს.

იტალიელი ჟურნალისტები იმასაც ვარაუდობენ, რომ ბუჩისა და პიერონის შორის მომხდარ ამბავს სათავე შეიძლება 1997 წელს ჰქონდეს აღებული, რამეთუ ეს ის დროა, როდესაც „ტორინოს“ კარის დღევანდელი მცველი „პერუჯაში“ — ცოტა ხნით — გამოდიოდა.

ბუჩი 30 წლისა გახლავთ. მან რვა სეზონი „პარმაში“ გაატარა. „ტორინოში“ იგი 1998 წლის იანვარში გადავიდა და გუნდის სერია A-ში დაბრუნებაში თავისი წვლილი შეიტანა.

სამუშაო ევროპაში

ევრო 2000-ის მოსამზადებელი სამუშაოები გრძელდება. პრაქტიკაში მიღებულია, გრანდიოზული ტურნირების ორგანიზატორები დასახმარებლად მოხალისეებს უხმობენ ხოლმე. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებმა სამშაბათს გამოაცხადეს, რომ 3200 მოხალისის მიწვევას აპირებენ. ისინი ძირითადად მასპინძელი ქვეყნების — ბელგიისა და ჰოლანდიის მოქალაქეები იქნებიან. მოხალისეთა შერჩევა და მომზადება ორ დიდ დასაქმების სააგენტოს დაევალა. განცხადების მიღება ინტერნეტის საშუალებით იწარმოებს. შეჯიბრების ორგანიზატორებმა მათი დასაქმების სფეროებიც დასახელეს. მოხალისეები მძღოლებად, ავტოსადგომების მორიგეებად, ასევე სტუმართა დახვედრისა და აკრედიტაციის სამსახურებში ასისტენტებად იმუშავებენ. ისინი ჩემპიონატის მასპინძელ რვა ქალაქში განაწილდებიან.

ცხადია, აღნიშნულ განცხადებას საჭიროზე გაცილებით მეტი მსურველი გამოეხმაურება. ამ ნაკადის შესამცირებლად მასპინძლებმა მსურველები გააფრთხილეს: „მოხალისეებს ვურჩევთ, კარგად დაფიქრდნენ და შემდეგ გამოგვეხმაურონ. მათ თამაშების ყურების ძალიან ცოტა შანსი აქვთ. უმრავლესობა სტადიონებს გარეთ იმუშავებს. მოხალისეებს, ვინც უშუალოდ მატჩებს მოემსახურებიან, იმდენი საქმე ექნებათ, რომ მინდორზე გასახედად ვერ მოიცლიან“.

ისინი, ვისაც ამ განცხადების არ შეეშინდა, ორგანიზატორებს შემდეგ მისამართზე უნდა დაუკავშირდნენ: http://euro 2000. adecco.be

ნდლელა — აფრიკელთა შემარცხვენელი

მოგეხსენებათ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურს, ამ დროს კი ქვეყანაში ახალი სკანდალი აგორდა. ვინმე ჯო ნდლელა სასამართლოს წინაშე წარსდგა. ეს კაცი 1993-96 წლებში სახელმწიფო სატრანსპორტო კომპანიის პრეზიდენტი იყო. მას კორუფციაში ადანაშაულებენ. იკითხავთ, ტრანსპორტის სფეროს მუშაკს ფეხბურთთან რა კავშირი აქვსო? პირდაპირი, ნდლელა ამჟამად სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორია. ასეთი მაღალი თანამდებობის პირის კორუფციაში დადანაშაულება, თუნდაც ფეხბურთს არ ეხებოდეს, ჩემპიონატის მასპინძლობის პრეტენდენტ ქვეყანას ჩრდილს აყენებს.

სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციას ისღა დარჩენია, თავი იმართლოს. ფედერაციის პრეზიდენტმა და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დენი ჯორდანმა ფიფას გასაგონად თქვა, მომხდარი ჩვენი შინაური პრობლემაა და ვიმედოვნებ, ფიფას საბოლო გადაწყვეტილებაზე არ იმოქმედებსო.

საქმეში ქვეყნის სპორტის მინისტრი, ნგკონდე ბალფური ჩაერია. ის ჯერ ეჭვმიტანილს შეხვდა და ახლა ფეხბურთის სხვა ბოსებთან შეხვედრას აპირებს. მინისტრმა განაცხადა: „ნდლელას დანაშაულს ფეხბურთთან არანაირი კავშირი არა აქვს. უკანონო ქმედება მან სხვა სფეროში მუშაობისას ჩაიდინა. ჩვენ სასამართლოს ფუნქციებში ვერ ჩავერევით. კანონი თავის სათქმელს იტყვის“.

თუმცა საქმე არც ისეა, როგორც სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის მესვეურებს სურთ, წარმოაჩინონ. ქვეყანაში უსაფრთხოების არანაირი გარანტიები არ არსებობს. იამავე ნდლელას საცხოვრებელი სახლი იოჰანესბურგში უცნობებმა დაცხრილეს. ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის — „მოროკას“ ბრაზილიელი მწვრთნელი ვოლტერ და სილვა ასევე უცნობმა პირებმა გაიტაცეს და მოკვლით ემუქრებოდნენ. არსებობს ეჭვი, რომ ამგვარ ქმედებებს უკან თავად კლუბების პრეზიდენტები დგანან. სიტუაცია იმდენად მწვავეა, რომ სპორტის მინისტრმა საგანგებო კომიტეტის შექმნა ბრძანა. ანალოგიური საგანგებო კომიტეტი სამი წლის წინაც შეუკრებიათ. მაშინ კომიტეტმა ფეხბურთის ფედერაცია გრანდიოზულ ფინანსურ მაქინაციებში ამხილა და მისი პრეზიდენტი სტიქს მორევა შეიწირა.

სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის მამები მაინც ჯიუტად აცხადებენ, ეს ყველაფერი ჩვენი შინაური პრობლემებია და მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილთან კავშირი არააქვსო.

გიორგი დარჯანია

კუმანი ვიტესს მიხედავს

ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ხოლო ამჟამად ესპანური „ბარსელონას“ დამხმარე მწვრთნელი, ჰოლანდიელი რონალდ კუმანი ახალი წლიდან ახალ კლუბ — ჰოლანდიის ჩემპიონატში მოასპარეზე არნემის „ვიტესს“ ჩაიბარებს. გუნდის ცნობით, მათ თითქმის დაამყარეს მოლაპარაკებები კუმანთან და იანვრიდან გააფორმებენ კონტრაქტს.

„გადავწყვიტე, რომ დროა, მთავარი მწვრთნელობაც მოვსინჯო — განაცხადა ჰოლანდიელმა — „ვიტესი“ მშვენიერი გუნდია, მას ბრწყინვალე მომავალი ელის, მსურს, ამ ყველაფრის მონაწილე ვიყო.“

ოფიციალური ინფორმაციით, კუმანის სამაგიეროდ „ბარსელონას“ არავითარი კომპენსაცია არ მოუთხოვია. „ბარსასთან“ მშვენიერი მოგონებები მაკავშირებს, ძლიერ მწყდება გული, რომ ამ გუნდს ვტოვებ“ — თქვა კუმანმა, პიროვნებამ, რომელმაც კატალონიური კლუბის ისტორიაში საპატიო ადგილი დაიკავა — მისმა გოლმა „ბარსას“ ჩემპიონთა თასის ფინალის დამატებით დროში, 1992 წელს ნანატრი თასი მოუტანა.

კუმანმა გულისნადებიც გაამჟღავნა — „სრულიადაც არ ვმალავ, რომ ჩემი ცხოვრების ოცნება „ბარსელონას“ მწვრთნელობაა“. მან ორიოდ სიტყვა „ბარსელონას“ ახლანდელ თავკაცზე, ლუის ვან გაალზეც თქვა: „უდიდეს პატივს ვცემ ვან გაალს, მასთან მუდმივად მექნება კონტაქტი და საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ რჩევისა და დახმარებისთვის უყოყმანოდ მივმართავ.“

სამი მუხლის ამბავი

რონალდო, გეორგე ჰაჯი და პიერლუიჯი კაზირაგი ამ დღეებში ბედმა გააერთიანა — ისინი საოპერაციო მაგიდაზე მოხვდნენ და მუხლის ოპერაცია გაიკეთეს.

მილანის „ინტერის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდო, პარიზის ცენტრში მდებარე, მდიდრულ „პიტი სალპეტრიუს“ საავადმყოფოში წევს. ექიმების აზრით ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.

„ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაცია დაუყოვნებლივაა მოსალოდნელი, ხოლო მის მოედანზე დაბრუნებას ოთხი ან ხუთი თვის მერე უნდა ველოდოთ“ — ეწერა საავადმყოფოს მიერ გავრცელებულ მოკლე, ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ რონალდოს კლუბი ირწმუნებოდა, თავდამსხმელი საქმეს სამი თვის შემდეგ უეჭველად დაუბრუნდებოდაო.

ბრაზილიელმა ტრავმა 21 ნოემბერს, „სან სიროზე“, „ინტერისა“ და „ლეჩეს“ შეხვედრის დროს მიიღო. თამაშში, რომელიც „ინტერმა“ 6:0 მოიგო, რონალდოს სელ მინდორზე ფეხი დაუცდა და მარჯვენა მუხლის მყესები ფაქტობრივად გაუწყდა. აღსანიშნავია, რომ დაშავებამდე რამდენიმე წუთით ადრე მან თერთმეტმეტრიანი დარტყმით გოლი გაიტანა.

რონალდოს მუხლების ამბავი საყოველთაოდაა ცნობილი. იტალიაში გადაბარგებისა და 1997-98 წლების სეზონის დიდებულად ჩატარების შემდეგ, იგი სწორედ მუხლების დაუსრულებელ ტრავმათა გამო ვერა და ვერ დაუბრუნდა თამაშის მისთვის ჩვეულ დონესა და რიტმს. გასულ სეზონში რონალდომ თავიდან ბოლომდე მხოლოდ 11 შეხვედრაში ითამაშა, ხოლო ახალში, ორად ორჯერ შეძლო 90 წუთიანი „შეყოვნება“ მოედანზე.

როგორც გავიგეთ, მუხლის ოპერაცია გაკეთა რომენიელი ნაკრების კაპიტანმა ანდრეი პეტრესკუ. მასთან ერთად ოპერაციას ესწრებოდა, იოან ბეჩალიც განაცხადა:

„ჰაჯის“ მარჯვენა მუხლიდან ექიმებმა მცირე კისტა ამოიღეს. ოპერაციამ მხოლოდ ნახევარ საათს გასტანა და წარმატებით დასრულდა. ფეხბურთელი თავს კარგად გრძნობს“.

35 წლის გეორგე ჰაჯი თურქული „გალათასარაის“ კაპიტანიც გახლავთ. ბეჩალის თქმით, იგი დახლოებით ერთ კვირაში სრულიად გამოჯანსაღდება და მოედანსაც დაუბრუნდება.

ლონდონური „ჩელსის“ იტალიელ თავდამსხმელს, პიერლუიჯი კაზირაგის კი ბოლონიის კლინიკაში მოუხდა საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა. ქირურგებმა კაზირაგისაც მარჯვენა მუხლი გაუკეთეს.

„ოპერაციამ საათზე ოდნავ მეტხანს გასტანა. მისი მიზანი ნაიარევი ქსოვილის გაწმენდა გახლდათ“. — ბრძანა ქირურგმა მაურილიო მარკაკმ. — „კაზირაგის რამდენიმე დღით საავადმყოფოში დარჩენა მოუწევს. როდის დაუბრუნდება იგი მინდორს, ნამდვილად ვერ მოგასხენებთ, ძირითადად იმიტომ, რომ მარტო მუხლის პრობლემა არ გვიდგას, მას წვივიც დაშავებული აქვს. მთავარი კი მაინც ის გახლავთ, რომ მუხლზე მეტი ოპერაცია აღარ დასჭირდება“.

კაზირაგიმ მუხლის მყესები 1998 წლის ნოემბერში „ვესტ ჰემის“ მეკარესთან, შაკა ჰისლოპთან შეჯახების დროს გაიწყვიტა. მას მერე ფორვარდმა რვა ოპერაცია გაიკეთა.

ოდესღაც იტალიის საუკეთესო ბომბარდირი, ცხრა სეზონის განმავლობაში „იუვენტუსსა“ და „ლაციოში“ თამაშობდა, გასულ წელს კი ლონდონს მიაშურა.

მიხეილ სურგულაძე

პიერლუიჯი კაზირაგი

გეორგე ჰაჯი



რონალდო

ბანკიდან ტოკიომდე გაბრწყინებული

„მანჩესტერ იუნაიტედს“ მხოლოდ „ლივერპულისა“ შურს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მიერ „პალმეირასის“ 1:0 ძლევამ, ალექს ფერგიუსონი და მისი ბიჭები როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ მსოფლიოს ჩემპიონებად აქცია. აი, რას ვგულისხმობთ:

უმდიდრესი

ოთხშაბათს, ინგლისურ ჟურნალ „ფორ ფორ თუში“ გამოქვეყნდა მსოფლიოს 20 უმდიდრესი კლუბის ჩამონათვალი. სია შედგენილია საკუთრივ ჟურნალისა და „დელოიტ ენდ ტაჩის“ მიერ. 20 გუნდიდან 14 ინგლისური ან იტალიური გამოდგა. დანარჩენი ექვსიც ევროპის კონტინენტიდან გახლავან.

უმდიდრესთა წინა ჩამონათვალი მე-11 ადგილი ბრაზილიურ „ფლამენგოს“ ეკავა. მაგრამ ახლა, სათანამგზავრო ტელეარხებიდან მიღებული შემოსავლების წყალობით, იგი ევროპელებმა განდევნეს.

სუპერმდიდართა სიიდან განიდევნენ ესპანური „ატლეტიკო მადრიდი“ და ჰოლანდიური „აიაქსიც“, პირველ ადგილზე კი ან უკვე საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახლავთ. მას 1997-98 წლების სეზონში საერთო შემოსავალი 87,9 მილიონი გირვანქა ჰქონია.

აღსანიშნავია, რომ თანხა 1996-97 წლების სეზონთან შედარებით ფაქტობრივად არ შეცვლილა, მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მომავალ წელს იგი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

„ფორ ფორ თუ“ წერს: „მანჩესტერელთა 87,9 მილიონი დოლარი ნიშნავს, რომ 1997-98 წლებში მათ 20 პროცენტით აჯობეს მადრიდის „რეალს“, რომელმაც თავის მხრივ, 72,2 მილიონით გასული წლის მეორე ნომერი, „ბარსელონა“ დაჩრდილა.“

„რეალის“ მაჩვენებელი წინა მონაცემებთან შედარებით დაახლოებით 17 მილიონი გირვანქით მეტია, რაც ძირითადად კომერციულმა ტელევიზიამ და კლუბის 1998 წლის ჩემპიონთა თასის ტრიუმფმა განაპირობა.

„ის გარემოება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაჩვენებელი ფაქტობრივად არ გაზრდილა, მის სტაბილურობაზე მიგვითითებს. კლუბს ერთი და იგივე შემოსავალი ჰქონდა როგორც საოცრად წარმატებულ, ასევე იმ სეზონში, არაფერი რომ მოუგია. მომავალ წელს კი ეს რიცხვი 25 პროცენტით გაიზრდება და 111 მილიონ გირვანქას მიაღწევს. და მაინც, რაოდენ დაუჯერებელიც შეიძლება გეჩვენოთ, ეს იქნებ არც იყოს საკმარისი პირველი ადგილის შესანარჩუნებლად, რამეთუ ესპანეთსა და იტალიაში საუკეთესო კლუბები ტელეკომპანიებთან სულ უფრო მდიდრულ და მდიდრულ კონტრაქტებს აფორმებენ“ — წერია ჟურნალში.

გერი ბუნი, „დელოიტ ენდ ტაჩის“ საფეხბურთო ინდუსტრიის გუნდის თავმჯდომარე აცხადებს, რომ გამდიდრების ზრდის ძირითადი წყარო ტელეშემოსავლები გახლავთ.

„მიმდინარეობს პოლარიზაცია და არა მარტო ლიგებს შორის, არამედ გუნდებს შორისაც კი. გასულ წელს უმდიდრესთა სიაში რვა ქვეყნის გუნდი მოხვდა. ნლეულს კი მათი რაოდენობა ექვსამდე შემცირდა — ბრაზილია და ჰოლანდია ოცეულიდან გავარდნენ“.

„ფორ ფორ თუს“ რედაქტორი, მაიკლ ჰანი დასძენს, „პრემიერლიგის ტელეკონტრაქტი 2001 წლიდან რომ არ იცვლებოდეს, ინგლისურ კლუბებს მდიდართა შეჯიბრებაში თამამად მონაწილეობა გაუჭირდებოდათ“.

„იუნაიტედი“, რომელმაც გასულ სეზონში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, ფეხბურთის ასოციაციისა და ევროპის ჩემპიონთა თასები მოიგო, საკუთრივ პრემიერლიგაში ულაპარაკოდ უმდიდრესი გახლავთ. მას მოსდევს „ნიუკასლ იუნაიტედი“, გუნდი, რომელიც ინგლისის ჩემპიონის ტიტულს ბოლოს, 1927 წელს ფლობდა, მაგრამ უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობს მსოფლიოს უმდიდრეს კლუბთა შორის. „კაჭკაჭები“ 49,2 მილიონი გირვანქით მეორე ადგილზე გახლავან.

ოცეულის ახალი წევრი მეცხრე ადგილზე დამკვიდრებული „ჩელსი“ გახლავთ. სხვათა შორის, ტურისტული სააგენტოს მონაგები ფულიც რომ გაეთვალისწინებინათ, ლონდონელები უთუოდ მეორე ადგილზე დამკვიდრდებოდნენ.

ოცეულში მოხვდნენ „ლივერპული“, „არსენალი“, „ასტონ ვილა“, „ტოტენჰემ ჰოთსპური“ და „ლიდს იუნაიტედიც“.

იტალიის უმდიდრეს კლუბად „იუვენტუსი“ წარმოჩნდა, რომელმაც საყოველთაო სიაში მეოთხე ადგილი დაიკავა. ექსპერტები ტურინელებსაც ამბოხადგომ მნიშვნელოვან მატჩებამ [illegible] წარმატებულებს.

გერმანიის უმდიდრეს „[illegible]რნი“ ყოფილა.

უბედნიერესი

სამშაბათს, ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა. ბუნებრივია, მანჩესტერელთა ქომაგების უმრავლესობამ იაპონიის დედაქალაქში ჩასვლა ვერ მოახერხა, თუმცა მათი როლი ამომავალი მზის ქვეყნის ფანებმაც ჩინებულად შეასრულეს. ისინი სტადიონზე „იუნაიტედის“ მაისურებში გამონყობილნი მხურვალედ ქომაგობდნენ „ბებერი კონტინენტის“ წარმომადგენლებს.

ინგლისელ გულშემატკივართა მსგავსად, იაპონელებსაც ზურგზე თავიანთი კერპთა გვარები ენერათ. ყველაზე ხშირად ბექემს შენიშნავდით.

ყოველთვის, როდესაც ბექემი საჯარიმოს ან კუთხურის ჩასაწოდებლად მოემზადებოდა, ტრიბუნაზე ათასობით ფოტოაპარატი იწყებდა ციმციმს, ხოლო ყიჟინა წარმოუდგენელ მასშტაბებს აღწევდა.

17 წლის იაპონელი, რეი მასაკი განმარტავს, რატომ ეცვა წითელი მაისურა და რატომ უჭერდა ინგლისელებს მხარს: „მანჩესტერელთა თამაშებს სათანამგზავრო ტელეარხებით მუდმივად ვადევნებ თვალს, თუმცა ცოცხლად ისინი არასდროს მენახა. მათ ისეთი დიდებული გუნდი ჰყავთ, რომ ცქერა ერთ რამედ ღირდა. მართალია, ჯერ ლიგის რამდენიმე გუნდი მესიმპათიურება, მაგრამ ჩემს გუნდად სწორედ „იუნაიტედი“ მიმაჩნია. მუდამ ისეთი გრძნობა მაქვს, რომ კლუბის წევრი ვარ. ჩემი აუხდენელი ოცნება, „ოლდ ტრეფორდზე“ მატჩის ხილვა გახლავთ“.

სამშაბათის გამარჯვებამ „იუნაიტედს“ 90-იანი წლების მე-13 დიდი ჯილდო მოუტანა. და მაინც, გუნდს, 1970-იან და 80-იან წლებში, საერთაშორისოზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთი ეროვნული ტიტულიც არ მოუპოვებია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოვლისმპყრობელ „ლივერპულთან“ შედარება, მისდა სამწუხაროდ, მეტისმეტად ნაადრევი გახლავთ.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ერთობ უცნაური გუნდია. მას ყველა ასაკის აურაცხელი ქომაგი ჰყავს — როგორც გაირკვა ტოკიოშიც — თუმცა იმავდროულად ინგლისსა თუ მის გარეთ, იმდენივე მოძულეც დაუდის.

კლუბის ქომაგთა შორის არიან ისინიც, ვინც 1958 წლიდან — მატ ბასბისეული დიდი გუნდის ავიაკატასტროფაში დაღუპვის თარიღია — ერთგულობენ მას. მათ უნახავთ დენის ლოუს, ჯორჯ ბესტისა და ბობი ჩარლტონის ბრწყინვალე თამაში. იმ თაობის ჯადომ, ფანებს უსახური 70-იანები და 80-იანები გადაატანინა.

1990-იან წლებში კი „იუნაიტედმა“ ახალი თაობის მხარდამჭერნი შეიძინა. მათ ფეხბურთის ასოციაციის თასის ოთხჯერ, იმავე ტრიუმფისა და ჩემპიონის ტიტულის ერთდროულად სამჯერ, ევროპის ჩემპიონთა თასისა და ახლა, საკონტინენთაშორისო თასის მოპოვება იხილეს.

მათ იციან, რომ უმდიდრესი და უძლიერესი კლუბის ფანები არიან და იმედოვნებენ, რომ მომავალი ორი ათწლეული უსახური არ იქნება. მაშინ, იქნებ, „ლივერპულის“ დიდების დარბაზმაც უკან დაიხიოს...

მიხეილ სურგულაძე

მსოფლიოს ყველაზე მდიდარ კლუბთა ცხრილი

	ადგილი შარშანდელ სეზონში	კლუბი	წლევანდელი მონაგარი	შარშანდელი მონაგარი
1	(1)	მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)	87.9	(87.9)
2	(3)	რეალი (მადრიდი, ესპანეთი)	72.2	(55.7)
3	(5)	ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია)	65.2	(51.8)
4	(4)	იუვენტუსი (ტურინი, იტალია)	55.3	(51.8)
5	(8)	ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი)	49.2	(41.1)
6	(2)	ბარსელონა (ესპანეთი)	48.6	(58.9)
7	(6)	მილანი (იტალია)	48.6	(46.1)
8	(10)	ინტერი (მილანი, იტალია)	48.2	(38.2)
9	(ოცეულში არ იყო)	ჩელსი (ლონდონი, ინგლისი)	47.5	(23.7)
10	(9)	ლივერპული (ინგლისი)	45.5	(39.2)
11	(7)	ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია)	41.5	(42.2)
12	(19)	ლაციო (რომი, იტალია)	41.1	(27.3)
13	(20)	არსენალი (ლონდონი, ინგლისი)	40.4	(27.2)
14	(18)	პარმა (იტალია)	33.4	(27.8)
15	(13)	პსჟ (პარიზი, საფრანგეთი)	32.9	(31.7)
16	(14)	გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)	32.5	(31.7)
17	(ოცეულში არ იყო)	ასტონ ვილა (ბირმინგემი, ინგლისი)	31.8	(22.1)
18	(16)	ტოტენჰემ ჰოთსპური (ლონდონი, ინგლისი)	31.2	(27.9)
19	(15)	რომა (რომი, იტალია)	30.7	(28.2)
20	(ოცეულში არ იყო)	ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)	28.3	(21.8)

ახალი ფენომენი

საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მასპინძლებთან სამარცხვინო წაგების შემდეგ, ბრაზილიის ნაკრებს ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა. ჩავარდნა აშკარა იყო. ამას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის, რონალდოს ტრავმაც დაემატა. მაგრამ ბრაზილიელები რის ბრაზილიელები იქნებოდნენ, ჩრდილში დიდხანს გაჩერებულიყვნენ. წლეულს ზაფხულში, „კოპა ამერიკაზე“ ისინი კვლავ პირველები გახდნენ. ნაკრებში კი ახალი ვარსკვლავი, 19 წლის თავდამსხმელი რონალდინიო გამოჩნდა. ვენესუელასთან მატჩში მან იშვიათი სილამაზის ბურთი გაიტანა, რომელიც ძალიან ჰგავდა, 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭაბუკი პელეს მიერ შვედების კარში გატანილ გოლს. ამ დღის შემდეგ მთელი ბრაზილია რონალდინიოზე ალაპარაკდა. „გრემიოს“ ფორვარდი ადგილობრივების კერპი გახდა. მერე ისიც გაიხსენეს, რომ 1997-ში 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მას ბადალი არ ჰყავდა. ახლა რონალდინიოს ახალ ფენომენს უწოდებენ და ისიც გულახდილად ესაუბრება ჟურნალ „უორლდ სოკერს“.

რონალდინიო

— თავიდან ეს გვითხარით, რატომ გეძახიან რონალდინიოს?

— ბავშვობაში შემარქვეს. რონალდინიო პატარა რონალდოს ნიშნავს. როცა წამოვიზარდე, რონალდო გავხდი, მაგრამ მერე „კოპა ამერიკაზე“ ბრაზილიის ნაკრებში მიმიწვიეს და ვინაიდან იქ ერთი რონალდო უკვე იყო, ისევ რონალდინიოდ გადავიქეცი.

— ქომაგები ერთი წუთითაც არ გაძლევენ მოსვენებას. ალბათ ძნელია არა?

— რა თქმა უნდა. სადაც არ უნდა ვიყო, უამრავი ხალხი მეხვევა, მაგრამ ვცდილობ, ყურადღებას ყურადღებითვე ვუპასუხო, გაწბილებული არავინ დავტოვო. ადრე ხომ მეც ჩვეულებრივი გულშემატკივარი ვიყავი და მინდოდა, ცნობილ ფეხბურთელებთან ყოველთვის ახლოს მეტრიალა. ამიტომ, ქომაგებისა კარგად მესმის. ავტოგრაფების დარიგებისას სასიამოვნო გრძნობა მეუფლება. რახან ავტოგრაფს მთხოვენ, გამოდის, ხალხი ჩემს მუშაობას აფასებს.

— თავად ვისთვის გამოგირთმევიათ ავტოგრაფი?

— ერთი ასეთი ფეხბურთელი ვალდო გახლდათ. მაშინ ის „გრემიოში“ თამაშობდა, მე კი ბავშვი ვიყავი. სადაც არ უნდა წავსულიყავი, მისი ხელმოწერილი ქაღალდი ყოველთვის თან დამქონდა.

— საკუთარი მომავალი გაშფოთებთ?

რონალდინიოსთან (№7) ჰიდილი ერთობ ძნელია

— არავინ იცის, რა მოელის ნებისმიერ ფეხბურთელს. მათ შორის, მეც. ფეხბურთი მომენტის თამაშია. თუ მინდორზე შენს საუკეთესო თვისებებს არ გამოავლენ, ადგილს უმალ სხვა დაიკავებს. ამიტომ, ვეცდები, ყოველთვის ბოლომდე დავიხარჯო, სხვაგვარად, საოცნებო ბრაზილიის ნაკრებში დიდხანს არ გამაჩერებენ.

— იმ გოლის შესახებ მოგვიყევით, ვენესუელასთან რომ გაიტანეთ...

— მანამდე თითქმის არავინ მიცნობდა. მერე კი ჩემი ცხოვრება უცებ შეიცვალა. ადამიანები დაინტერესდნენ, საიდან ვარ, სად ვთამაშობ და რა მისწრაფებები მაქვს. ყველა ჟურნალისტი ცდილობს, პირადად გამეცნოს. დღეს ყოველი ჩემი ნაბიჯის შესახებ გაზეთები წერენ.

— რონალდომაც ზუსტად ასე დაიწყო. მაგრამ ქომაგებისა და პრესის დაწოლა ყოველდღიურად იზრდებოდა და იზრდება. არ გეშინიათ, რომ ერთხელაც ზეწოლას ვერ გაუძლებთ?

— არა. ამის შესახებ არაერთხელ მისაუბრია რონალდოსთან, კაფუსთან და სხვა გამოცდილ მოთამაშეებთან. უამრავი სასარგებლო რჩევა მომცეს. ამიხსნეს, როგორი შეიძლება იყოს ჩემი მომავალი. ამიტომ გამოცდისთვის მზად ვარ. საერთოდ, ამ მხრივ რაიმე პრობლემა არასოდეს მქონია და ვიმედოვნებ, არც მომავალში შემექმნება.

— რა გითხრეს რონალდომ და კაფუმ?

— გამოცდილება გამიზიარეს. მაგალითად, თუ თამაში არ გამოგდის, მაინც უნდა ეცადო, ყველას დანახვო, რომ თავს არ ზოგავ და ბოლომდე იხარჯები. ყველაზე მთავარი, ალბათ, სუფთა სინდისით თამაშია.

— თქვენ მეორე კიჭასაც გეძახიან. საინტერესოა, ამ ბოლო დროს რატომ აქვთ ბრაზილიელ ფორვარდებს წინ გამოწეული ზედა კბილები?

— არ ვიცი. როცა ბრაზილიაში ვარ, საგანგებო სტომატოლოგიურ სამაგრს ვხმარობ. მინდა, ეს ნაკლი გამოვისწორო. ასეთი კბილების პატრონს ძალიან უჭირს პირის მოკუმვა. ამიტომ, თამაშისას ერთთავად პირით სუნთქვა გიწევს. ცხვირი პრაქტიკულად უსარგებლოა. ერთი სიტყვით, რონალდოსი არ ვიცი, მაგრამ კიჭად ყოფნას აღარ ვაპირებ. როცა ნაკლს მოვიშორებ, გამძლეობა ერთიორად გამეზრდება. თუმცა, ჯერ ახალგაზრდა ვარ და სუნთქვის პრობლემაც არ მაწუხებს.

— თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე?

— ყოველ მხრივ განვითარებული ცოდნა. დიდ [illegible] ვფიქრობ [illegible] ძოლებს, [illegible] კიბეტ[illegible] და, [illegible] — [illegible] [illegible] ვარ [illegible] ვგრძნობ, [illegible] ვარ [illegible] ვგრძნობ, [illegible] ვარ [illegible] ვგრძნობ,

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში) 11[00] საათიდან 18[00] საათამდე მუშაობს

გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
კიოლნი	13	9	3	1	29:10	30	6	1	0	21:4	3	2	1	8:6
კოტბუსი	13	9	1	3	30:14	28	6	0	1	17:7	3	1	2	13:7
ბერლინი	13	5	6	2	22:16	21	3	3	1	10:7	2	3	1	12:9
მაინცი	13	5	6	2	18:16	21	3	3	0	8:4	2	3	2	10:12
ნიურნბერგი	13	6	3	4	21:23	21	5	1	0	14:7	1	2	4	7:16
ალემანია	13	5	4	4	22:25	19	3	2	1	13:8	2	2	3	9:17
ფიურტი	13	4	6	3	10:9	18	2	5	0	4:1	2	1	3	6:8
ქემნიცი	13	5	3	5	17:17	18	3	2	1	11:7	2	1	4	6:10
ბოხუმი	13	5	2	6	22:21	17	3	0	4	17:15	2	2	2	5:6
ჰანოვერი	13	5	2	6	20:19	17	2	2	2	11:9	3	0	4	9:10
კიკერსი	13	4	4	5	19:24	16	4	2	1	13:9	0	2	4	6:15
გლადბახი	13	4	3	6	18:20	15	3	1	3	12:9	1	2	3	6:11
ზტ. პაული	13	3	6	4	14:16	15	1	5	1	6:6	2	1	3	8:10
ობერჰაუზენი	13	3	4	6	12:17	13	3	2	2	9:9	0	2	4	3:8
ვალდჰოფი	13	3	4	6	15:21	13	3	2	1	12:7	0	2	5	3:14
ფორტუნა	13	3	4	6	11:19	13	3	2	1	8:5	0	2	5	3:14
კარლსრუე	13	2	5	6	20:24	11	1	2	3	7:8	1	3	3	13:16
ოფენბახი	13	2	4	7	9:18	10	2	0	4	5:9	0	4	3	4:9

ინგლისი. პირველი დივიზიონი

სიტი	20	13	3	4	30:13	42	8	0	2	21:7	5	3	2	9:6
ჰადერსფილდი	21	12	4	5	38:22	40	8	2	0	28:9	4	2	5	10:13
ჩარლტონი	20	12	3	5	37:23	39	7	2	2	19:10	5	1	3	18:13
იფსვიჩი	20	10	5	5	34:23	35	8	1	2	22:11	2	4	3	12:12
ბარნსლი	20	11	2	7	38:32	35	8	0	2	24:9	3	2	5	14:23
ფულემი	20	8	8	4	24:18	32	5	3	2	11:7	3	5	2	13:11
ქუინზ პარკი	21	8	8	5	32:27	32	5	6	0	19:12	3	2	5	13:15
ბირმინგემი	20	8	7	5	32:23	31	6	3	1	21:9	2	4	4	11:14
ბოლტონი	20	8	7	5	29:20	31	6	3	1	19:11	2	4	4	10:9
სტოკპორტი	20	7	7	6	23:28	28	5	5	0	17:11	2	2	6	6:17
ბლექბერნი	19	6	8	5	23:19	26	4	4	2	13:8	2	4	3	10:11
ვულვზი	19	6	8	5	19:18	26	3	4	2	11:8	3	4	3	8:10
ტრანმერი	21	7	5	9	28:30	26	6	3	2	19:12	1	2	7	9:18
ვესტ ბრომვიჩი	19	5	10	4	20:19	25	3	7	2	14:12	2	3	2	6:7
ნორვიჩი	20	6	7	7	17:18	25	5	1	3	9:7	1	6	4	8:11
გრიმსბი	20	7	4	9	21:32	25	6	2	2	13:11	1	2	7	8:21
კრ. პალასი	20	6	6	8	28:32	24	5	3	2	18:8	1	3	6	10:24
ნოტინგემი	20	5	6	9	23:26	21	4	4	1	16:9	1	2	8	7:17
პორტვეილი	21	5	6	10	26:31	21	4	1	5	11:12	1	5	5	15:19
პორტსმუთი	21	5	6	10	25:35	21	4	4	3	16:11	1	2	7	9:24
შეფილდ იუნ.	21	4	6	11	24:38	18	3	3	4	14:13	1	3	7	10:25
უოლსოლი	21	4	6	11	18:33	18	2	4	5	9:14	2	2	6	9:19
ქრიუ	19	4	5	10	21:30	17	2	3	3	5:8	2	2	7	13:21
სუინდონი	21	3	7	11	15:33	16	2	4	4	10:17	1	3	7	5:16

ინგლისი. მეორე დივიზიონი

უიგანი	19	10	9	0	38:18	39	8	2	0	21:6	2	7	0	17:12
პრესტონი	19	11	6	2	31:18	39	6	1	2	13:9	5	5	0	18:9
ჯილინგემი	19	10	5	4	37:23	35	6	1	2	20:9	4	4	2	17:14
როვერსი	18	10	5	3	22:11	35	5	3	1	12:5	5	2	2	10:6
ბარნლი	19	9	7	3	25:12	34	7	1	1	19:6	2	6	2	6:6
ნოტსი	19	10	4	5	28:20	34	4	3	3	13:11	6	1	2	15:9
სტოკი	19	9	6	4	29:17	33	4	4	2	13:9	5	2	2	16:8
მილუოლი	19	9	6	4	30:21	33	4	4	1	14:8	5	2	3	16:13
ბრენტფორდი	19	9	6	4	31:23	33	6	2	1	18:9	3	4	3	13:14
ლუთონი	19	8	3	8	23:25	27	6	2	1	18:11	2	1	7	5:14
ბორნმუთი	19	7	4	8	26:28	25	6	2	2	18:8	1	2	6	8:20
უიკომბი	19	6	7	6	24:26	25	4	3	3	14:14	2	4	3	10:12
ბერი	19	5	9	5	29:26	24	4	4	2	20:17	1	5	3	9:9
ოლდემი	19	5	5	9	20:24	20	3	2	5	11:12	2	3	4	9:12
ოქსფორდი	19	5	5	9	18:23	20	2	3	4	10:11	3	2	5	8:12
სკანთორპი	19	5	5	9	20:31	20	2	2	5	8:15	3	3	4	12:16
კარდიფი	19	4	7	8	22:26	19	2	6	2	11:11	2	1	6	11:15
რექსჰემი	19	4	7	8	17:31	19	3	3	3	11:11	1	4	5	7:20
ბრისტოლი	18	3	9	6	21:26	18	2	7	0	12:7	1	2	6	9:19
რედინგი	18	4	5	9	20:34	17	3	4	3	11:11	1	1	6	11:23
კემბრიჯი	19	3	6	10	28:34	15	3	3	3	18:16	0	3	7	10:18
ბლექპული	19	3	6	10	20:34	15	2	4	4	11:17	1	2	6	9:17
კოლჩესტერი	19	3	6	10	20:42	15	2	3	4	10:20	2	3	5	10:22
ჩესტერფილდი	18	2	6	10	11:20	12	1	3	5	5:9	1	3	5	6:11

თურქეთი

გალათასარაი	9	7	1	1	21:7	22	4	0	1	14:3	3	1	0	7:4
დენიზლი	10	6	3	1	16:9	21	5	0	1	12:6	1	3	0	4:3
ბეშიქთაში	10	5	4	1	21:7	19	3	2	0	10:2	2	2	1	11:5
ფენერბაჰჩე	9	5	3	1	18:11	18	2	2	0	7:4	3	1	1	11:7
გაზიანთეფი	10	5	2	3	14:8	17	2	1	2	10:6	3	1	1	4:2
ანთალია	10	5	2	3	14:13	17	1	2	2	6:8	4	0	1	8:5
ალთაი	10	4	3	3	15:10	15	3	2	1	9:4	1	1	2	6:6
ტრაბზონი	10	4	3	3	14:10	15	2	1	2	7:5	2	2	1	7:5
გენჩლერბირ.	10	4	2	4	11:14	14	1	2	3	3:8	3	0	1	8:6
სამსუნი	10	4	1	5	12:14	13	4	0	2	10:4	0	1	3	2:10
გიოზთეფე	10	3	3	4	9:10	12	1	2	2	4:4	2	1	2	5:6
ისთანბული	10	3	3	4	11:14	12	3	1	1	10:7	0	2	3	1:7
ერზურუმი	10	3	2	5	12:20	11	2	2	1	9:6	1	0	4	3:14
ვანი	10	2	3	5	12:17	9	1	2	2	6:9	1	1	3	6:8
ქოჯაელი	10	2	3	5	12:22	9	0	1	0	1:1	2	2	5	11:21
ანკარაგიუჯიუ	10	2	2	6	9:20	8	1	1	3	5:8	1	1	3	4:12
ბურსა	10	1	3	6	7:14	6	1	1	3	5:8	0	2	3	2:6
ადანა	10	1	3	6	12:20	6	0	1	4	7:12	1	2	2	5:8

ინგლისი. მესამე დივიზიონი

ბარნეტი	19	11	4	4	29:21	37	6	2	1	18:9	5	2	3	10:12
როტერჰემი	19	11	3	5	29:12	36	7	0	2	18:2	4	3	3	11:10
პეტერბრო	19	10	4	5	28:21	34	7	2	1	19:10	3	2	4	9:11
დარლინგტონი	19	9	6	4	21:13	33	6	3	0	15:4	3	3	4	6:9
ნორთჰემპტონი	19	10	3	6	21:15	33	5	1	3	11:7	5	2	3	10:8
ტორკი	19	9	4	6	23:20	31	4	3	2	11:7	5	1	4	12:13
პლიმუთი	19	8	6	5	24:20	30	5	4	0	18:7	3	2	5	6:13
ალიფაქსი	19	9	3	7	22:19	30	5	1	4	13:10	4	2	3	9:9
მაკლსფილდი	19	8	5	6	30:26	29	3	3	4	15:15	5	2	2	15:11
სუონსი	19	8	5	6	18:14	29	5	2	2	11:5	3	3	4	7:9
საუთენდი	19	8	4	7	25:24	28	5	2	3	17:13	3	2	4	8:11
ბრაიტონი	19	7	6	6	27:20	27	5	1	4	17:10	2	5	2	10:10
ჰარტლპული	19	8	3	8	25:20	27	6	0	3	13:5	2	3	5	12:15
ლინკოლნი	19	7	6	6	30:29	27	5	3	2	15:9	2	3	4	15:20
როჩდეილი	19	7	5	7	14:11	26	2	3	4	4:7	5	2	3	10:4
ექსეტერი	19	7	4	8	22:22	25	5	2	3	13:13	2	2	5	9:9
ჩელტენემი	19	7	3	9	17:18	24	5	1	4	11:9	2	2	5	6:9
იორკი	19	6	6	7	18:24	24	3	4	3	7:10	3	2	4	11:14
მენსფილდი	19	6	4	9	25:29	22	3	3	3	17:11	3	1	6	8:18
ჰალი	19	5	5	9	14:21	20	2	3	4	8:9	3	2	5	6:12
შრიუსბერი	19	4	4	11	17:30	16	2	3	5	11:12	2	1	6	6:18
კარლაისლი	19	3	6	10	17:33	15	3	3	4	10:12	0	3	6	7:21
ლეიტონი	19	3	5	11	14:29	14	2	3	4	7:10	1	2	7	7:19
ჩესტერი	19	3	4	12	16:34	13	1	2	7	5:15	2	2	5	11:19

იტალია. სერია B

ბრეშა	13	7	6	0	19:6	27	4	3	0	14:4	3	3	0	5:2
ვიჩენცა	13	8	2	3	26:13	26	5	1	0	19:6	3	1	3	7:7
ატალანტა	13	8	2	3	21:13	26	6	0	0	13:4	2	2	3	8:9
ალძანო	13	6	4	3	17:14	22	5	1	1	12:7	1	3	2	5:7
სამპდორია	13	5	6	2	13:9	21	3	4	0	8:4	2	2	2	5:5
ნაპოლი	13	5	5	3	17:15	20	4	2	0	12:5	1	3	3	5:10
ტრევიზო	13	5	3	5	20:16	18	5	0	1	15:6	0	3	4	5:10
ჩეზენა	13	4	6	3	15:11	18	3	3	0	6:1	1	3	3	9:10
რავენა	13	3	7	3	13:11	16	3	3	1	8:4	0	4	2	5:7
პესკარა	13	3	7	3	18:18	16	2	2	2	10:9	1	5	1	8:9
მონცა	13	3	7	3	11:12	16	2	4	0	5:3	1	3	3	6:9
კიევო	13	4	3	6	15:17	15	4	2	1	9:5	0	1	5	6:12
კოზენცა	13	3	6	4	10:12	15	3	2	2	6:5	0	4	2	4:7
ტერნანა	13	3	6	4	13:18	15	2	4	0	8:6	1	2	4	5:12
ემპოლი	13	4	3	6	8:19	15	4	2	1	7:6	0	1	5	1:13
სალერნიტანა	13	3	5	5	16:20	14	2	4	0	9:5	1	1	5	7:15
ჯენოა	13	3	3	7	14:15	12	3	2	1	11:5	0	1	6	3:10
სავოია	13	2	6	5	12:20	12	2	4	1	7:6	0	2	4	5:14
პისტოიეზე	13	4	3	6	12:17	11	4	1	2	9:7	0	2	4	3:10
ფერმანა	13	1	2	10	9:23	5	1	2	4	5:8	0	0	6	4:15

იტალია. სერია C1/a

სიენა	12	7	3	2	17:8	24	4	0	2	8:4	3	3	0	9:4
პიზა	12	6	4	2	14:7	22	4	1	1	9:4	2	3	1	5:3
სპალ	11	6	4	1	13:6	22	3	3	0	6:2	3	1	1	7:4
ჩიტადელა	10	4	6	0	13:8	18	2	3	0	8:5	2	3	0	5:3
ლივორნო	11	4	4	3	14:13	16	2	2	2	8:7	2	2	1	6:6
ლუკეზე	12	4	4	4	16:18	16	4	1	1	10:6	0	3	3	6:12
რეჯანა	11	4	3	4	11:9	15	3	1	3	7:7	1	2	1	4:2
ვარეზე	12	2	9	1	12:11	15	1	4	1	6:6	1	5	0	6:5
ალბინოლეფე	11	3	5	3	11:12	14	1	3	1	5:5	2	2	2	6:7
ბრეშელო	11	3	4	4	12:13	13	1	2	1	5:5	2	2	3	7:8
კრემონეზე	12	2	7	3	10:11	13	1	3	1	5:5	1	4	2	5:6
ლეკო	12	2	7	3	8:10	13	1	3	2	3:4	1	4	1	5:6
კომო	12	2	7	3	8:11	13	0	5	2	2:7	2	4	1	6:4
კარარეზე	12	3	4	5	10:15	13	1	4	1	6:7	2	0	4	4:8
ლუმეცანე	11	2	5	4	8:9	11	1	2	3	4:5	1	3	1	4:4
მონტევარკი	11	1	6	4	10:12	9	1	4	1	7:6	0	2	3	3:6
მოდენა	11	2	3	6	8:13	9	0	3	2	2:4	2	0	4	6:9
სანდონა	12	0	7	5	6:15	7	0	3	3	3:8	0	4	2	3:7

იტალია. სერია C1/b

ანკონა	12	8	2	2	17:7	26	5	1	0	12:4	3	1	2	5:3
კროტონე	12	6	6	0	21:10	24	4	2	0	13:4	3	3	0	8:5
არეცო	12	5	5	2	18:10	20	4	2	0	11:4	2	2	2	7:5
სტაბია	12	4	7	1	18:11	19	3	2	1	12:6	1	5	0	6:5
პალერმო	12	5	4	3	10:7	19	2	3	1	6:3	3	1	2	4:4
კატანია	11	4	6	1	13:7	18	2	4	0	6:2	2	1	2	6:5
ბენევენტო	12	5	3	4	8:11	18	5	0	1	7:2	0	3	3	1:9
ასკოლი	11	4	5	2	21:9	17	3	2	1	14:3	1	3	1	7:6
ნოჩერინა	12	4	5	3	14:11	17	3	2	0	8:2	1	3	3	6:9
ვიტერბეზე	12	5	2	5	19:19	17	3	2	1	11:6	2	0	4	8:13
ჯულიანოვა	12	3	5	4	11:14	14	3	1	2	6:6	0	4	2	5:8
ლოდიჯანი	12	3	5	4	12:16	14	3	2	1	7:6	0	3	3	5:10
დი სანგრო	12	3	5	4	11:15	14	1	2	3	6:9	2	3	1	5:6
გუალდო	12	2	5	5	10:15	11	2	3	1	6:5	0	2	4	4:10
აველინო	12	3	2	7	9:16	11	3	1	3	8:7	0	0	5	0:9
ატლეტიკო	12	1	5	6	7:14	8	1	2	2	4:4	0	3	4	3:10
ფ. ანდრია	12	1	5	6	7:14	8	1	4	1	3:4	0	1	5	4:10
მარსალა	12	1	3	8	7:27	6	1	3	2	6:8	0	0	6	1:19

ესპანეთი. მეორე დივიზიონი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
სალამანკა	16	11	4	1	29:12	37	6	1	1	17:6	5	3	0	12:6
ლეგანტე	16	9	4	3	29:22	31	7	1	0	17:4	2	3	3	12:18
ესტრემადურა	16	8	4	4	18:15	28	6	2	0	13:4	2	2	4	5:11
ლას პალმასი	16	8	3	5	25:17	27	5	1	2	15:6	3	2	3	10:11
სპორტინგი	16	8	2	6	24:19	26	5	0	3	13:8	3	2	3	11:4
ტენერიფე	16	7	3	6	23:19	24	5	2	1	15:6	2	1	3	8:13
ეიბარი	16	6	5	5	26:23	23	4	3	1	14:7	2	2	4	12:16
ალბასეტე	16	6	5	5	17:20	23	2	4	2	8:9	4	1	3	9:11
ბადახოსი	16	4	10	2	13:11	22	2	5	1	8:7	2	5	1	5:4
ხეტაფე	16	6	4	6	16:16	22	3	2	3	10:9	3	2	3	6:7
ლეიდა	16	6	3	7	25:21	21	3	2	3	13:9	3	1	4	12:12
მერიდა	16	5	6	5	18:16	21	3	4	1	11:6	2	2	4	7:10
ელჩე	16	5	6	5	18:20	21	3	4	1	11:9	2	2	4	7:11
ვილიარეალი	16	5	5	6	23:19	20	2	3	3	11:11	3	2	3	12:8
კომპოსტელა	16	5	4	7	24:26	19	3	2	3	12:9	2	2	4	12:17
ოსასუნა	16	6	1	9	15:19	19	4	1	3	10:6	2	0	6	5:13
ლოგრონიესი	16	4	6	6	23:24	18	4	3	1	18:11	0	3	5	5:13
ლეგანესი	16	4	6	6	14:22	18	3	3	2	8:6	1	3	4	6:16
უელვა	16	5	3	8	13:23	18	3	2	3	7:9	2	1	5	6:14
კორდობა	16	4	5	7	16:21	17	3	0	5	10:13	1	5	2	6:8
ატლეტიკო B	16	4	3	9	18:26	15	2	1	5	12:15	2	2	4	6:11
ტოლედო	16	2	4	10	9:25	10	1	2	5	3:10	1	2	5	6:15

პორტუგალია

ბენფიკა	12	8	2	2	19:8	26	5	1	0	11:2	3	1	2	8:6
პორტუ	12	7	4	1	23:7	25	5	1	0	15:3	2	3	1	8:4
სპორტინგი	12	7	3	2	18:10	24	5	1	0	10:2	2	2	2	8:8
ბოავიშტა	12	7	3	2	12:7	24	4	1	1	7:4	3	2	1	5:3
ჟილ ვისენტე	12	7	2	3	18:8	23	4	1	1	13:4	3	1	2	5:4
მარიტიმუ	12	6	3	3	16:9	21	4	2	0	9:1	2	1	3	7:8
გიმარაეში	12	6	3	3	20:14	21	5	1	0	12:4	1	2	3	8:10
ალვერკა	12	5	2	5	13:14	17	4	1	1	9:5	1	1	4	4:9
ბელენენსეში	12	4	4	4	14:12	16	3	2	1	8:5	1	2	3	6:7
ამადორა	12	3	6	3	12:13	15	2	2	2	7:7	1	4	1	5:6
სანტა კლარა	12	3	4	5	15:17	13	1	2	3	6:10	2	2	2	9:7
კამპმაიორენსე	12	4	1	7	10:18	13	3	1	2	8:8	1	0	5	2:10
რიუ ავე	12	2	5	5	12:19	11	1	3	2	7:10	1	2	3	5:9
ლეირია	12	2	4	6	9:14	10	2	3	1	6:3	0	1	5	3:11
ბრაგა	12	3	1	8	14:21	10	1	1	4	5:8	2	0	4	9:13
სალგეირუში	12	3	1	8	8:19	10	2	1	3	4:8	1	0	5	4:11
სეტუბალი	12	2	3	7	11:19	9	2	2	2	8:7	0	1	5	3:12
ფარენსე	12	1	5	6	7:22	8	1	2	3	5:10	0	3	3	2:12

ჰოლანდია

აიაქსი	14	11	2	1	44:18	35	5	1	1	21:9	6	1	0	23:9
პსვ	13	10	1	2	47:11	31	5	1	0	28:5	5	0	2	19:6
როდა	14	9	2	3	26:16	29	5	0	3	16:10	4	2	0	10:6
ჰერენვენი	14	9	1	4	27:16	28	4	1	2	13:9	5	0	2	14:7
ვალვაიკი	14	8	2	4	26:24	26	4	2	2	15:16	4	0	2	11:8
ტილბურგი	13	8	2	3	25:25	26	4	2	1	15:13	4	0	2	10:12
ვიტესი	13	7	4	2	26:18

9 ტური

საუკეთესო მოთამაშე

დავით თორთლაძე
·სტუ·

ფოტო ალექსანდრ ფილიპოვსკის

ტურის ცენტრალურ შეხვედრაში საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვების (93:65) მიუხედავად, სტუ-სთვის მატჩის დასაწყისი კარგს არაფერს მოასწავებდა, რადგან სდასუ სულ რაღაც ორ წუთში ექვსი ქულით უგებდა მერვე ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს. მაგრამ ტექნიკურებს ექსდასუული დავით თორთლაძის სახით ჰყავთ გამოცდილი გამთამაშებელი, რომელმაც სულ მალე დაალაგა გუნდი, ათასგვარი კომბინაციებით თავგზა აუბნია მეტოქეს და უზუსტესი პასები ურიგა სდასუ-ს ფართან მარტოდმარტო დარჩენილ თანაგუნდელებს, რომლებსაც ისღა დარჩენოდათ, ბურთი კალათში მოთავსებინათ. „თორთლა" ხელსაყრელ პოზიციებიდან თვითონაც ხშირად ლაშქრავდა მეტოქის კალათს, მაგრამ მისი საუკეთესო კალათბურთელად დასახელება მაინც თამაშის დიდებულად ორგანიზებამ და ჩინებულმა პასებმა განაპირობა, რაც ასე აკლია დღეს ქართულ კალათბურთს.

— დათო, თუ ელოდით, რომ ტურის საუკეთესო კალათბურთელად დაგასახელებდნენ?

— ცუდად არ მითამაშია, მაგრამ უკეთესი მატჩებიც მქონია. ეტყობა, სხვა კალათბურთელებმა ითამაშეს ჩემზე უარესად.

— თქვენი აზრით, რატომ გავამახვილეთ ყურადღება თორთლაძეზე?

— ალბათ, იმიტომ, რომ გამთამაშებლის ფუნქცია კარგად შეავასრულე. თორემ ჩემს მიერ გაკეთებული 18 ქულა არც ისე ბევრია, რომ ამ მხრივ ვინმეს ყურადღება მიმეპყრო.

— იყო წლები, როდესაც თქვენ თამაშის ორგანიზებასა და პასების განაწილებაზე უფრო ქულების კეთებით იყავით დაკავებული. ასეთ ჭორსაც გაიგონებდით, თორთლაძეს პასის მიწოდება ეზარებაო. სტუ-ში კი პირიქით ხდება. მაინც, რა არის თქვენთვის უმთავრესი?

— გუნდს გააჩნია, თორემ შედეგიანი კალათბურთელის სახელისთვის ბრძოლა ჩემი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. თუ ტანმაღალ მოთამაშეებს ფართან ბრძოლა უჭირთ, იძულებული ხდები, შორიდან სროლებით დაეხმარო გუნდს. ასე იყო „თორსსა" და სდასუ-ში თამაშისას, როდესაც მწვრთნელების დავალებით ქულები უკანასკნელების ხარჯზე უნდა გეგროვებინა. სიმართლე გითხრათ, შედეგიანი გადაცემა ისეთივე სიამოვნებას მანიჭებს, როგორსაც სამქულიანი სროლა ან ფარის ქვეშიდან შესვლის შემდეგ ბურთის კალათში მოთავსება.

— რით ახსნით იმას, რომ თითქმის ყოველი სეზონის შემდეგ გუნდს იცვლით?

— მართალია, ზედიზედ ორი წელი მარტო „ვითაში" ვითამაშე, რომლის ხელმძღვანელობამაც მაშინ ჩემთან ერთად მთელი გუნდი დაითხოვა. სხვა შემთხვევაში კი ჩემი კლუბები ან იშლებოდნენ („მერანი", „კაქტუსი"), ანაც უკეთესი პერსპექტივები მიჩნდებოდა. ასე მოხდა, როცა „თორსში" „დინამოსა" და სდასუ-ში ვთამაშობდი.

— უკეთეს პერსპექტივაში რას გულისხმობთ?

— რომ გითხრათ, ფინანსური მხარე არ მაინტერესებს-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ საქმეს უფრო პროფესიული თვალსაზრისით ვუდგები. ვსაზღვრავ, თუ სად შეიძლება ოსტატობის დახვეწა და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა.

— უცნაური ხასიათი აქვს და მწვრთნელ-კალათბურთელებს მასთან შეგუება უჭირთო, ესეც თქმულა თქვენზე.

— ვინც ამას ამბობს, ჯერ უნდა დააზუსტოს, რას ნიშნავს უცნაური ხასიათი. ვინც ახლოს მიცნობს, ასე არ თვლის. ჩემი აზრით, გუნდისთვის საერთო საქმეს ვაკეთებ და ვერ ვხედავ, საიდან მოიტანეს ასეთი ამბაუბდა.

— თქვენ გახასიათებთ გამთამაშებლისთვის სასურველი აზროვნება, ტექნიკა და პასის სიზუსტე. თქვენს ნაკლად რა მიგაჩნიათ?

— კალათბურთში თამაშის სტილი თითქმის ყოველწლიურად იცვლება. ამიტომ იგი მეტ ტექნიკურ დახვეწილობას, სიზუსტესა და ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს. თუ ეს კომპონენტები არ გაუმჯობესე, დადებითი თვისებები უკვე უარყოფითად იქცევა.

— სტუ-ს ბევრი გამთამაშებელი ჰყავს. რამდენად გამართლებულია ეს და როგორ მოქმედებს კონკურენცია კალათბურთელებზე?

— მართალია, ჩემი კოლეგები ასაკოვანნი არ არიან, მაგრამ უკვე მოასწრეს კადეტთა და ჭაბუკთა ნაკრებში გამოცდილების შეძენა. კალათბურთელმა სათამაშო დონე ვარჯიშებზე უნდა აიმაღლოს და ამისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად ძლიერი პარტნიორები გყავს გუნდში. რაც შეეხება კონკურენციას, ეს ჩვენ არ გვაწუხებს.

— დათო თორთლაძე, რომელიც ჭაბუკობისას ერთ-ერთ პერსპექტიულ კალათბურთელად ითვლებოდა, მალე 30 წლის გახდება. როგორ ფიქრობთ, გაამართლეთ ის იმედი, რასაც თქვენზე ამყარებდნენ?

— არ ვიცი, ვის როგორ ავუხდინე წინათვრმნობა, მაგრამ ჩემი თავით ნამდვილად უკმაყოფილო ვარ. იყო როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები.

— დაგვიკონკრეტეთ...

— 17 წლის ვიყავი, როდესაც თბილისის „დინამოში" ჩავირიცხე, სასტარტო ხუთეულშიც კი მიწევდა თამაში. სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გადართვამ კი ჩემს განწყობაზეც იმოქმედა და სათამაშო კლასზეც. ჩვენი ჩემპიონატი არ არის იმ დონის, რომ მაშინდელი პროგნოზები რეალობად მექცია.

— უცხოეთი...

— შარშან თურქეთის „ემლაქ ბანკში" გამოვდიოდი, მაგრამ ოჯახური პრობლემების-გამო იძულებული გავხდი, თბილისში დავბრუნებულიყავი.

— თურქები მერე აღარ შეგხმიანებიან?

— სეზონის დაწყების წინ იყო საუბარი კვლავ „ემლაქ ბანკში" დაბრუნებაზე, მაგრამ მიწისძვრის შემდეგ გუნდს ფინანსური პრობლემები შეექმნა და ჩემპიონატში გამოსვლა ვეღარ შეძლო.

— ამჟამად თუ გეპატიჟებათ რომელიმე უცხოური კლუბი?

— ჯერჯერობით არა.

— ეროვნულ ჩემპიონატში სტუ-ს მიზნებზე რას გვეტყვით?

— გუნდის ხელმძღვანელობას შარშანდელი შედეგის გაუმჯობესება სურს.

— დღევანდელი გადასახედიდან რამდენად რეალურია სტუ-ს ფინალში გასვლა?

— ჯერჯერობით გუნდს თავისი პოტენციალი ბოლომდე არ გამოუვლენია. ტრავმამოშუშებული კორძაძე მთელი დატვირთვით ვერ თამაშობს, ჩუბინიძეც არ მომჯობინებულა. გუნდს ამჟამინდელი შემადგენლობით ძალუძს ფინალში გასვლა და არ შეიძლება, ვარჯიშებმა შედეგი არ გამოიღოს.

როლანდ ლაბუჩიძე

რეგულარული ჩემპიონატი

უპოვრებმა საკილი შეიტანეს ბიბლიოთეკაში



REUTERS მინეაპოლისიდან

მინესოტა — დენვერი. ბობი ჯეკსონმა (№24) და კევინ გარნეტმა (მარჯვნივ) დენვერელი ჩონსი ბილაფსი ხელებქვეშ გაატარეს

30 ნოემბერი

სიეტლი 77:101 ლეიკერსი

სიეტლი: პეიტონი (12), ბერი (4), პატერსონი (19), ბეიკერი (12 ქულა, 10 მოხსნა), გრანტი (8); ფოსტერი (6), მაქსველი (5), პერსონი (4), სტეფანია (3), ლუისი (2), დევისი (2), ვილიამსი

ლეიკერსი: ფიშერი (9), პარპერი (12), რაისი (19), გრინი (11), ონილი (27 ქულა, 10 მოხსნა); ჰორი (9), ჯორჯი (6), შოუ (5), ფოქსი (4), ნაითი, კალესტენდი

30 ნოემბერს ვაშინგტონის შტატის უდიდეს ქალაქ სიეტლში უჩვეულო გამოცოცხლება შეინიშნებოდა. აქაური „სუპერსონიქისა" და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" შეხვედრა აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ქალაქი მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის კონფერენციას მასპინძლობდა და მთელი ხმაურიც ამასთან დაკავშირებით იყო. საქმე იმაშია, რომ ღარიბთა მასებს მთელი ქვეყნიდან მოუყრიათ აქ თავი. ისინი თვლიან, რომ ეს ორგანიზაცია თავისი მოქმედებით მათ უფლებებს აშკარად არღვევს და იმუქრებიან, ამას ასე არ დავტოვებთო. არც დატოვეს. წესრიგის დამცავთა გაძლიერებული რაზმები საქმეს ვერ აუდიან. ქალაქში ერთი აყალმაყალია და, ბუნებრივია, რიგითი საკალათბურთო მატჩისთვის ახლა ბევრს არა სცხელა. მიუხედავად იმისა, რომ სიეტლელთა ჯილა თვით „ლეიკერსს" ხვდებოდა, მატჩმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ორგანიზატორებმა ლიგის მმართველობაში ცნობა აფრინეს, ასეთი ამბებია და შეხვედრა ჩავატაროთ, თუ არაო. რაც ქალაქში ხდება, თქვენ არ გეხებათ და თამაში ჩვეულებრივად უნდა ჩატარდესო, ბრძანეს ნბა-ს ბოსებმა. ჰოდა ჩატარდა, მაგრამ, ვაი, ასეთ ჩატარებას. ორივე გუნდის წევრებმა დარბაზამდე „კი არე-ნამდე" უვნებლად კი მიაღწიეს, მაგრამ დიდი ნევრების წყვეტის ფასად. „გუშინ ღამე სიეტლში რომ ჩამოვედით კარგად გამოძინება დავაპირე, მაგრამ ვინ გაცადა. ისინი ათასობით იყვნენ ყველგან და თავიანთი დოლებით კინაღამ ჭკუაზე შემშალეს. როგორც იქნა, დავიძინე, მაგრამ დილით თავი გასკდომაზე მქონდა" — ამბობდა სტუმარი გუნდის ლიდერი შაკილ ონილი.

მიუხედავად ამისა, დატრიალებულმა მოვლენებმა, ალბათ, ონილზე და მთლიანად „ლეიკერსზე" უფრო ნაკლები გავლენა მოახდინა, ვიდრე მასპინძლებზე. ნახევრადცარიელ დარბაზში „სუპერსონიქსმა" საშინელი თამაში აჩვენა და ამ სეზონში შინაურ კედლებში პირველად დამარცხდა, თან ამხელა სხვაობით. „ზებგერითებმა" მხოლოდ პირველი მეოთხედის განმავლობაში გაუძღეს სტუმრთა შეტევებს, მერე კი თანდათან გატყდნენ და სხვაობაც მეოთხედიდან მეოთხედამდე იზრდებოდა. მატჩის შემდეგ დადგა მწვავე პრობლემა, როგორ გაელწიათ დარბაზიდან „სუპერსონიქსის" წევრებს ურჩიეს, ამაღამ შინ ნუ წახვალთ, ღამე სასტუმროში გაათენეთო. მათ შორის „სიეტლის" ქართველი ცენტრი ვოვა სტეფანიაცაა, რომელიც მდიდართა და ღარიბთა აყალმაყალის გამო შინ ვერ წასულა და იქვე დარბაზის ახლოს მყოფ სასტუმროში ისვენებდა. „ლეიკერსთან" ყველაფერი გადწყვეტილი იყო და ვესტფოლმა ქართველს ექვსი წუთით თამაშის საშუალება მისცა. ამ ექვს წუთში ვოვამ სამი ქულა, ერთი მოხსნა და ერთიც დაფარება გაახერხა, რაც ურიგო შედეგი სულაც არაა. ის კი არა, ვოვამ მატჩის ბოლო წამებზე ჩატენა, 101:77 გახადა და ამით მთელი შერცხვენილი „სუპერსონიქსის" ნაცვლად ერთგვარად კარიც გაიკეთეს.

კლიპერსი 80:94 ფინიქსი

კლიპერსი: ანდერსონი (25)
ფინიქსი: კიდი (20 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა)

სან ანტონიო 106:87 დეტროიტი

სან ანტონიო: დანკანი (28 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსონი (22)
დეტროიტი: ჰილი (30)

ფილადელფია 74:70 ნიუ იორკი

ფილადელფია: ჰიუზი (25)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (20)

მინესოტა 109:92 დენვერი

მინესოტა: სმიტი (26)
დენვერი: მერსერი (16)

ორლანდო 102:111 საკრამენტო

ორლანდო: არმსტრონგი (29 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება)
საკრამენტო: ვებერი (22 ქულა, 11 მოხსნა)

ნიუ ჯერსი 78:85 ვაშინგტონი

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (24 ქულა, 11 მოხსნა)
ვაშინგტონი: ჰოვარდი (23)

კლივლენდი 106:99 დალასი

კლივლენდი: კემპი (25 ქულა, 11 მოხსნა)
დალასი: დევისი (27), ფინლი (14 ქულა, 12 მოხსნა, 11 პასი)

ტორონტო 89:107 ატლანტა

ტორონტო: დევისი (16)
ატლანტა: რაიდერი (23)

ჰატარა სასწაულებს ახდენს „ფილადელფია 76", გუნდი, რომელიც ყველა კანონზომიერების მიხედვით ახლა თამაშს თამაშზე უნდა აგებდეს. როდესაც გუნდის ერთპიროვნულმა ლიდერმა ალენ აივერსონმა მარჯვენა ხელის ცერი მოიტეხა და თავისიანებს სულ მცირე, სამი კვირით დააკლდა, „ფილადელფია" ყველამ განწირულად ჩათვალა, მაგრამ... მთავარ მწვრთნელ ლარი ბრაუნს ჰყავს აივერსონის შემცვლელი, ლარი ჰიუზი. იგი საერთოდ აივერსონის ჩრდილშია და იშვიათად ეძლევა თავისი ტალანტის ბოლომდე წარმოჩენის საშუალება, მაგრამ გუნდის ლიდერის არყოფნაში სასტარტო ხუთეულში სწორედ მან დაიკავა ადგილი და, როგორც სამი თამაშიდან ჩანს, მშვენივრადაც უძღვება საქმეს: მისი გუნდი ჯერჯერობით იგებს.

თუ ვიცე-ჩემპიონი „ნიუ იორკი" თავის არცთუ საუკეთესო ფორმაშია და დასუსტებულ „ფილადელფიას" ვერ უჩკლავდება, ჩემპიონ „სან ანტონიოზე" ამას კაცი ვერ იტყვის. „დეზებს" ერთ-ერთი ლიდერის, შონ ელიოტის არყოფნა თითქმის არ ეტყობათ, ომახიანად დგანან დივიზიონის ცხრილის სათავეში და თამაშს თამაშზე იგებენ. „დეტროიტთან" გამარჯვება ტეხასელთათვის ზედიზედ მეექვსე იყო. ამ შეხვედრის ანგარიშის შემხედვარე კაცი ძნელად თუ იფიქრებს, მატჩი დაძაბული გამოდგა, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე „სან ანტონიომ" მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით მოიგო პირველი ტაიმი, დეტროიტელები მშვენივრად ირჯებოდნენ და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს იოლად არ დათმობდნენ შეხვედრას, მაგრამ „სან ანტონიო" მესამე მეოთხედში აფეთქდა და წინ გაიქცა. სტუმრებმა ერთხანს სდიეს, მაგრამ ბოლომდე ვეღარ მიჰყვნენ ან საბოლოოდ მეოთხედი არც მეტი, არც ნაკლები, 23 ქულის სხვაობით წააგეს. ამან ყველაფერი გადწყვიტა და ბოლო თორმეტწუთიანი მოსაწყენ ფორმალობად აქცია.

ირაკლი ფირაშვილი

ჰაკიმი სააქიმოა

ისევაც დასუსტებულ „ჰიუსტონ როკეტს" ერთი არასასიამოვნო ამბავი დაემართა. „რაკეტების" ბებერმა ცენტრმა ჰაკიმ ოლაჯუონმა 26 ნოემბერს „პორტლენდთან" 88:91 წაგებულ მატჩში საზარდული იტკინა. ვერ ითამაშებს ოთხიდან ექვს კვირამდეო, ამბობს დამწუხრებული სახით კლუბის ვიცე-პრეზიდენტი კეროლ დოუსონი. მაგრამ მარტო ამაში როდია პრობლემა. 36 წლის ოლაჯუონს თიაქარიც აწუხებს და გუშინ მისი ოპერაციაც გაიკეთა. ისე, ოლაჯუონის არყოფნა „ჰიუსტონს" წესით და რიგით დიდად არ უნდა დაეტყოს, რადგან ჰაკიმი თავის 16-წლიან კარიერაში უარეს სეზონს ატარებს და მისი შედეგიანობა საშუალოდ მატჩში 14,8 ქულამდე და 8,3 მოხსნამდე დაეცა მაშინ, როცა ბოლო თხუთმეტი წლის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მოთამაშის კარიერის საშუალო შედეგიანობა 23,6 ქულა და 11,8 მოხსნაა.



ჰაკიმ ოლაჯუონი



REUTERS ტრონჰეიმიდან

ავსტრიელი რიმა სუპკუსი (ბურთით) ორი უკრაინელი მეტოქის წინააღმდეგ

საზიარო მასპინძლობამ დიდი ჩხუბი იცის

ხელბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის უპირველეს ფავორიტად, გუშინაც გითხარით, ევროპის ჩემპიონები, ნორვეგიელები ითვლებიან. მათ გარდა ოქროს მედლების მოპოვება, სპეციალისტების აზრით, მეორე სკანდინავიურ ქვეყანას, დანიას შეუძლია. სწორედ ეს ორი გუნდი იყო წინა, 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც, რომელიც საკმაოდ მოულოდნელად დანიელთა გამარჯვებით დასრულდა. ვიკინგების ორთაბრძოლაში წლეულსაც ძნელად თუ ჩაერევა ვინმე.

ახლა ორიოდ სიტყვით თითოეული ჯგუფის შემადგენლობაზე, სიძლიერესა და პოტენციური მერვედფინალისტების შესახებ.

A ჯგუფში პირველ ადგილზე, ალბათ, უეჭველად ნორვეგია გავა. მეორე ადგილისთვის და, შესაბამისად, მერვედფინალში შედარებით სუსტი მეტოქის ყოლისთვის, წესით, ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატის მეხუთეადგილოსანი გასული პოლონეთი და ჰოლანდია უნდა გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შემდეგ ეტაპზე გასვლის ბოლო კანდიდატებად ჩეხეთი და ბელორუსი ითვლებოდნენ. ავსტრალია კი წინდაწინ იყო განწირული მარნინალობისთვის. პირველმა ტურმაც ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. ნორვეგიამ, პოლონეთმა და ჰოლანდიამ დაგეგმილი გამარჯვებები მოიპოვეს. მათგან ყველაზე მეტად ჰოლანდიას გაუჭირდა. მეორე ტურში კი პატარა სიურპრიზიც მოხდა. ბელარუსმა, რომელსაც თავისი საუკეთესო მოთამაშეები ევროპაში ჰყავს მიმოფანტული და სრულფასოვანი შეკრებაც ვერ გაიარა, მაინც დაამტკიცა, რომ არც ისე ხელწამოსაკრავი გუნდია, როგორც პირველ ტურში გამოჩნდა. ყოფილმა საბჭოელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს პოლონელებს და ფრე გაახერხეს. ასე რომ, მეორე ადგილისთვის ბრძოლაში არც ისინი იქნებიან უბრალო სტატისტები.

B ჯგუფს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ყველაზე გაწონასწორებული და თანაბარი. აშკარა აუტსაიდერი აქ მხოლოდ კუბაა. დანარჩენებიდან ყველას ყველას დამარცხება შეუძლია. რუმინეთიც, საფრანგეთიც, ავსტრიაც და უკრაინაც ძალიან ხშირად გადიან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეოთხედფინალებში მაინც. კოტ დივუარი კი, მიუხედავად იმისა, რომ პირველ მატჩში საფრანგეთთან თორმეტი ბურთით დამარცხდა, აფრიკაში საშუალოზე მაღალი დონის ნაკრებად ითვლება. ფრანგებთან კი კოტდივუარელები საკმაოდ კარგა ხანი მხოლოდ მცირედით აგებდნენ და მატჩის ბოლოსკენღა გატყდნენ. ძალიან დაძაბული იყო ავსტრიისა და უკრაინის შეხვედრა, რომლის ბედიც ბოლო წამებზე გადაწყდა ავსტრიელთა სასარგებლოდ. საინტერესოა, რომ შესარჩევ ეტაპზე უკრაინამ ვერ შეძლო ნორვეგიის საგზურის მოპოვება და მხოლოდ მას შემდეგ მოხვდა ამ ტურნირზე, რაც ჩრდილოეთ კორეამ ეკონომიკური პრობლემები მოიმიზეზა და ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

C ჯგუფიდან სამივე ევროპული გუნდი ზედმეტი გართულებების გარეშე უნდა გავიდეს მერვედფინალში. დანიელებზე უკვე გითხარით. ევროპის ჩემპიონატზე მეექვსე ადგილზე გასული გერმანია კი სულ უფრო და უფრო უკეთ თამაშობს, რაც მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. მაკედონიაც დანარჩენებზე ძლიერი ჩანს. მეოთხე გუნდი, რომელიც შემდეგ ეტაპზე გავა, ანგოლის, იაპონიისა და არგენტინის დავაში გაირკვევა.

ბოლო, D ჯგუფშიც სამი გუნდი დანარჩენებზე მთელი თავით მაღლა დგას — 1995 წლის ვიცე-ჩემპიონი უნგრეთი, 1988 და 1992 წლების ოლიმპიური ჩემპიონი სამხრეთ კორეა, რომელმაც 1996 წელს ატლანტაში ვერცხლის მედლები მოიპოვა და რუსეთი, რომელიც ტიტულებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ჯგუფში არასოდეს რჩება. მათთან პაექრობა კი ძალიან გაუჭირდებათ ბრაზილიას, კონგოსა და ჩინეთს, რაც პირველმა ტურმაც დაადასტურა.

გაგი გურული

A ჯგუფი. გიოვიკი. ნორვეგია. მეორე ტური

ბელარუსი 29:29 პოლონეთი

ჩეხეთი 21:30 ნორვეგია

ავსტრალია 16:26 ჰოლანდია

	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ნორვეგია	2	0	0	59:34	6
2. ჰოლანდია	2	0	0	51:37	6
3. პოლონეთი	1	1	0	58:48	4
4. ბელარუსი	0	1	1	42:58	1
5. ჩეხეთი	0	0	2	42:55	0
6. ავსტრალია	0	0	2	35:55	0

B ჯგუფი. ტრონჰეიმი. ნორვეგია. პირველი ტური

ავსტრია 26:25 უკრაინა

რუმინეთი 37:19 კუბა

საფრანგეთი 31:19 კოტ დივუარი

	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რუმინეთი	1	0	0	37:19	3
2. საფრანგეთი	1	0	0	31:19	3
3. ავსტრია	1	0	0	26:25	3
4. უკრაინა	0	0	1	25:26	0
5. კოტ დივუარი	0	0	1	19:31	0
6. კუბა	0	0	1	19:37	0

C ჯგუფი. კოლდინგი. დანია. პირველი ტური

მაკედონია 27:25 იაპონია

გერმანია 34:9 არგენტინა

დანია 31:12 ანგოლა

	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გერმანია	1	0	0	34:9	3
2. დანია	1	0	0	31:12	3
3. მაკედონია	1	0	0	27:25	3
4. იაპონია	0	0	1	25:27	0
5. ანგოლა	0	0	1	12:31	0
6. არგენტინა	0	0	1	9:34	0

D ჯგუფი. ლილეჰამერი. ნორვეგია. პირველი ტური

კორეა 29:19 ჩინეთი

უნგრეთი 22:13 ბრაზილია

რუსეთი 42:20 კონგო

	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რუსეთი	1	0	0	42:20	3
2. კორეა	1	0	0	29:19	3
3. უნგრეთი	1	0	0	22:13	3
4. ბრაზილია	0	0	1	13:22	0
5. ჩინეთი	0	0	1	19:29	0
6. კონგო	0	0	1	20:42	0

მარსელო ტრავმა

მარსელო რიოსს ნამდვილად შელოცვა სჭირდება და ჩვენებური საფეხბურთო გუნდისაგან განსხვავებით ამ საქმეს მხოლოდ ერთი ცხვრის შეწირვა არ ეყოფა.

ერთადერთ სამხრეთამერიკელს, ვინც მსოფლიოს პირველი ჩოგანი ყოფილა, ბოლო ორი წელია, უსიამოვნებები სდევს თან: შარშან სეზონის მესამედი მკლავის, ზურგისა და მუხლის ტრავმების გამო გაუცდა, წლეულს იანვართებერვალში ხერხემლის გაბზარულ მალას იშუშებდა, ივლის-აგვისტოში მუხლი სტკიოდა და გაქცეულ გელფრენდს დასტიროდა, ორიოდ კვირის წინ კი მორიგი ტრავმისა და ხანგრძლივი იძულებითი შესვენების დროც მოვიდა.

ამჯერად კიკინიანი ჩილელი პარიზის ღია პირველობიდან ფეხნატკენი გაბრუნდა, სტოკჰოლმის ტურნირზე ვეღარ ითამაშა და მსოფლიო ჩემპიონატის სათადარიგოს საგზურიც რიჩარდ კრაიჩეკს დაუთმო. მაგრამ შინ დაბრუნებულ რიოსს საავადმყოფოში კიდევ ერთი უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა — ექიმებმა მას მენჯის დაზიანება დაუდგინეს და სასწრაფო ოპერაციის აუცილებლობაში დაარწმუნეს.

ჩილელს, რომელიც ზემოხსენებული დაბრკოლებების მიუხედავად, სანერვლებრივად შინც იბარებს ადგილს საუკეთესოს ამეურეთ, [illegible] ბლიურ [illegible] [illegible]

ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა — განაცხადა ქირურგმა რობერტო იანესმა — ოღონდ მარსელო სამი თვის მანძილზე ვეღარ ითამაშებს".

ეს იმას ნიშნავს, რომ რიოსს ავსტრალიის ღია პირველობის, თებერვალში დევისის თასის შეხვედრის, მერე კი, ალბათ, ლიპტონის ტურნირის გამოტოვებაც მოუხდება და თიხნარის სეზონის დასაწყისშიღა თუ მომჯობინდება, მორიგ ტრავმამდე.

ქალებმა ფულიანი ბიძები იშოვეს

ქალების ჩოგბურთის ასოციაციამ (WTA), როგორც იქნა, სპონსორი იშოვა — ამიერიდან ეს პატივი შამპუნ-მალამოების ფირმა „სანექსს" ხვდა წილად.

WTA ჯიბის გასქელებას უკვე ორი წელია, ცდილობდა, მას შემდეგ, რაც კანადურმა კომპიუტერულმა ფირმა „კორელმა" 1998-ის დასაწყისში სპონსორობის ვადის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ ქალების ჩოგბურთი უაღრესად პოპულარულია და მისი ვარსკვლავები სერენა და ვინუს უილიამსები, მარტინა ჰინგისი, ანა კურნიკოვა გამუდმებით ჩნდებიან ჟურნალ-გაზეთების ყდებზე, ახალი დამფინანსებლის ძიება ძალიან გაჭინაურდა.

მიზეზი მარტივი და ქართველებისათვის კარგად ნაცნობია — მკბენარა ფასი. WTA ტურის თავკაცი ბარტ მაკგუაიერი ხუთწლიან კონტრაქტში 40 მილიონ დოლარს ითხოვდა.

„სანექსმა" დაინტერესება პირველად ზაფხულში გამოამჟღავნა და მოლაპარაკებებიც მაშინ დაიწყო. ბევრი ივაჭრეს თუ ცოტა, მხარეები შუაგული ნოემბრისთვის შეთანხმდნენ კიდეც. მაკგუაიერი ფინანსურ დეტალებზე კრინტს არავისთან ძრავს და ჯიუტად იმეორებს, ძალიან კმაყოფილი ვარო, თუმცა სანდო წყაროები ირწმუნებიან, რომ კონტრაქტის საბოლოო ფასი 34 მილიონია. ხელმოწერის საზეიმო ცერემონია მარტინა ჰინგისის თანდასწრებით ნიუ იორკში გაიმართა.

2000 წლის 1 იანვრიდან ასოციაციის სახელს ერთი სიტყვაც დაემატება და ოფიციალურად „SANEX WTA" ერქმევა. სპონსორის სარეკლამო პლაკატები თითოეულ კორტზე განთავსდება, ასეთივე და სხვა პრივილეგიებით ისარგებლებს ფირმა შეჯიბრის ჩატარების ადგილზეც.

გამონაკლისი მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის 16 ტურნირი იქნება. „სანექსის" პროდუქცია აშშ — კანადაში არ იყიდება და ფირმამ აქ რეკლამის გაწევა არ ისურვა, ჯერჯერობით მაინც. სწორედ ამიტომ, WTA-ს კონტინენტზე სხვა მთავარი სპონსორი ეყოლება, რომელსაც ეს სიამოვნება წელიწადში დაახლოებით ორი მილიონი დოლარი დაუჯდება.

მაკგუაიერი, რომელიც ადრე კინობიზნესში იყო ჩართული, დარწმუნებულია, რომ სპონსორს მალე იშოვის: „მზად ვარ, ვისაც უნდა დავენიძლავო, რომ ეს უახლოეს ორ თვეში მოხდება."

მარტინა ჰინგისმა და ბარტ მაკგუაიერმა (მარცხნივ) სპონსორი შეიგულეს

საჭე და ღვინო



ჯიმ კურიე

ინგლისის ფეხბურთის ნაკრების წევრები ერთადერთნი არ არიან, რომელთაც ზედმეტის ყლურწვა უყვართ. ამ რამდენიმე დღის წინ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ჯიმ კურიე ნასვამ მდგომარეობაში მანქანის ტარებისთვის დააკავეს.

კურიე, რომელსაც თავის დროზე ორ-ორჯერ მოუგია ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია პირველობები, ამჟამად ნაკლებად წარმატებულად ასპარეზობს და კლასიფიკაციაშიც მხოლოდ 32-ეა. ორლანდოში მცხოვრები ჩოგბურთელი იმ დღეს ჯორჯიას შტატის ქალაქ ათენში თავის მეგობარს ეწვია და, როგორც ეტყობა, გვარიანადაც მოულხინა.

ჯორჯიას უნივერსიტეტის პოლიციის ოფიცერმა ჯიმი უილიამსონმა კურიეს მანქანას მაშინ მიაქცია ყურადღება, როდესაც ამ უკანასკნელმა შუქნიშნის წითელ ფერზე გაიარა. ხანმოკლე და უხიფათო დევნის შემდეგ ჩოგბურთელი ღამის სამის ნახევარზე დააკავეს. იგი ადგილობრივ ციხეში მიაბრძანეს, საიდანაც გირაოს შეტანის შემდეგ მალე გაუშვეს.

პოლიციის უფროსი ჩაკ ჰორტონი არ ამჟღავნებს, რა ალკოჰოლური სასმელი აღმოუჩინეს კურიეს მანქანაში, ან ჩაბერვის ტესტებით რა დადგინდა.

ჟურნალისტების მცდელობა, თავად ჩოგბურთელი ენახათ, უშედეგოდ დასრულდა, კურიემ მხოლოდ თავისი აგენტის, კლივლენდელი გევინ ფორბსის პირით გააკეთა განცხადება.

„ის ისეთ მდგომარეობაში იყო, როდესაც თავს მთვრალად არ გრძნობ, მაგრამ დასაშვებ ზღვარს ოდნავ გადააჭარბე. ჯიმმა შეცდომა დაუშვა. ეს კარგად ესმის და ნანობს კიდეც".

პრეზიდენტი გადადგა

გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კარლ ვებერი წავიდა თანამდებობიდან, მისვლიდან სულ რაღაც ცხრა თვეში. მიზეზი რეგიონალურ ფედერაციების თავკაცებთან დავაა.

ფედერაციის განცხადებით, ვებერი და მთელი მმართველთა საბჭო მაინცში შეხვედრის შემდეგ გადადგა, რადგან რეგიონალურმა ფედერაციებმა მათ ზედმეტად პასიურობაში დასდეს ბრალი. ახალ საბჭოს 23 დეკემბერს აირჩევენ.

„უკვე აღარ შეგვეძლო ჩვენი მოვალეობების შესრულება" — განაცხადა ვებერმა, რომელმაც სხვა კომენტარისგან თავი შეიკავა.

ვებერის წასვლამ ბევრს აფიქრებინა, რომ მას უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი ბორის ბეკერიც მიჰყვებოდა, რომელმაც დევისის თასის გუნდის მენეჯერის პოსტი მხოლოდ პრეზიდენტის ნდობის გამო დაიკავა.

თუმცა თავად ბორისმა იუარა: „ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე და კაპიტანი კარლ-უვე შტეებიც წავალთ. ჯერ უნდა დავიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება."

ავთანდილ სვანიძე

დათვი რომ მოგვერევა, ჩემპიონი დაუძახეთ

ბათუმელების ჩემპიონობას მსაჯის ყბა შეეწირა

„დათვები“ „ყოჩებს“ მძლავრად მიაწვნენ

აჩრდილი დადის ბათუმში, აჩრდილი ბონაპარტისა

ბათუმი
1 დეკემბერი

დათვები 28:17 (10:5) ყოჩები

დათვები: ფირცხალავა, გურეშიძე, რეხვიაშვილი, აბაშიძე, სვანიძე, გოგისვანიძე, ადდალაძე, ფხაკაძე, გიორგაძე, ნ. ძაგნიძე, ხონელიძე, შარვაშიძე, ძოწენიძე, ჩუბინიძე, მაჩიტიძე

შეცვლა: აბაშიძე, თევდორაძე, გიორგაძე, ჯანაშია

ლ — ფირცხალავა, შარვაშიძე, ძაგნიძე, ძოწენიძე

გ — მაჩიტიძე, ს — მაჩიტიძე, ა — ძაგნიძე

ყოჩები: კიკუაშვილი, ჭავჭავაძე, ფირიაშვილი, გუშარაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, სოფრომაძე, სულთანიშვილი, ხელაძე, ტეფნაძე, ხეხელაშვილი, ბარძიმიშვილი, საკანდელიძე, ლიპარტელიანი, იურინი

შეცვლა: ჭელიძე, პეტრიაშვილი

ლ — ხეხელაშვილი, სულთანიშვილი, საკანდელიძე

გ — ტეფნაძე

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

„დათვები“ გაჩემპიონდნენ! პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აჭარის რეგიონს ქვეყნის ჩემპიონი ჰყავს სათამაშო სახეობაში და სავსებით დამსახურებულად. ბათუმელები მორაგბეები ნამდვილად ღირსნი არიან, საქართველოში უძლიერესის სახელი ჰქონდეთ.

ეს ყველაფერი საქართველოს ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მოხდა. 7 დეკემბერს „დათვებს“ კიდევ ერთი მატჩი ელით, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალობა იქნება, რომც დამარცხდნენ, „ყოჩებისთვის“ მაინც მიულწეველნი დარჩებიან.

არადა, ამ შეხვედრამდე ერთობ ბუნდოვანი სიტუაცია შეიქმნა. „დათვებს“ ორი თამაში ჰქონდათ დარჩენილი — „ყოჩებთან“ ბათუმში და „ლოკომოტივთან“ თბილისში. „ყოჩებმა“ კი 7 დეკემბრის შეხვედრა ასკ-თან ადრე ჩაატარეს და ანგისას სტადიონზე გამართული მატჩი მათთვის ბოლო იყო წლევანდელ ჩემპიონატში. თუ 1 დეკემბერს „ყოჩები“ მოიგებდნენ, მაშინ პირველობის შანსი ეძლეოდათ — მათი ბედი „ლოკომოტივი !“ — „დათვების“ შეხვედრაზე იყო დამოკიდებული. ბათუმელებმაც, რა თქმა უნდა, იციან, რომ გადადებული ეშმაკისაა და გადაწყვიტეს, სათუოდ არ გაეხადათ საქმე. მათ და „ყოჩებს“ ხომ ერთი ქულა აშორებდათ. ოქროს (მედლის) ბრწყინვალება კაცს რას არ შეაძლებინებს. ბათუმელებმაც, ეტყობა, იგრძნეს მისგან წამოსული სითბო და ნათელი და გული მიეცათ. არცთუ მცირერიცხოვანი მაყურებლის მხარდაჭერით კიდევ უფრო გამხნევებულმა „დათვებმა“ პირველივე წუთებიდან აგრძნობინეს მეტოქეს, რომ გამარჯვების ხელიდან გაშვებას არ აპირებდნენ. მოგეხსენებათ, არც „ყოჩები“ არიან ჯაბანნი და ერთობ დაძაბული თამაშიც გახურდა.

სტუდენტები მთელი ჩემპიონატის მანძილზე ყველაზე ლამაზ და გაგაზრებულ რაგბის თამაშობენ. „დათვები“ უფრო გამოცდილები არიან და კლასითაც გამორჩეულთაგანი. თან ორივე გუნდი ერთობ კორექტულად თამაშობს, თუმც ამგვარ დაძაბულ და ნერვულ ატმოსფეროში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

თამაში თავიდანვე მწვავე და დაძაბული გაჩაღდა. მეტოქეები ერთმანეთს უმნიშვნელო შეცდომებსაც კი არ პატიობდნენ. ორივე მეტოქეს 3 ლელოთი ეწადა მოგება, ამიტომ თავიდანვე ცხადი იყო, რომ უმეტესად ხელით ითამაშებდნენ და საჯარიმოების და არეკნების გატანას ლელოებს ამჯობინებდნენ. თანაც, რაკი ერთმანეთს მშვენივრად იცნობდნენ, ეგრეთ წოდებული დაზვერვა აღარ დაიწყეს და თავიდანვე გაჩაღდა, მაგრამ რა გაჩაღდა.

პირველად „დათვებმა“ გაანერვიულეს მაყურებელი. ნუგზარ ძაგნიძემ „ყოჩების“ 10-მეტრიანი ხაზიდან ლამაზი არეკნი დაარტყა. გულშემატკივარი ყიჟინით წამოიშალა, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა, თუმც ბათუმელებმა არ დაიშალეს და ისევ წამოიწყეს იერიში. ისევ ნუგზარ ძაგნიძემ ზედ ჩათვლის ხაზთან გაგზავნა ოვალი აუტში. „დათვებმა“ დერეფანი მოიგეს და მოლი გააწყვეს. სტუდენტები მათთან ჭიდილში დაჯარიმდნენ, ზღვისპირელებმაც საჯარიმო სწრაფად გაათამაშეს და ისევ მოლით პირდაპირ სალელოე მოედანზე შეიტანეს ფირცხალავა. არბიტრმა ლელოს გატანა აღნიშნა, თუმც ძაგნიძემ ვერ გარდასახა. „დათვები“ დაწინაურდნენ — 5:0.

„ყოჩებისთვის“ 5 ქულით ჩამორჩენა არაფერია და მათაც სწრაფად აინაზღაურეს დანაკარგი. სტუდენტებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და კუთხის ალამთან ხეხელაშვილმა ლელო გაიტანა. ტეფნაძემ ვერ გარდასახა და ანგარიში მხოლოდ გათანაბრდა — 5:5.

ამ მომენტიდან თითქოს „ყოჩებმა“ იგდეს ხელთ მატჩის სადავეები. ზედიზედ ორი შანსიც ჰქონდათ დაწინაურებისა, მაგრამ „დათვების“ 10-მეტრიანი ხაზიდან დარტყმული ბურთი პირველად ტეფნაძემ ააცილა ძელებს, მეორედ კი ზედ ჩათვლის ხაზთან შეაჩერეს ბათუმელებმა მეტოქის შერკინება. არბიტრმა „დათვების“ სასარგებლო საჯარიმო დანიშნა, რამაც მეტოქის მძაფრი პროტესტი გამოიწვია. სტუდენტები შემდგომშიც ხშირადაც ეკამათნენ მსაჯს. ამან რა შედეგი გამოიღო, ქვემოთ მოგახსენებთ.

ეს პაუზა ბათუმელებმა შესვენებისთვის და ძალების მოსაკრებად გამოიყენეს. „დათვებმა“ ულამაზესი, ეგრეთ წოდებული ქუთაისური კომბინაცია გაითამაშეს. ხონელიძე კიდის ხაზის გაყოლებით გაექცა მეტოქეს, ბურთი მიაწოდა ძოწენიძეს, რომელმაც ფეხით გაგზავნა წინ. ოვალთან ყველას შარვაშიძემ მიასწრო და ლელო გაიტანა. ძაგნიძემ ისევ ვერ გარდასახა და ანგარიში 10:5 გახდა. მატჩის პირველი ნახევარიც ასე დასრულდა.

მეორე ტაიმში ისევ „დათვებმა“ შეუტიეს და მძლავრად მიაწვნენ მეტოქეს. მათ მესამე ლელოს გატანა და პრემიალური ქულის მოპოვება მოისურვეს, რაც მალე რეალობად იქცა. მისი მთავარი შემოქმედი ბათუმელთა კაპიტანი ნუგზარ ძაგნიძე გახლდათ. „ყოჩების“ 22-მეტრიანი ხაზის სიახლოვეს გამართული ზედახორიდან ბურთი ძაგნიძეს მიაწოდეს, მან კი მაჩიტიძეს ჩაუკიდა. ბურთი უხერხულად აირეკნა და ბათუმელთა 15 ნომერს ხელი მოეცარა, მაგრამ ბურთს ისევ კაპიტანმა მიუსწრო და „დათვებმა“ მესამე ლელო მიითვალეს. გარდასახვა მაჩიტიძემ იკისრა და — 17:5.

„ყოჩებმა“ მოახლოებული მარცხი იყნოსეს და განერვიულდნენ. თამაში ერთობ დაიძაბა და მეტოქეებმა კინაღამ ერთმანეთი დააშავეს. ერთ მომენტში იურინმა სახიფათოდ ჩასცხო ფეხი სვანიძეს, რომელსაც ბედმა გაუღიმა და მცირე ზიანით გადარჩა. სტუდენტები ისე გაბრაზდნენ, რომ თითქმის თავისი ჩათვლის ხაზიდან ათრიეს „დათვები“ და ჯგუფური ლელო გაიტანეს. ეს სულთანიშვილმა შეძლო. ტეფნაძემ ისევ ვერ გარდასახა და სხვაობა მხოლოდ 7-მდე შემცირდა — 17:10.

ამის მერე თითქმის მთელი თამაში „დათვებისა“ იყო. ისინი ლაღად და ალმაფრენით ათამაშდნენ. შეტევა შეტევას სდევდა და, რაც მთავარია, თითქმის ყველა იერიში შედეგიანი იყო. ისევ გათამაშდა სამსვლიანი კომბინაცია — ძაგნიძე-მაჩიტიძე-ძოწენიძე, რომელიც ამ უკანასკნელის ლელოთი დასრულდა. გარდასახვა ისევ გაცუდდა და ანგარიში 22:10 გახდა.

ამის შემდეგ „ყოჩების“ 10-მეტრიან ხაზთან დანიშნა საჯარიმო, რომელიც მაჩიტიძემ ბრწყინვალედ დაარტყა — 25:10. ცოტაც და მორიგი შერკინებიდან უკან ძაგნიძეს მიაწოდეს. ბათუმელთა კაპიტანმა ლამაზი არეკნით ბურთი მეტოქის ძელებს შორის გააძვრინა — 28:10.

„ყოჩები“ საკმაოდ დაბნეულნი ჩანდნენ. დაახლოებით 10 წუთში მეტოქემ 11 ქულა მოიპოვა და ამაზე შეჩერებას არ აპირებდა. რაღაც უნდა ელონათ სტუდენტებს და მათაც ყველას დაუმტკიცეს, რომ ჩემპიონის წოდებას ტყუილად არ ფლობდნენ. „ყოჩებმა“ ძალების უკიდურესი დაძაბვით დაამუხრუჭეს „დათვები“ და სასოწარკვეთილ, უკანმოუხედავ შეტევაში გადაეშვნენ. მათ ძალისხმევას მალევე მოჰყვა შედეგი. საკანდელიძემ ლელო გაიტანა და ტეფნაძემ გარდასახა. ანგარიშში სხვაობა შემცირდა — 17:28, მაგრამ სტუმრებმა მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს. ქანცგაწყვეტილი მორაგბეები მსაჯის საფინალო სასტვენს ელოდნენ.

აი, ასე დასრულდა ეს ნერვიული და დაძაბული საჩემპიონო შეხვედრა. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა. თამაშის დაწყებამდე ტრიბუნის წინ დაგვხვდა... ნაპოლეონ ბონაპარტი. არა, ნამდვილად არ გეხუმრებით. თურმე ერთ ახალგაზრდა, მომავალ კინორეჟისორს საკურსო ფილმის გადაღება განუზრახავს, რომლის მთავარი მოქმედი პირიც რაგბის მატჩზე ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოქცეული ნაპოლეონია. ასე რომ, საფრანგეთის პირველი იმპერატორიც გულშემატკივრობდა ბათუმელ სპორტსმენებს.

„დათვებმა“, აწ უკვე ჩემპიონებმა, თავიანთი აღმზრდელი რამაზ სვანიძე და აჭარის რაგბის კავშირის პრეზიდენტი ილია წულუკიძე აფრიალეს ჰაერში. ყველა ერთმანეთს ულოცავდა. ხუმრობა ხომ არ იყო, წარმატებით დაგვირგვინდა ამდენი ხალხის თავგამოდება. თუმცა ცოტათი მაინც ჩამწარდათ მხიარულება. სანამ გამარჯვებულნი ერთმანეთს ეხვეოდნენ, ყოჩებმა ნოდარ რობიტაშვილი მოიხელთეს და ყბები დაამტვრიეს (პირდაპირი გაგებით). ამაზეა ნათქვამი: კაცი ცხენს ვერ შესწვდა და უნაგირი დაამტვრიაო. ეტყობა, კიდევ ერთი საშუალო დისკვალიფიკაცია გაფორმდება რაგბის კავშირში.

ამრიგად, დარჩენილი ტურის მიუხედავად, საქართველოს ახალი, ნამდვილად ღირსეული ჩემპიონი ჰყავს!

საქართველოს ახალი ჩემპიონი — ბათუმის „დათვები“

ზაზა ბენიძე
ბადრი ძეთილაძე (ფოტოები)
ბათუმიდან

ყოველი შემთხვევისთვის ბარათიც დატოვეთ

ქართველ სპორტსმენებს სკანდალები არ ელევათ. ხან ერთი სახეობის წარმომადგენლებს აქვთ დავიდარაბა, ხან მეორისას. გამონაკლისნი არც მთამსვლელები არიან. წლეულს, გაზაფხულზე დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე სხვადასხვა გზებით მოლაშქრე ქართველ მთამსვლელთა ორი ჯგუფიდან ერთმა ხუთით კი არა, სამი ალპინისტით მიაღწია მიზანსო. ამ ჯგუფის, ჩრდილოეთიდან მოლაშქრე გუნდის ორი წევრის ასვლა დედამიწის სახურავზე საეჭვოდ გაუხდია „ევერესტ ნიუსს". ეს ამბავი ჩვენს ტელევიზიას აუგორებია და ახლა კისრისტეხით ზვავივით, ეშვება. ერთი არხი რომ სასტიკ ოპონენტად გვევლინება, მეორე ჩრდილოელთა გუნდის დაცვას მედგრად ცდილობს, მესამეს რაღაც ნეიტრალურის მსგავსი პოზიცია უკავია.

კამათში იბადება ჭეშმარიტებაო, მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. ახლანდელ კამათში, ეტყობა, ჩხუბი უფრო მწიფდება, თუ უკვე მომწიფებული არ არის, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, თავისი სიმართლის დამტკიცება ერთ მხარესაც ძალზე გაუჭირდება და მეორესაც, რადგან „მთავარ მოქმედ პირთა" და უცხოელ „მოწმეთა ჩვენებები" ურთიერთგამომრიცხავია, მათ შორის ასვლის დროც.

მართლაც, ევერესტზე ზოგი ნეპალის დროით ადის, ზოგი ტიბეტისა (მათ შორის სხვაობა საათნახევარია), ზოგიც თავისი ქვეყნის დროს გარდა სხვას არ ცნობს, ნეპალელები კი სულაც საკუთარი წელთაღრიცხვით ცხოვრობენ და ახლა მათთვის 1999 კი არა, 974 წელია (დიახ, ცხრაას სამოცდათოთხმეტი).

ასეა თუ ისე, ამერიკული კომპანია „ევერესტ ნიუსს", რომელიც, როგორც თავად ამბობს, „ცდილობს იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი", „მთელი მსოფლიოს ხალხებს ეხმარება" ევერესტზე ამსვლელთა ვინაობის დადგენაში. მას ორი ჩვენი მთამსვლელისა და სხვა ქვეყნების რამდენიმე ალპინისტის წარმატების ამბავი, კვლევა-ძიების მერე, სათუო გაუხდია. თუმცა, იქვე ამბობს, რომ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მწვერვალზე არ ასულან. და როცა ყოველგვარი ეჭვი გაიფანტება, ევერესტზე ამსვლელთა სიას მათ გვარებს მერე დავუმატებთო.

უნდა ითქვას, რომ ევერესტზე და სხვა მწვერვალებზეც ასეთი სკანდალური ისტორიები საკმაოდ ხშირია. შარშან, მაგალითად, „ევერესტ ნიუსმა" ორი უზბეკი მთამსვლელი დასაჯა, მერე კი მათი რეპბლიტაცია მოახდინა.

მწვერვალის „მითვისების" ჩვენთვის ცნობილი პირველი შემთხვევა ამ საუკუნის დასაწყისში მოხდა. მაშინ ჩრდილოეთ პოლუსის ცნობილმა მკვლევარმა ფრედერიკ კუკმა, თავის გამყოლ ბარილთან ერთად 1903 წელს ჩრდილოეთ ამერიკის უმაღლეს მწვერვალი მაკ კინლის შეუტია და... სამი წლის დუმილის მერე თქვა, მიზანს მივაღწიეო. დასტურად ფოტომასალა წარმოადგინა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მას მხოლოდ 3475 მეტრის სიმაღლემდე აუღწევია, ის ფოტოები კი გადაუღია მყინვარ რუტის თავზე აღმართულ ერთ პატარა მწვერვალზე, რომლის სიმაღლე სულ რაღაც 1500 მეტრი თუ იქნება.

ევერესტთან დაკავშირებული ამგვარი ისტორიებიდან ყველაზე საინტერესო ჩინელთა 1960 წლის ლაშქრობაა. მაშინ ლამის მთელი ჩინეთი და ტიბეტი აიყარა და ევერესტისკენ მიმავალ გზას დაადგა. მის ჩრდილოეთ ფერდობს ში ჩუან ჩუნის მეთაურობითა და ჩინელთა ბელად მაო ძედუნის საპატიო ხელმძღვანელობით 214 კაცი და ქალი შეესია. ასეთი მრავალრიცხოვანი ექსპედიცია მანამდე არც არავის ენახა და არც გაეგონა. იქიდან დაბრუნებულებმა თქვეს, 8550 მეტრზე მდებარე ბოლო ბანაკიდან ჩინელებმა ვან ფუჯოუმ, ცოი ინხუამ, დიუ ლიანშუმ და ტიბეტელმა განპომ მთელი დღე იარეს. მერე 8700 მეტრზე ლიანშუ შეუძლოდ გახდა და იქვე დარჩა, დანარჩენებმა კი გზა განაგრძეს და მწვერვალამდე 18 მეტრი რომ აშორებდათ, სამივეს ჟანგბადის ბალონები დაუცარიელდათ, მაგრამ საბოლოოდ ბოლო ბანაკიდან 19 საათის სიარულის მერე მიზანს ღამით, 4 საათსა და 20 წუთზე მიაღწიესო.

ევერესტი — საიდუმლოებათა არქივი

ჩინელთა 1975 წლის ექსპედიციის წევრები ევერესტზე თავიანთ სამფეხასთან ერთად

ეს იყო ჩრდილოეთიდან პირველი წარმატებული ექსპედიცია და საერთოდ პირველი ღამით ასვლა ამ მწვერვალზე, მაგრამ ჩინელებმა წარმატების დამაჯერებელი საბუთი ვერ წარმოადგინეს, ფოტოებზე არ ჩანდა, ევერესტზე იყო ისინი გადაღებული, თუ სადმე სხვაგან. ამიტომ მათი ასვლა ბევრმა არ დაიჯერა. ევერესტზე ასვლების ზოგ ქრონოლოგიაში ეს ასვლა აღნუსხავია, ზოგშიც შენიშვნითაა შეტანილი, ნაწილი კი ეჭვგარეშედ აღიარებს ჩინელთა წარმატებას.

მაგრამ რაკი ეს მიღწევა ზოგისთვის მაინც სათუო გამხდარა, ჩინელები ადგნენ და 1975 წელს უკვე 400-კაციანი ექსპედიციით აიყარნენ და კვლავ იმავე მარშრუტს დაადგნენ. ქალებიც ბლომად წაასხეს, რათა დაემტკიცებინათ, კაცებს არც ჩვენი სუსტთა სქესის წარმომადგენლები ჩამოგვრჩებიანო.

ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა ვან ფუჯოუ, რომელმაც 1960 წელს ევერესტიდან 25 წლისამ გადმოიხედა (?).

ამ ექსპედიციამ უდიდეს წარმატებას მიაღწია. ჯერ იყო და ჩინელთა ლაშქარმა რონგბუკიდან მწვერვალის ძირამდე ტონობით ბარგის გადასატანად ფაქტობრივად გზა გაიყვანა. მერე იმავე რონგბუკის მონასტრიდან მოწინავე 6500 მეტრზე მდებარე ბანაკამდე სატელეფონო ხაზიც გაიყვანა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ამ ექსპედიციამ ალპინისტური თვალსაზრისით არნახულ წარმატებას მიაღწია — 40 კაცი, მათ შორის 7 ქალი, 8200 მეტრზე VI ბანაკამდე ავიდა. ეს იყო რეკორდული რაოდენობა, რომელმაც ასეთ სიმაღლეს მიაღწია. მერე ამ გუნდმა უკვე 8600 მეტრზე VII ბანაკს განახევრებული შემადგენლობით აღწია, თუმცა ოდესმე იქ არც იმ რაოდენობით ასულა ვინმე. ბოლოს მწვერვალზე რეკორდულმა რაოდენობამ, 8 მთამსვლელმა ამოჰყო თავი, მათ შორის ექსპედიციის მეთაურის მოადგილემ, სამი შვილის დედამ, 37 წლის ტიბეტელმა ტზუნგ ჩენ პხუნდოპმა, რომელიც გახდა ევერესტზე ჩრდილოეთიდან ამსვლელი პირველი ქალი, საერთოდ კი იგი აღმოჩნდა მეორე ქალბატონი, ვინც ევერესტიდან გადმოიხედა (მას მხოლოდ 12 დღით დაასწრო იაპონელმა იუნკო ტაბეიმ).

გამარჯვებულმა მთამსვლელებმა დედამიწის სახურავზე 70 წუთი უჟანგბადოდ გაატარეს, რაც ასევე პირველი შემთხვევა იყო ევერესტის ისტორიაში.

ჩინელებისთვის ეს საარაკო გამარჯვება რომ დაეჯერებინათ, მათ საამისოდ უკვე სათანადოდ იზრუნეს. მათ მწვერვალის კენწეროზე აათრიეს და ფუნდამენტალურად დაამაგრეს სამეტრიანი გეოდეზიური სამფეხა, ზედ კი მაო ძედუნის პორტრეტიანი დროშაც აიფრიალეს. ამას გარდა ამ ექსპედიციის მთელ მსვლელობაზე ფილმი გადაიღეს.

და რაც მთავარია, მწვერვალზე ყოფნის დამაჯერებელი კადრები ფოტოფირზეც აღბეჭდეს.

საერთოდ მწვერვალზე ყოფნის ყველაზე უტყუარი საბუთი სწორედ იქ გადაღებული ფოტო, კინო, ვიდეო მასალაა. ფირზე უნდა აღიბეჭდოს მწვერვალიდან გადაღებული პანორამა, ხოლო თუ იმ ხედის ფონზე საკუთარ თავსაც გადაიღებ, ჩათვალე, რომ შემომდავებელი არავინ გეყოლება. მაგრამ რაც არ უნდა მსუბუქი იყოს გადასაღები კამერა, მის ევერესტზე თრევას ბევრი ერიდება, რაკიღა ლამის ამ ცხრაკილომეტრიანი სიმაღლის პიკზე თითოეული ზედმეტი გრამი ფუთად იქცევა.

პირველნი, ვინც ევერესტზე კამერა აიტანეს, იყვნენ ამერიკელები ჯერსტალი და ბიშოპი, რომლებმაც პანორამაც გადაიღეს და ერომანეთიც აღბეჭდეს ფირზე. ეს მოხდა 1963 წელს. მაგრამ მას მერე ზედ მწვერვალზე კინოკამერა მრავალი წლის განმავლობაში არავის აუტანია.

მაგრამ როგორ უნდა დაამტკიცო კაცმა მწვერვალზე ყოფნის ამბავი, თუ ფოტო-კინო მასალა არ გაქვს?

კავკასიის, ალპებისა და სხვა მთების მწვერვალებზე იმთავითვე გავრცელებული იყო და არის ეპიგებზე სანგანგებო ტურის მოწყობა. ... ვთქვათ, „ჯონსერვის ქილაში, ბარათის დატოვება. მწვერვალზე ასეთ ბარათის დატოვებს აუცილებლობას ამამთამსვლელებიც კი ხვდებიან.

„ამ მაღალ მწვერვალზე, ქომიტოზე, ამოველ თუში ექვთინ თავბერიძე, ბასილის შვილი. ეს ქილა იქ ვიპოვე და შიგ იყო რუსულად დაწერილი ქაღალდი. ის მიმაქვს და მაგიერ ამ ქაღალდს ვტოვებ. 12.VIII.37წ. ექვთინ თავბერიძე. ვარ მწყემსი მეცხვარე, სოფლად დანოველი".

ექვთინ თავბერიძემ მწვერვალზე მიმოფანტულ ქვებზე საკუთარი ლექსებიც ამოკაწრა, მაგრამ რა იცოდა მაშინ 23 წლის დანოველმა, რომ ის ბარათი, ქომიტოდან რომ ჩამოიტანა, რუსულად კი არა, გერმანულად იყო დაწერილი. იგი ეკუთვნოდა თავის დროზე ფრიად ცნობილ გერმანელ მთამსვლელს გოტფრიდ მერცბახერს, რომელიც ტიროლელ გამყოლებთან იოჰან ვინდიშთან და ჰენრიხ მობერთან ერთად საუკუნის წინათ, 1892 წელს ასულა ამ ჩვენს ქომიტოზე.

მერცბახერის ბარათის ჩამოტანით ქართველმა მწყემსმა იმ სამეულის ასვლა დაამტკიცა, თავისიც და თუშეთის ამ მწვერვალზე შემდგომ მოლაშქრეთა ამბავიც ჯაჭვურად გავრცელდა.

სამწუხაროდ, რვაათასიან მწვერვალებზე ასეთი ბარათების დატოვების პრაქტიკა არ არის, იქნებ იმიტომ, რომ იმ უშველებელ სიმაღლეზე ტურების ანუ ბარათების შესანახი ადგილის მოწყობა დიდ ენერგიას მოითხოვს, ხელის თითები — ყინვაგამძლეობას. ეგეც არ იყოს, ჟანგბადის საშინელი შიმშილის განცდის გამო კაცს გონება ენისლება, ელემენტარულ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა უჭირს და მას იქ „თხზულების" წერას ვერ მოსთხოვ.

და მაინც, ვისაც შეგიძლიათ, წერეთ და აშენეთ ტურები, ოღონდ ზედ მწვერვალზე და არა ისე, როგორც ამას ხშირად საბჭოთა მთამსვლელები აკეთებდნენ. ისინი იშვიათად, მაგრამ მაინც ტურს მწვერვალის კენწეროდან ცოტა ქვემოთ, შედარებით დაცულ ადგილზე აწყობდნენ. იმ სიმაღლის აღება პრაქტიკულად მწვერვალზე ყოფნას ნიშნავდა და სრულიად სამართლიანადაც, რადგან 10 და თუნდაც 50 მეტრის დაძლევა აღარაფერს ნიშნავდა, მით უმეტეს, მწვერვალის კენწეროზე ხშირად მკვრივი თოვლი კარნიზივით, უსაყრდენოდ უფსკრულის თავზეა გადაკიდებული და მასზე შემდგომი კაცი გადასაჩეხადაა განწირული.

აი, დასავლური ალპინიზმის სტანდარტებით კი კაცი ბოლო წერტილამდე უნდა ახვიდე (ოღონდ კარნიზზე არა, რა თქმა უნდა).

1984 წელს ტიმ მაკარტნი სნეიპი და გრეგ მორტიმერი გახდნენ პირველი ავსტრალიელები, რომლებმაც ევერესტიდან გადმოიხედეს. მათთან ერთად ბოლო 50 მეტრამდე იყო თანაგუნდელებივით უჟანგბადოდ მოსიარულე ჰენდერსონი, მაგრამ მაშინ, სწორედ მაშინ, როცა სამყაროს სახურავის უმაღლეს წერტილამდე ერთი ოოკის მანძილიღა აშორებდა, მას წრიაპი გაუტყდა და ამის გამო უმაღლესი იბრუნა.

ჰენდერსონი პრაქტიკულად იქ იყო, კენწეროზე, მაგრამ მას ევერესტზე ასვლა არ ჩაეთვალა.

ოთხი წლის წინათ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი რუსი ანატოლი ბუკრევი რვაათასიან მაკალუზე (8470მ) პრაქტიკულად ბოლომდე ავიდა, მაგრამ ბოლო 10 თუ 15 მეტრის გავლა საჭიროდ აღარ ჩათვალა. მართლაც, ეს ბოლო მეტრები პრაქტიკულად აღარაფერს წყვეტდა, მაგრამ კატმანდუში ჩამოსულს მწვერვალი არ ჩაუთვალეს. ბუკრევიც ადგა და ისევ მაკალუზე გავარდა. მისი უმაღლესი წერტილიც გადატკეპნა და სურათებიც გადაიღო.

ასე რომ, გატკეპნეთ მწვერვალები, სურათებიც გადაიღეთ და, ყოველი შემთხვევისთვის, იქ ბარათებიც დატოვეთ.

ცრუპენტელა კუკი



ფრედერიკ კუკი რუტის თავზე გადაღებულ ამ ფოტოს ასაღებდა მაკ კინლიდან ჩამოტანილად

ავთანდილ გურასაშვილი

REUTERS ლუკ ვერი ზიდან

მოისა სუჰადოლჩი

პატარა სასწაული სუპერტრასაზე

მხოლოდ სასწაული შეიძლება ეწოდოს იმას, რასაც ავსტრიელი სამთო მოთხილამურე ჰერმან მაიერი სჩადის წლევანდელი სეზონის სტარტზე. ჯერჯერობით ჩატარდა 5 ეტაპი და, მაშინ, როცა მისი მეტოქეები ზაფხულის ღრმა ძილის შემდეგ ჯერ თვალებს იფშვნეტენ, „ჰერმინატორმა“ 4 ეტაპის მოგება მოასწრო (მეხუთეში, სპეციალურ სლალომში იგი, უბრალოდ არ მონაწილეობდა).

ბივერ კრიკში (აშშ) სუპერგიგანტის ტრასაზე გამარჯვება თხილამურობის ამ სახეობაში ავსტრალიელისთვის მეათე იყო და მაიერმა ამით გაიმეორა შვეიცარიელი ცურბრიგენის რეკორდი. როგორც ჩანს, მაიერი კიდევ ერთ, ლეგენდარული შვედის ინგემარ სტენმარკის რეკორდსაც უმიზნებს. სტენმარკს 1977-78 წლების სეზონში ზედიზედ ათი ეტაპი აქვს მოგებული.

„თუ ჰერმანმა ასე განაგრძო, მაშინ მისი დამარცხება მსოფლიოს თასზე შეუძლებელი იქნება. თუმცა, სულ მალე ვაპირებ ხელთათმანი გადავუგდო ჩემს მთავარ მეტოქეს“ — განაცხადა თასის შარშანდელმა მფლობელმა ნორვეგიელმა ლასე კიუსმა. სატურნირო ვითარება ასეთია:

კაცები. ბივერ კრიკი. კოლორადო. აშშ.

სუპერგიგანტი

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია)	1.16,51 წთ
2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია)	1.17,45
3. ლასე კიუსი (ნორვეგია)	1.17,64
4. ანდრეას შიფერერი (ავსტრია)	1.17,70
5. კრისტიან მაიერი (ავსტრია)	1.17,76

საერთო ჩათვლა

1. ჰერმან მაიერი	400 ქულა
2. შტეფან ებერჰარტერი	270
3. კეტილ ომოდტი (ნორვეგია)	181
4. ფონ გრიუნიგენი (შვეიცარია)	164
5. ანდრეას შიფერერი	142

ქალები. ლეიკ ლუიზი. კანადა. სუპერგიგანტი

1. მოისა სუჰადოლჩი (სლოვენია)	1.15,80 წთ
2. ჰილდე გერგი (გერმანია)	1.15,82
3. იზოლდე კოსტნერი (იტალია)	1.16,19
4. ბრიჯიტ ობერმოზერი (ავსტრია)	1.16,25
5. მელანი ტარჯონი (კანადა)	1.16,60

საერთო ჩათვლა

1. იზოლდე კოსტნერი	186 ქულა
2. მოისა სუჰადოლჩი	185
3. რეგინა კავანუ (საფრანგეთი)	178
4. ჰილდე გერგი	160
5. რენატა გოეტჩლი (ავსტრია)	152



REUTERS ბიბერ კრიკიდან

ჰერმან მაიერი

ᲔᲥᲚᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲢᲘᲕᲡ

REUTERS ნეშვილიდან

ფინიქსის კაპიტანი კეიტ ტკაჩუკი (7), მისი გუნდისა არ იყოს, მეტოქეებს უმოწყალოდ უსწორდება. გუშინწინ ტკაჩუკს ნეშვილელი დენ კეჩმერი შემოელახა

30 ნოემბერი

ᲝᲢᲐᲕᲐ — ᲩᲘᲙᲐᲒᲝ 2:1

0:0 0:0 2:1

0:1 დაზე 41'42 (8); 1:1 დაკელი 44'55 (2); 2:1 არვედსონი 45'22 (8)

ᲒᲣᲤᲐᲚᲝ — ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 4:1

2:0 0:1 2:0

1:0 იაგრი 17'50 (20); 2:0 ტიტოვი 19'18 (7); 2:1 გროშეკი 24'36 (6); 3:1 კოვალიოვი 54'39 (8); 4:1 ლანგი 57'47 (10)

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ — ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ 4:3

1:1 1:2 2:0

0:1 შანტეი 12'46 (4); 1:1 ონეილი 17'55 (7); 1:2 იუჰანსონი 31'22 (3); 1:3 სტილმანი 36'36 (9); 2:3 კოვალენკო 39'49 (5); 3:3 ჰილი 46'35 (4); 4:3 ონეილი 53'42 (8)

ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲔᲠᲡᲘ — ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 1:2

0:1 1:1 0:0

0:1 ჰალი 17'36 (9); 0:2 მოდანო 25'11 (8); 1:2 ჰიუარდი 32'14 (3)

ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ — ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 3:6

0:3 1:1 2:2

0:1 დოუნი 11'32 (8); 0:2 ალიტალო 11'46 (5); 0:3 ტოკეტი 12'57 (5); 0:4 დოუნი 24'19 (9); 1:4 ბერეჰოვსკი 26'58 (3); 2:4 ჩელბერგი 47'28 (5); 3:4 ტიმონენი 55'06 (4); 3:5 ტკაჩუკი 55'52 (10); 3:6 ტკაჩუკი 58'17 (11)

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ — ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 2:4

1:1 1:1 0:2

0:1 სკულა 12'19 (2); 1:1 ჰოუგუდი 16'20 (3); 1:2 ჰეიდუკი 29'23 (15); 2:2 ოკუანი 39'10 (4); 2:3 პოდინი 40'45 (3(; 2:4 როლსტონი 53'06 (5)

კაროლინა — კალგარის შეხვედრა უჩვეულოდ ემოციური და ამაღელვებელი გამოდგა. ცრემლი მორეოდა მასპინძელთა ფორვარდ ჯეფ ონეილსაც — მატჩი ხომ მის თანაკლუბელს, ავტოკატასტროფაში დაღუპულ სტივ ჩესონს მიეძღვნა და თამაშის დაწყებამდე უზარმაზარ ტაბლოზე ჰოკეისტის ცხოვრებისა და კარიერის გამორჩეული მომენტები აღიბეჭდა. მის ხსოვნას საკადრისი პატივი მიაგეს. კაროლინელებმა, განსაკუთრებით კი სწორედ ჯეფ ონეილმა (2+2). ამ მოთამაშემ, რომელიც მეტწილად მესამე სამეულში ასპარეზობს და არცთუ შედეგიანია, ყველა ღონე იხმარა, რათა ის დღე ღირსსახსოვრად ექცია. მისი მეორე შაიბა გადამწყვეტი აღმოჩნდა. უნდა ითქვას პოლ კოფის (2 პასი) შესახებაც, რომელმაც ონეილს ასისტენტობა გაუწია. სახელოვანი ჰოკეისტი ბოლო ხანებში გამოცოცხლდა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ნჰლ-ის ბომბარდირთა სიაში 1495 ქულით მერვე ადგილზე აინაცვლა. თანაც, მან თვით მარიო ლემიეს გაუსწრო.

ფინიქსის მოგებაც არცთუ გამორჩეულთა თავგამოდებამ განაპირობა. შეინ დოუნი (2+1) — მიკა ალიტალო (1+2) — იუჰა ილონენის (3 პასი) სამეულმა, რომელიც კლუბში სიძლიერით მესამეა, 9 ქულა მიითვალა. თუმცა ბოლო პერიოდში, როცა სტუმართა წარმატება საეჭვო გახდა, ლიდერებმაც, კეიტ ტკაჩუკმა და ჯერემი რენიკმა (2 პასი), თქვეს თავიანთი სიტყვა. ასე იყო თუ ისე, „კოიოტებმა“ ზედიზედ მეშვიდედ იმარჯვეს (ეს კლუბის ახალი რეკორდია) და ჩემპიონატს ერთპიროვნულად გაუძღვნენ.

როგორც იქნა, გადალახა ქულების 50-პროცენტიანი ბარიერი ჩემპიონმა დალასმა. მართალია, „ვარსკვლავების“ თამაშს იდეალურს ჯერ კიდევ ვერ უწოდებ, მაგრამ ისინი აუტსაიდერებთან ქულებს აღარ კარგავენ. ბრეტ ჰალი და მაიკ მოდანო ერთმანეთს გოლების გატანაში დაეხმარნენ.

პიტსბურგმა შეწყვეტა ხანგრძლივი, 9-მატჩიანი უხეირობა. ეს ბუფალოს „მარინ მიდლენდ არენაზე“, ჩეხურ-რუსული რიცხვმრავლობის ბრიგადების წყალობით მოხდა. სტუმრებმა სამჯერ გამოიყენეს ზედმეტი მოთამაშე, იაროსლავ იაგრსაც (1+1) საკადრისად დაეხმარნენ გერმან ტიტოვი (1+1) და მარტინ სტრაკა (2 პასი). მეკარე ტომ ბარასომაც, რომელმაც გამოჯანმრთელების შემდეგ მეორე მატჩი ჩაატარა, კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი მოვალეობა (32 მოგერიება).

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ



ᲯᲔᲠᲔᲛᲘ ᲠᲔᲜᲘᲙᲘ (ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ)



ᲭᲝᲖᲔ ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲘ (ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ)

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ლაურეატობა ერთბაშად ორ მოთამაშეს ძალიან იშვიათად ენიჭება, თუმც ამჯერად ლიგის მესვეურთა გადაწყვეტილება სამართლიანი გახლდათ.

ერთი ყოჩი ფინიქსელი ჯერემი რენიკი გახდა. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა შედეგიანობითა და ლიდერის სულისკვეთებით, მაგრამ წლეულს გაორმაგებული ენერგიით შეუდგა საქმეს. გასულ კვირას კი რენიკმა თავისი ყველაზე დიდი გულშემატკივრებიც გააოცა. მან ზედიზედ ორჯერ ჰეთ თრიქი მიითვალა, თანაც ამას თითო-თითო პასიც დააყოლა, დეტროიტთან მოგებაშიც შეიტანა თავისი წვლილი. საბოლოოდ 3 მატჩში მოგროვილი 9 (6+3) ქულით მან ყველას აჯობა და უმალ ლიგის ბომბარდირთა ხუთეულშიც შეიჭრა.

რენიკი რომ დამსახურებული ლაურეატია, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ არც მონრეალის მეკარე ჟოზე თეოდორის ძალისხმევაა ნაკლები. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფმა კანადურმა კლუბმა კალიფორნიული ტურნეს სამივე მატჩი მოიგო. აქედან ორჯერ კარში სწორედ თეოდორი იდგა, შემდეგ კი მეკარემ ვანკუვერის ფორვარდები (2:1) გააწბილა და მონრეალის ყურებჩამოყრილ ქომაგთ იმედი ჩაუსახა.

აღსანიშნავია, რომ რენიკი უკვე მესამედ გამოარჩიეს, თანაც ბოლოს ეს 1991 წელს მოხდა, 22 წლის მონრეალელისთვის კი ეს პირველი წარმატებაა, რაც, იმედია, მისი ხანგრძლივი და იღბლიანი კარიერის საწინდარი გახდება.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲔᲥᲕᲡᲔᲣᲚᲘ. 22-28 ნოემბერი

ჟოზე თეოდორი (მონრეალი, 1); *ერიკ დეჟარდენი* (ფილადელფია, 2) — *ელ მაკინისი* (სენტ ლუისი 1); *იაროსლავ იაგრი* (პიტსბურგი. 3) — *ჯერემი რენიკი* (ფინიქსი) — *ვენსან ლეკავალიე* (ტამპა, 1).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ

მოგეხსენებათ, 6 თებერვალს ტორონტო მორიგ „ALL STAR GAME“-ს უმასპინძლებს, რომელიც უკვე მესამედ ტარდება პრინციპით: ჩრდილოეთ ამერიკა — დანარჩენი მსოფლიო.

მანამდე კი ჰოკეის მოყვარულთა ტრადიციული გამოკითხვა მიმდინარეობს, რომელმაც გუნდების სასტარტო ექვსეულები უნდა დაადგინოს.

დღესდღეობით ყველაზე მეტი ხმა იაროსლავ იაგრმა (მსოფლიოს ნაკრების კანდიდატი) მიიღო. პიტსბურგის სუპერვარსკვლავი აშკარად სჯობნის კონკურენტებს, ასე რომ, ვარსკვლავთა პაექრობაში მისი მონაწილეობა არანაირ ეჭვს აღარ იწვევს. იაგრს 95118 ხმა აქვს და 33000-ით უსწრებს ანაჰაიმელ ტეემუ სელიანეს. მესამეზე ფლორიდელი პაველ ბურეა. ეს გარემარბთა შეჯიბრი გახლავთ.

მცველთა შორის კი დეტროიტელი ნიკლას ლიდსტრიომი ლიდერობს. შვედი 85000 ხმით არანაირ შანსს არ უტოვებს მდევრებს — კოლორადოელ სანდის ოზოლინშსა (50 033) და დალასელ სერგეი ზუბოვს (47900).

ტრავმებით გამოწვეულმა ხანგრძლივმა არყოფნამ მაინც ვერ დააქვეითა ტორონტოელი მათს სუნდინისა და კოლორადოელი პეტერ ფორსბერგის უმაღლესი რეიტინგი. გამოკითხულებმა უპირატესობა სწორედ მათ მიანიჭეს (შესაბამისად 48988 და 40561 ხმა).

დაბოლოს, ჰოკეის სამყაროში რომელი მოვლენა ჩაივლის დომინიკ ჰაშეკის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებული „დომინატორი“ არცთუ დამაჯერებლად თამაშობს, მეკარეთაგან ყველაზე პოპულარული მაინც ისაა. ჰაშეკი 49165 ხმით ბევრად უსწრებს კაროლინელ არტურ ირბეს (33782), თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წინა წლებისგან განსხვავებით ლიგაში მისი ბატონობა შეირყა. მესამე ადგილზე ედმონტონელი ტომი სალოა, რომელსაც გაფიცული ფინიქსელი ნიკოლაი ხაბიბულინი სერიოზულ კონკურენციას უწევს.

ასე რომ, ლიდერთა მყარ პოზიციებს თუ გავითვალისწინებთ, უკვე შეგვიძლია დავასახელოთ მსოფლიოს ნაკრების პირველი ექვსეული: ჰაშეკი, ლიდსტრიომი, ოზოლინში, იაგრი, სელიანე და სუნდინი.

ᲞᲐᲢᲔᲠᲐ ᲚᲘᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲐ

ჩეხ პაველ პატერას ნჰლ-ური კარიერა ძალიან სწრაფად და უხეიროდ ჩამთავრდა. დაშავებული ჰოკეისტების არყოფნამ ფორვარდს დალასის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების შესაძლებლობა მისცა, მაგრამ მან იმედები ვერ გაამართლა და ფარმკლუბში გაიგზავნა. თუმცა პატერამ ეს უსამართლობად ჩათვალა და მეორე გუნდში გამოცხადება არ ისურვა, რისთვისაც დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. ჰოკეისტის ურჩობით გულგაწყრილებულმა „ვარსკვლავთა“ მესვეურებმაც ის სამშობლოში გაისტუმრეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო ხანს ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრფორვარდად მიჩნეული, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონი პატერა უკვე 28 წლისაა, ნჰლ-თან მისი ურთიერთობა დასრულებულად უნდა ჩავთვალოთ.

ᲡᲐᲛᲒᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

გერმანია

გადადებული მატჩი

უნტერჰახინგი 1:0 დორტმუნდი

1:0 რაკლი (39Თ)

თასის მერვედფინალი

ვერდერი — ულმი 2:1; ბოხუმი — ვოლფსბურგი 5:4; კიკერსი — არმინია 2:2 (3:2 დ.დ); ვალდჰოფი — ბაიერნი 0:3

ინგლისი

ლიგის თასის მერვედფინალი

ფულემი — ტოტენჰემი 3:1; ასტონ ვილა — საუთჰემპტონი 4:0

შვეიცარია

გადადებული მატჩი

სენტ გალენი 2:1 გრასჰოპერი

0:1 შერმეტერი (62), 1:1 კონტინი (68), 2:1 ამოა (80)

იტალია

თასის მერვედფინალი. I წრე

რომა — პიაჩენცა 0:1; კალიარი — პარმა 1:0; პერუჯა — ფიორენტინა 1:0; ვენეცია — უდინეზე 3:0; ნაპოლი — იუვენტუსი 1:3; რავენა — ლაციო 1:1

საფრანგეთი

გადადებული მატჩი

მონაკო 2:0 ოსერი

1:0, 2:0 გალიარდო (27, 42)

ჰოლანდია

XV ტური

კამბური 4:3 უტრეხტი

დენ ბოსხი 0:2 ჰერენვენი

გრაადფსხაპი 2:5 ალკმარი

ფეიენოორდი 1:0 ტილბურგი

ტვენტე 1:0 სიტარდი

ვიტესი 2:1 ვალვაიკი

შოტლანდია

ლიგის თასის მეოთხედფინალი

სელტიკი 1:0 დანდი

დანდი იუნ. 3:2 მოზერუელი

აბერდინი 1:0 რეინჯერსი

ესპანეთი

თასის II ეტაპი. II წრე

ლას პალმასი (II) — *ბადახოსი* (II) 1:0 (1:1); *ალავესი* — *ესტრემადურა* (II) 1:0 (1:1); *ბილბაო* — *მელილია* (III) 3:2 (2:2); *ბეტისი* — *ბერმეო* (III) 2:0 (0:0); *ესპანიოლი* — *კორდობა* (II) 2:0 (1:1); *ხეტაფე* (II) — *ორენსე* (II) 1:2 (0:1); *ლეიდა* (II) — *კორია* (III) 1:1 (4:2); *მალაგა* — *ალზირა* (III) 2:0 (0:0); *მერიდა* (II) — *ტალავერა* (III) 3:0 (0:1); *ნუმანსია* — *კომპოსტელა* (II) 3:2 (2:4); *ოვიედო* — *ლორკა* (III) 2:0 (1:0) ; *პრემია* (III) — *ბერაკალდო* (III) 2:2 (0:1) ; *რასინგი* — *ჰერკულესი* (III) 3:0 (0:0); *რაიო ვალეკანო* — *სალამანკა* (II) 4:2 (2:2); *სოსიედადი* — *ლოგრონიესი* (II) 0:1 (1:2); *სევილია* — *ოსასუნა* (II) 1:1 (0:1); *სპორტინგი* (II) — *ხიმნასტიკა სეხოვიანო* (III) 2:1 (0:0) *ტოლედო* (II) — *ეიბარი* (II) 0:0 (0:1); *ვალიადოლიდი* — *რეალ უნიონი* (III) 0:1 (1:1); *სარაგოსა* — *უელვა* (II) 4:0 (0:0); *ლეგანესი* (II) — *ვილიარეალი* (II) 0:4 (1:0); *ალბასეტე* (II) — *პონფერადინა* (III) 3:1 (1:1); *ალმერია* (III) — *ნოველდა* (III) 0:0 (1:0); *ტენერიფე* (II) — *ზამორა* (III) 4:0 (2:2)

ფრჩხილებში მითითებულია დივიზიონები და პირველი მატჩების შედეგები



ბეისბოლის რაღაცეები

ორი წლის წინანდელი ფოტოა ესა — კვებეკელებმა ეგრეც ვერ შეიყვარეს ბეისბოლი და თავიანთი უბირველესი ქალაქის მონრეალის გუნდი „ექსპოზ“. ეს ექსპოზ ყოფილა ყველაზე უქმიაგო საბეისბოლო გუნდი მთელს ჩრდილო ამერიკაში და ახლა ეგებ გაიყიდოს კიდეც სხვა რომელიმე ქალაქში გადასაბარგებლად.

ამასობაში კი, ნიუ იორკში, ბეისბოლის მეიჯორ ლიგის საბჭოს მთავარ მსაჯთა ასოციაციის შეფის თანამდებობიდან გადაუყენებიათ რიჩი ფილიპსი, რომელიც 21 წელიწადს მართავდა ასოციაციას. ბოლო ხანს ფილიპსს შემცირებანი დაუწყია და 22 გამოცდილი მუშაკი დაუტოვებია უმუშევრად. წადი, ფილიპს, უშენოდ ვიმუშავებთო, უთქვამთ ასოციაციელებს, რომლებსაც უფრო დემოკრატიული მუშაობის ფორმები მოუგონიათ.

სერფინგი სკოლაში

ხედავთ ამ გოგოსა და ბიჭებს? ოკლენდელი მოსწავლენი არიან, ჩვიდმეტი წლისანი — დენი კავერია (შუაში), ლეონ სანტორიკი (მარცხნივ) და კაილი მილეკი რაგლანის სკოლაში სწავლობენ და გაკვეთილიდან ბრუნდებიან. დიახ, სწორედაც რომ გაკვეთილიდან, რადგან წლეულს პირველი სასწავლო წელია, ახალი ზელანდიის რიგ სკოლებში სერფზე დგომა და ტალღებზე ლივლივი ცალკე საგნად რომ შემოუღიათ. ამით, მათ სპორტულ მომავალს მოვამზადებთო, თურმე ასე ფიქრობენ.

უსაფრთხო სექსი მოკრივის ზურგზე

ფედერაციის (იბფ) სუპერსაშუალო წონის გერმანელი ჩემპიონი სვენ ოტკე დიუსელდორფის რინგზე აბურთავებს თავის მორიგ მოწინააღმდეგეს, ამერიკელ გლენ ჯონსონს. ოტკეს ზურგზე ახატია პრეზერვატივების მწარმოებელი ფირმის „კონდომიაგის“ ლოგო, რაც იმას ნიშნავს, რომ ფირმა ფართო სარეკლამო კამპანიას სწევს, თავისი აქციების ფრანკფურტის ბირჟაზე შეტანის გამო.

კოკაინის გულისთვის

სასამართლოში აქვს საქმე ლეგენდარულ ამერიკელ მობურთალს, „ნიუ იორკ ჯაიანთსის“ ოდინდელ ვარსკვლავს ლოურენს ტეილორს, რომელიც ამავდროულად ბურთაობის დიდების დარბაზის წევრიცაა. ლოურენსი და მისი ვექილი ანჯელო ფერლიტა მზად არიან ფლორიდის ქალაქ სანკტ პეტერბურგის პაინელასის საგრაფოს სასამართლოში, ჩვენების მისაცემად. საქმე ისაა, რომ მავანმა პოლიციასთან შეკრულმა წამლის ბარიგამ თქთვა, შარშან ამ დროს ლოურენსს 50 დოლარად მივყიდე კოკაინის ზახოდი, სწორედ იმ ადგილას სადაც ის გოლფს თამაშობს ხოლმეო.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიანული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29 **ელექტრონული ფოსტა** sarbieli@iberiapac.ge **ელექტრონული ვერსია** http://www.opentext.org.ge/sarbieli